# ლელო

№037 (12 414) 15 თებერვალი პარასკევი 2008
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტოტალიზატორის სკანდალი
# ლაბაძე და ფიურერი, მეგობრობა თუ...






ESPN-ის ჟურნალისტური გამოძიებიდან 13



## კვირკველია უკრაინაში რჩება 2



## სირაძემ ნალჩიკში პირველად ითამაშა

სხვა ცხოვრება, სხვა სიტუაცია: გერმანიაში დაბრუნება არ გამიჭირდება

ინტერვიუ დავით სირაძესთან 2

## ზესტაფონმა გადაწყვეტილება შეცვალა 2



სერია A-ს ვარსკვლავები მხოლოდ თავიანთი უშუალო მოვალეობებით არ კმაყოფილდებიან




## დიდი ჩემპიონების არასაფეხბურთო საქმეები 10



3

## ტრაპატონის ტარდელი დაეხმარება

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge



დავით კვირკველია უკრაინაში რჩება

# დავით კვირკველია ზაპოროჟიეში დაბრუნდა

საქმეს ისეთი პირი უჩანს, საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი **დავით კვირკველია** ზაპოროჟიეს "მეტალურგში" დარჩება. მას კლუბთან მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს და გუნდის ხელმძღვანელობასაც არ სურს ქართველი მცველის გასხვისება.

ბოლო პერიოდში მის სახელს რამდენიმე კლუბს უკავშირებდნენ. საუბარი იყო კვირკველიას დონეცკის "მეტალურგში" გადასვლაზე, ასევე რუსულ გუნდებზეც. სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე დრო ჯერ კიდევაა დარჩენილი და მაინც არაა გამორიცხული, რომ საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა ადგილსამყოფელი შეიცვალოს, მაგრამ ზაპოროჟიული კლუბის ხელმძღვანელობა და სამწვრთნელო შტაბი დარწმუნებულია, რომ კვირკველია სეზონს "მეტალურგში" ჩაამთავრებს. ამის დასტურად კი მოჰყავთ ის, რომ გუშინ "მეტალურგი" ესპანეთში გაფრინდა მოსამზადებელ შეკრებაზე კვირკველიასთან ერთად.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი

# სირაძემ ნალჩიკში პირველად ითამაშა

## სხვა ცხოვრება, სხვა სიტუაცია: გერმანიაში დაბრუნება არ გამიჭირდება

საქართველოს ეროვნული ნაკრების შემტევის, დავით სირაძის გერმანიის მეორე ბუნდესლიგის "პადერბორნიდან" რუსული პრემიერლიგაში, ნალჩიკის "სპარტაკში" გადასვლა მართლაც მოულოდნელი იყო. საერთოდ, ფეხბურთელი სულ იმას ცდილობს უკეთეს გარემოში, უკეთეს საფეხბურთო ქვეყანაში მოხვდეს. სირაძემ კი ძალიან არაორდინალური გადაწყვეტილება მიიღო. დათოს წუხელ შევეხმიანეთ ესპანეთში.

- ალიკანტეში, შეკრებაზე ვარ. უკვე მესამე დღეა, რაც ახალ გუნდში ვარ.

**- რამდენი ხნით აპირებ ნალჩიკში დარჩენას?**

- კონტრაქტზე ხელი არ მომიწერია, თუმცა ჩემი ნალჩიკური ტრანსფერი გადაწყვეტილია. ამ გუნდში ზაფხულამდე დავრჩები, მერე კი, შესაძლოა, რომელიმე მოსკოვურ კლუბში გადავიდე.

**- ითქვა, სირაძის ტრანსფერი "პადერბორნიდან" უცნობმა ქართველმა გამოისყიდაო...**

- არ ვიცი ვინ გამოისყიდა ჩემი ტრანსფერი. ჩემთვის მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ "სპარტაკის" წარმომადგენლები თვითონ მივიდნენ "პადერბორნთან" და მოლაპარაკება წამოიწყეს.

**- გერმანიიდან რუსეთში - ამ გადაწყვეტილებისკენ ყველაზე მეტად,ალბათ, იმან გიბიძგა, რომ "პადერბორნში" სათამაშო პრაქტიკა ფაქტობრივად არ გქონდა...**

- შეიძლება ითქვას, რომ "სპარტაკში" გადასვლა ამანაც განაპირობა. ისიცაა, რომ რუსეთის პრემიერლიგაში თამაში ურიგო ნამდვილად არ არის. ამ ლიგაში თამაში არც ადვილია და ვნახოთ როგორ წარიმართება ჩემი კარიერა. შემპირდნენ, თუ თავს გამოვიჩენ უკეთეს გუნდში გაგიჩარხავთ ტრანსფერსო.

**- საკონტროლო მატჩები უკვე ითამაშე "სპარტაკში"?**

- დღეს პირველად ვითამაშე ახალ გუნდში, დონეცკის "შახტართან" 1:2 წავაგეთ. მოედანზე მეორე ტაიმში შემიშვეს, გოგიტა გოგუამ კი სრულად ითამაშა. ის გუნდის ნამდვილი ლიდერია.

**- როგორც უნდა იყოს, დასავლეთი გერმანიიდან ყაბარდო-ბალყარეთში მიდიხარ. ქართულ საფეხბურთო სამყაროს ალბათ, უკეთესისთვის ემეტებოდი...**

- ყველა მაგას მეუბნება და გაკვირვებულია ჩემი გადაწყვეტილებით. რუსეთში გერმანიასთან შედარებით სულ სხვა სიტუაცია და სულ სხვა ცხოვრებაა. როცა "პადერბორნში" ახალი მწვრთნელი, ბულგარელი დოჩევი მოვიდა, უკვე გადაწყვეტილი იყო ჩემი გუნდიდან წასვლა. დოჩევმა მითხრა, კარგი იყო დარჩენილიყავიო. ის მანამდე "ერფურტის" მწვრთნელი იყო და მეორე ბუნდესლიგის თამაშებიდან კარგად მიცნობს, გერმანიაში ხომ ოთხი სეზონი გავატარე. თუ რუსეთში საქმე კარგად არ წამივიდა, ვფიქრობ, გერმანიაში დაბრუნება ჩემთვის პრობლემა არ იქნება.



დავით სირაძე

**დავით თავართქილაძე**

# ზესტაფონმა გადაწყვეტილება შეცვალა

## კოლხიდა ოლიმპი-ზესტაფონით იწყებს

სამი დღის წინათ "ზესტაფონმა" პროფლიგაში წერილი შეიტანა - უსახსრობის გამო ეროვნულ ჩემპიონატში და დავით ყიფიანის სახელობის "ყაზბეგის თასის" გათამაშებაში მონაწილეობას ველარ გავაგრძელებო. თუმცა ამ სენსაციურ განცხადებას მყარი საფუძველი ალბათ არ გააჩნდა - საშუასეზონო პერიოდში "ზესტაფონი" მნიშვნელოვნად გაძლიერდა, უცხოური შეკრება გაიარა, საკონტროლო მატჩები ითამაშა...

გუშინ კი გაცხადდა, რომ "ზესტაფონი" არსებობას და შესაბამისად ჩემპიონატში და თასზე თამაშს გააგრძელებს.

- საკითხი დადებითად გადაწყდა, ვესაუბრე "ზესტაფონის" პრეზიდენტ ილია კოკაიას და მანაც დაგვიდასტურა, რომ მისი გუნდი ჩემპიონატშიც და თასზეც გააგრძელებს ბრძოლას. ერთი სიტყვით,"ზესტაფონის" ქომაგებს სანერვიულო ალარაფერი აქვთ. 17 თებერვალს "ყაზბეგის თასის" მეოთხედფინალის პირველი მატჩებია და "ოლიმპი"-"ზესტაფონს" პროფლიგის პარტნიორი კომპანია "კოლხიდა" გადაიღებს. "კოლხიდასთან" შარშან გავაფორმეთ კონტრაქტი და ტელემაყურებელს ეს კომპანია პირველ პროდუქტს "ოლიმპი"-"ზესტაფონით" მიაწვდის. ამ მატჩის ტრანსლაცია საზოგადოებრივ მაუწყებელზე იქნება - გვითხრა გუშინ პროფლიგის პრეზიდენტმა **დიმიტრი რამიშვილმა**.

თქმა არ უნდა,"ზესტაფონმა" გადაწყვეტილება რომ შეცვალა, ამით ზესტაფონს ფეხბურთი, ჩემპიონატს კი ინტრიგა და ლაზათი შეუნარჩუნა - ეს გუნდი უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვის და საშინაო მატჩებზე გულშემატკივართა დასწრებითაც სამაგალითოა.

**დავით თავართქილაძე**



კახა კალაძე

ლეგიონერი

# გულდაწყვეტილი კალაძე და 6,5

"გაძეტა დელო სპორტმა" "მილანი"-"ლივორნოს" მატჩში მოთამაშე ფეხბურთელთა შეფასებები გამოაქვეყნა. პოპულარულმა იტალიურმა გამოცემამ **კახა კალაძეს** 6,5 დაუწერა. შეგახსენებთ, საქართველოს ნაკრების კაპიტანმა "ლივორნოსთან" 90 წუთი ითამაშა.

"ყოველთვის გამარჯვებული იყო "მეორე სართულზე", ლივორნოელ ტრისტანს გასაქანი არ მისცა და დროდადრო შეტევებშიც ერთვებოდა", - ასე ახასიათებს კალაძეს "დელო სპორტი". ქართველი მილანელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო, მასზე მაღალი შეფასება **ანდრეა პირლომ** მიიღო (7), **მასიმო ამბროზინის** კი კალაძის მსგავსად, 6,5 დაუწერეს.

როგორც იცით, იმავე მატჩში უმძიმესი ტრავმა მიიღო **რონალდომ**, რის გამოც შესაძლოა, კარიერის დასრულებაც გადაწყვიტოს. კახამ ამ ამბავზე მცირე კომენტარი გააკეთა. "ძალიან გულდაწყვეტილი ვარ. რონალდო უდიდესი ფეხბურთელი და ბრწყინვალე ადამიანია, მისი ამბავი ძალიან განვიცადე. ბოლო პერიოდში იგი შესანიშნავ ფორმაში იყო, სამწუხაროა, ბედმა ასეთ დროს რომ უმუხთლა", - ამბობს კალაძე.

**ლევან ჯანეზაშვილი**



თასზე ცენტრალური მატჩი ზესტაფონი-ოლიმპია

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ამხანაგური მატჩი

# სიონმა ბათუმი გაანადგურა

ბოლნისის "სიონი" ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრისთვის ბათუმში ემზადება. გუშინ ქვემოქართლურმა კლუბმა საკონტროლო მატჩი "ბათუმის" წინააღმდეგ ჩაატარა. იმის მიუხედავად, რომ მეორე ტაიმში "სიონის" შემადგენლობაში ძირითადად, ახალგაზრდებმა ითამაშეს, **გიორგი ყიფშიძის** გუნდმა დამაჯერებლად, 5:0 გაიმარჯვა. გოლები **სვანიძის, ჩხეტიანის, კვიტაიშვილის, ქარდავასა** და **ალფაიძის** ანგარიშზეა.

"სიონის" სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო: **ბოლქვაძე, ქურასბედიანი, გ. ოქროპირიძე, ბოიომო, სვანიძე, კვიტაიშვილი, კ. ჩხეტიანი, კობაური, ბ. ნოზაძე, შავგულიძე, ზ. ავალიანი.**

"სიონი" ბათუმში 19 თებერვლამდე დარჩება. მანამდე კი ბოლნისელები კიდევ ორ ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ, პირველ თამაშს 16-ში "მერანთან", მეორეს კი 18-ში კვლავ "ბათუმთან".

კლუბმა ზამთრის პერიოდში საკმაოდ წარმატებული სატრანსფერო პოლიტიკა აწარმოა. "სიონის" ღირსებას მეორე წრიდან **ბექა ნოზაძე, შოთა ჯიქია, ზურაბ ავალიანი** და **ლევან შავგულიძე** დაიცავენ. ბოლო დღეებში გუნდს კიდევ ორი ფეხბურთელი დაემატა – "ზესტაფონის" ექს-კაპიტან **კახა ჩხეტიანთან** კონტრაქტი მალე გაფორმდება, **მიხეილ კობაური** კი, რომელსაც "სიონის" რიგებში არაერთი სეზონი გაუტარებია, "ამერიდან" დაიმატეს.

რაც შეეხება წამსვლელებს, "სიონი" სულ ახლახანს დატოვა მცველმა **თემურ რაქვიაშვილმა**, რომელიც კარიერას ახალციხის "მესხეთში" გააგრძელებს. რაქვიაშვილი, რომელიც 2006 წელს "სიონის" რიგებში საქართველოს ჩემპიონი გახდა, ბათუმში ბოლნისელებთან ერთად ემზადებოდა, თუმცა გუშინ "სიონსა" და "ბათუმს" შორის გამართულ ამხანაგურ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია. რაქვიაშვილმა უკვე დატოვა ბათუმი და ახალციხეს მიაშურა.

*"დიახ, მართალია, თემურ რაქვიაშვილი ჩვენს გუნდში გააგრძელებს კარიერას. ფეხბურთელთან მომავალი კონტრაქტის პირობებზე უკვე მოვილაპარაკეთ. ჩვენ ვიცით რაქვიაშვილის შესაძლებლობები და მჯერა, ჩვენს გუნდს დიდ სარგებელს მოუტანს"*, - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა "მესხეთის" პრეზიდენტმა **გია მესხელმა**.

ახალ გუნდში რაქვიაშვილი პირველ მატჩს ხვალ ჩაატარებს, ამხანაგურ შეხვედრაში ახალციხელები ქუთაისის "ტორპედოს" შეხვდებიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**
**დავით ცაბაძე**




"დინამო თბილისს" პრეზიდენტი დაელუპა.

საქართველოში კი არა, ბევრგან სანთლით საძებარია საფეხბურთო კლუბის ფულით უზრუნველყოფილი პრეზიდენტი.

ბადრი პატარკაციშვილის ხელში "დინამომ" ეპოქა ვერ შექმნა და ევროსარბიელზე ძველი დიდება ვერ დაიბრუნა, მაგრამ პატარკაციშვილის "დინამოში" ბევრი კარგი საქმე გაკეთდა.

პატარკაციშვილმა "დინამო" პოლიციისგან 2001 წელს იყიდა. მაშინ ის ახალი დაბრუნებული გახლდათ საქართველოში და უტიტულოვანესი ქართული კლუბის შეძენა მისთვის მხოლოდ ბიზნესი არ იყო.

"დინამოში" ფული გაჩნდა, მოიწვიეს ხორვატი მწვრთნელი ივო შუშაკი, იყიდეს ფეხბურთელები, გუნდმა დაიბრუნა საქართველოს ჩემპიონობა და თასი, მაგრამ ვერ იყო ყველაფერი კარგად "დინამოში". მოფულიანებულ გუნდს ძალიან ბევრი ჰიენა გამოუჩნდა.

შუშაკის ხელში "დინამომ" ევროსარბიელზე ვერაფერი გააწყო და პატარკაციშვილმაც გზა ახალგაზრდებს დაუთმო - კლუბის მმართველი დავით პეტრიაშვილი და მწვრთნელი გია გეგუჩაძე - ამ ტანდემით "დინამო" უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გავიდა. ასეთი წარმატება მანამდე არც ერთ ქართულ გუნდს არ ჰქონია და ალბათ, ვერც ექნება ახლო მომავალში.

პეტრიაშვილი-გეგუჩაძის ეპოქა მალევე დასრულდა "დინამოში". ეს ისეთი კლუბია, შეცდომებისთვის ყველას მკაცრად რომ სჯის. მას შემდეგ "დინამოს", ფაქტობრივად, არ აქვს არც საკლუბო ფილოსოფია და არც სტრატეგიულად გათვლილი პოლიტიკა. პატარკაციშვილი არ იყო ფეხბურთზე ფანატიკურად შეყვარებული - "დინამოში" მომხდარი ამბები მისთვის ვინძლო განზილება იყო, ბოლო წლებში ის არც კი დადიოდა დილმის ბაზაზე.

მას ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად საკუთარი ფავორიტიც კი უნდოდა, მაგრამ პეტრიაშვილმა 2002 წელს არჩევნები მერაბ ჟორდანიასთან წააგო.

ფეხბურთიდან პატარკაციშვილი ოლიმპიურ სარბიელზეც გადაერთო - შექმნა ოლიმპიური ფონდი, მერე კი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტიც

# ძნელად დასაწერი ნეკროლოგი

გახდა. და შედეგიც - ათენის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველომ ორი ოქრო და ორი ვერცხლი მოინაგრა.

ოლიგარქებს ხელისუფლება განსაკუთრებული ამრეზითა და შიშით უყურებს განვითარებად ქვეყნებში. პატარკაციშვილი ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობიდან სახელდახელო პუტჩით ჩამოაგდეს.

კაი ქვეყნებში, მაგალითად, ბრიტანეთში ყველაფერი სხვანაირადაა. იქ ნეკროლოგი ჟურნალისტიკის ერთი ჟანრია, ოღონდაც ბრიტანულ გაზეთებში ნეკროლოგი ცნობილი ადამიანის გარდაცვალებიდან რამდენიმე კვირაში იწერება - მასზე ყველაფერი კარგად უნდა ინახოს, გადამოწმდეს, ემოციური ფონიც დაცხრეს და მერე დაიწეროს, ვინ ვინ იყო.

საერთოდ, გენერლები ლოგინში კვდებიან, ჯარისკაცები კი - ბრძოლის ველზე. პატარკაციშვილის ნეკროლოგი, ალბათ, ძალიან ძნელი დასაწერია.

**დავით თავართქილაძე**



ბადრი პატარკაციშვილი

მეტოქე

# ტრაპატონის ტარდელი დაეხმარება



მარკო ტარდელი

ირლანდიის ეროვნული ნაკრების ახალმა თავკაცმა **ჯოვანი ტრაპატონიმ** თავისი თანაშემწის ვინაობა უკვე დაასახელა. მას ამ საქმეში თანამემამულე, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი **მარკო ტარდელი** დაეხმარება. თავის დროზე იგი ტრაპატონისთან ერთად ტურინის "იუვენტუსში" მუშაობდა.

*"ძალიან მიხარია, რომ ტრაპატონიმ ეს პოსტი შემომთავაზა. ირლანდიის ნაკრების წარმატებისთვის არაფერს დავიშურებთ. განსაკუთრებით "სკუადრა აძურასთან" შეხვედრებს ველით, მჯერა, წარმატებით თამაში იტალიის ნაკრებთანაც შეგვიძლია. ირლანდიას 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის რეალური შანსი აქვს"*, - ამბობს ტარდელი.

**ლევან ჯანეზაშვილი**



## კორღალიძემ და დვალმა ისევ მოიგეს

მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფმა მოლდოვურმა "დაჩიამ" მორიგ ამხანაგურ მატჩში უკრაინულ კლუბს, ჩერკასის "დნეპრს" სძლია 2:1. შეხვედრაში სამმა ჩვენებურმა მიიღო მონაწილეობა. "დაჩიას" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ქართველი ფორვარდი **ჯაბა დვალი** მეორე ტაიმიდან ჩაერთო თამაშში. ტესტირებაზე მყოფი **ლევან კორღალიძე** და ასევე ქართულ ფეხბურთს ნაზიარები **დიმიტრი პარამონოვი** კი სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ. "დაჩიას" წინა მატჩი ლევან კორღალიძემ მოაგებინა, ამჯერად კი ჩვენებურებს გოლი არ გაუტანიათ.

## ლოკომოტივმა ქართველების გარეშე მოიგო

მოსკოვის ""ლოკომოტივი" გუშინ იაპონურ "ხიროსიმას" გაეჯიბრა და 3:2 მოიგო. "ლოკომოტივმა" გადახალისებუი შემადგენლობით ითამაშა, მწვრთნელებმა ტესტირებაზე მყოფ ფეხბურთელებს მისცეს თავის წარმოჩენის შანსი. **მალხაზ ასათიანსა** და **დავით მუჯირს** შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

"ლოკომოტივი" მორიგ საკონტროლო შეხვედრას ხვალ 16 თებერვალს სლოვენიურ "ოლიმპიასთან" გამართავს.

## ვიხნერი, კენედი, იაშვილი

ბუნდესლიგური "კარლსრუე" ბოლო ტურში "ჰანოვერთან" დაზავდა - 2:2. ამ შეხვედრაში ქართველმა ფორვარდმა **ალექსანდრე იაშვილმაც** მიიღო მონაწილეობა და მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესოც გახლდათ. ამაზე მეტყველებს "კარლსრუეს" ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული გამოკითხვის შედეგები. კითხვა ასეთი იყო – ვის მიიჩნევთ "ჰანოვერთან" მატჩში "კარლსრუეს" საუკეთესო მოთამაშედ? გამოკითხვაში "კარლსრუეს" 12 305-მა გულშემატკივარმა მიიღო მონაწილეობა. პირველ ადგილზე მცველი **კრისტიან ვიხნერი** გავიდა, მეორეზე - ფორვარდი **ჯოშუა კენედი**, მესამე კი ალექსანდრე იაშვილი გახლავთ.

დავით ცაბაძე

## ჯაკობიას შანსები

თურქულ შეკრებაზე მყოფმა პოლტავის "ვორსკლამ" საკონტროლო მატჩი რუსეთის პირველი ლიგის ბინადარ "მეტალურგ-კუზბასის" წინააღმდეგ ჩაატარა. შეხვედრა არცთუ სანახაობრივი გამოდგა და ფრედ, 0:0 დასრულდა. "ვორსკლას" შემადგენლობაში ლაშა ჯაკობიამ მეორე ტაიმში ითამაშა. ქართველი ფორვარდი აქტიური იყო, უკრაინული პრესის ცნობით, მან რამდენიმე საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა.




გამოვიდა ორნაწილიანი წიგნი „ცხელი ზაფხულის 40 დღე". წიგნში მოთხრობილია 2005 წელს, უშბასა და შხელდაზე დატრიალებული ტრაგედიების რეალური ისტორია. იმ ავბედით წელს, 40 დღის შუალედში დატრიალებულმა ორმა ტრაგედიამ შეძრა ქართული ალპინისტური და არა მხოლოდ ალპინისტური საზოგადოება. წიგნის პრეზენტაცია-გაყიდვა გაიმართება 2008 წლის 18 თებერვალს, 17 საათზე საქართველოს ეროვნული მუზეუმის ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქარვასლა). წიგნის გაყიდვიდან შემოსული თანხა გადაეცემა ამ ტრაგედიის დროს დაღუპული ორი მთამსვლელის, მერაბ ხაბაზისა და მიხეილ ჩაჩანიძის (კასალაპას) ოჯახებს.

## ქართული ტრანსფერები

| გუნდი | წავიდნენ | მოვიდნენ |
|---|---|---|
| დინამო | კობახიძე (დნეპრი), გონჩაროვი, გრიშიკაშვილი, ფეიქრიშვილი, | ნერგაძე, გრიგალაშვილი (ორივე ბორჯომი) |
| ზესტაფონი | კ. ჩხეტიანი (სიონი), გ.ნოდ. ჭელიძე (იჯარა დასრულდა), სანტოსი | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) |
| ვიტ ჯორჯია | გელაშვილი (ზესტაფონი), პ. დათუნაიშვილი | ბ. ცხადაძე (ამერი), ყველაშვილი (ბორჯომი) |
| ბორჯომი | შეყრილაძე (ოლიმპი), აკობია (ულისე, სომხეთი), ლ. მერებაშვილი (მესხეთი), გრიგალაშვილი, ნერგაძე (ორივე დინამო), შ. ჯიქია (სიონი), ყველაშვილი (ვიტ ჯორჯია) | - |
| ოლიმპი | მ. ალავიძე (ლოკომოტივი), ნავალოვსკი, რ. ჯიქია (ორივე ანჟი), დვალიშვილი, ქებაძე, ჯილდასი, ჟივკოვიჩი, კოშკაძე (მესხეთი) | ომელიანოვი, შეყრილაძე (ბორჯომი), ხუბუა, ფარულავა (ორივე მგლები) |
| ამერი | ბ. ცხადაძე (ვიტ ჯორჯია), კობაური (სიონი), ბოლქვაძე (სიმურგი), ჯელაძე (ვოსტოკი), ვარდოსანიძე | - |
| მესხეთი | კაიდარაშვილი ზ. ჩხეტიანი (ორივე ლოკომოტივი), გ. თურმანიძე (ბათუმი), ჰ. აკოფიანი | ლ. მერებაშვილი (ბორჯომი), კოშკაძე (ოლიმპი) |
| მგლები | ხუბუა, ფარულავა (ორივე ოლიმპი), ჭედია (ბელარუსი) | - |
| სიონი | სტურუა, თავბერიძე, ევოჩე, რაქვიაშვილი (მესხეთი), ქუთათელაძე, ა. ნოზაძე, მენთესაშვილი, კვიციანი, კოსტავა, ვაშაკიძე | კ. ჩხეტიანი (ზესტაფონი), ბ. ნოზაძე, ზ. ავალიანი (ორივე მერანი), შ. ჯიქია (ბორჯომი), შავგულიძე (ტორპედო), კობაური (ამერი) |
| სპარტაკი | პარამონოვი, ჩირიკაშვილი, ტატაევი, კეტაშვილი | - |
| მერანი | ბ. ნოზაძე, ზ. ავალიანი (ორივე სიონი), სევასტოპულო, მამარდაშვილი ( ორივე მაღაროელი) | - |
| ლოკომოტივი | ყენია (შალკე), გვარამაძე (კარიერა დაასრულა) | კაიდარაშვილი (მესხეთი), მ. ალავიძე (ოლიმპი), |
| დილა | - | - |
| ბათუმი | მამინაშვილი (რუსეთი), დარჩიძე | გ. თურმანიძე (მესხეთი) |

გახსენი... ყაზბეგი

www.kazbegi.com

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ლეგიონერი

# ჭედიას ტესტი გოლთან ერთად

## გოგინაშვილისა და თოდუას სპორტული ფრე

ბელორუსის ქართულ ლეგიონს შესაძლოა კიდევ ერთი შეემატოს. 19 წლის თავდამსხმელი **გიორგი ჭედია**, რომელმაც მიმდინარე სეზონის პირველი ნახევარი ზუგდიდის "მგლების" შემადგენლობაში გაატარა და შემდეგ რუსთავის "ოლიმპში" აპირებდა გადასვლას, სინჯებს ბელარუსულ ჟოდინოს "ტორპედოში" გადის. "ტორპედო" ამხანაგურ მატჩში რუმინეთის მეორე დივიზიონში მოასპარეზე "ლიბერცის" დაუპირისპირდა და 2:0 მოიგო. ბელორუსებმა ორივე გოლი მეორე ტაიმში გაიტანეს. "ტორპედოს" ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ქართველი ფორვარდი 46-ე წუთიდან ჩაერთო თამაშში და 70-ე წუთზე საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა. ჟოდინოელები მომდევნო ამხანაგურ მატჩს ხვალ 16 თებერვალს კიდევ ერთ რუმინულ გუნდ "სპორტულთან" გამართავენ.

მანამდე კი "სპორტული" ანთალიურ შეკრებაზე მყოფ ბრესტის "დინამოს" შეხვდა, სადაც **გია თოდუა** და **რომან გოგინაშვილი** თამაშობენ. ჩვენებურთა გუნდმა რუმინელთა წინაალმდეგ ორი შემადგენლობით ითამაშა. თოდუა და გოგინაშვილი 46-ე წუთიდან ჩაერთნენ თამაშში. იმ დროისათვის "სპორტული" 2:1-ს იგებდა, თუმცა ბრესტელებმა საბოლოოდ 2:2 ფრე ითამაშეს.

"დინამო" მორიგ ამხანაგურ მატჩს დღეს ლატვიურ "დაუგავასთან" გამართავს.

**დავით ცაბაძე**



გიორგი ჭედია

ღია საუბრები

# ქართული ფეხბურთი ჯერ სინანულთან ასოცირდება, ხვალ უარესი იქნება, თუკი...

"მზად ვართ ღია დიალოგისთვის", ამ სათაურით და რუბრიკა "გამოძახილით" "ლელოს" 9 თებერვლის ნომერში ლატვიელებთან ამხანაგურ საფეხბურთო მატჩში საქართველოს ეროვნული ნაკრების სამარცხვინო მარცხს შევეხეთ. რედაქციის თხოვნით, თავისი შეხედულება გაგვიზიარა ცნობილმა ვეტერანმა, საფეხბურთო არბიტრმა ელდარ ჩიფჩიურმა. ბოლოს ვნერდით, რომ რედაქცია სხვის მოსაზრებებსაც სიამოვნებით დაუთმობდა გაზეთში ადგილს ქართული ფეხბურთის პრობლემებთან დაკავშირებით.

უკვე რამდენიმე დღეა, "ღია საუბრებში" ჩვენი საზოგადოების სხვადასვა ასაკის და პროფესიის ადამიანები ჩაერთნენ, რომლებსაც საერთო სურვილი ამოძრავებთ - ბოლოს და ბოლოს იხილონ ღირსეული, წელში გამართული ეროვნული ნაკრები, შეიქმნას ქვეყანაში ფეხბურთის განვითარების მწყობრი სისტემა, რომელიც სწორი მიმართულებით წაიყვანს საფეხბურთო მეურნეობას და ორიენტირებული იქნება მაღალ მიღწევებზე.

მაშ, მოვუსმინოთ რესპონდენტებს და ერთად ვიფიქროთ საფიქრალზე, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით მხოლოდ სინანულთან ასოცირდება, ხვალ კი უარესი იქნება, თუკი დროზე არ მივხედავთ საქმეს. აქვე ვიტყვით, რომ ბევრ სატელეფონო ზარში ერთსა და იმავე თემაზე მახვილდება ყურადღება, ამიტომ მხოლოდ იმ მკითხველს ვუთმობთ ადგილს, რომელთა შეხედულება და აზრი უფრო მკაფიოდაა ჩამოყალიბებული. თუმცა, ვიტყვით იმასაც, რომ ზოგიერთ ფაქტს გადამოწმება სჭირდება და ამიტომ ნუ გვიწყენენ ავტორები თუ მათი გულისტკივილი უმალვე ვერ მოხვდება ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

**თამაზ ფარქოსაძე** *(თბილისი, პროფესიით ინჟინერი)*: "გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ვარ ფეხბურთის გულშემატკივარი. ყველა თბილისის "დინამოზე" ვიყავით შეყვარებული. რა დამავიწყებს ჯერ 1976 წლის 3 სექტემბერს, როცა თბილისის "დინამომ" ერევნის "არარატს" მოუგო მოსკოვში და პირველად დაეუფლა სსრკ-ის თასს, მეორედ კი ეს ჯილდო ჩვენებმა მოიპოვეს 1979 წლის 11 აგვისტოს - პენალტების სერიით მოუგეს რა საფინალო მატჩი, მოსკოვის "დინამოს" თავისივე ქალაქში. და დიდების გვირგვინი - 1981 წლის 13 მაისი, დიუსელდორფი. ბევრი საფეხბურთო ქვეყნისთვის სანუკვარი ევროპის თასების მფლობელთა თასი, იენის "კარლ ცაისის" ძლევით, თბილისში გამოემგზავრა. ეს რაც მე ვიცი და მახსოვს, მაგრამ ქართული ფეხბურთის ისტორია სხვა მიღწევებითაცაა ცნობილი, აღარაფერს ვამბობ პიროვნულად დიდებულ ფეხბურთელებზე. დამოუკიდებლობა კი მოვიპოვეთ, მაგრამ რატომ დავკარგეთ ქართული საფეხბურთო ტრადიციები, ვერ გამიგია. არა მგონია, პრობლემა მოუგვარებელი იყოს. საჭიროა მეტი პატრიოტიზმი, ჩემი აზრით, უპასუხისმგებლობა და მაამებლობა, ძმაბიჭობა ღუპავს საქმეს. ძალიან ცუდი ხმები რომ დადის სფფ-სთან და მოწვეულ მწვრთნელებთან, ფეხბურთელების ტრანსფერებთან დაკავშირებით, ამას წაყრუება კი არა, შესწავლა და გამომზეურება უნდა. თქვენმა რედაქციამ უფრო აქტიურად უნდა იმოქმედოს".

**ვახტანგ კვიმსაძე** *(ქუთაისი, პედაგოგი, უმუშევარი)*: "ხომ ხედავთ, რა ხდება ქართულ ფეხბურთში. ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი, რომელსაც გარკვეული ამბიციები ჰქონდა ყოველთვის, უარს აცხადებს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობაზე. მეტი საგანგაშო ფაქტი რაღა გინდათ. განა იქ, სადაც საფეხბურთო საქმე აწყობილია, ასეთი რამე შეიძლება მოხდეს? რაც ხდება, უკვე ქართული ფეხბურთის საბოლოო რღვევისა და დაცემის მიმანიშნებელია. რჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენი ფეხბურთის ჭირი, ლობის ჩხირია და მეტი არაფერი. ნუთუ, მართლა იქით მივდივართ რომ ყველა სიამაყეზე ვთქვათ უარი"?

**მერაბ ცივაძე** *(ბათუმი, სტუდენტი)*: "რაც ბოლო წლებში ქართულ ფეხბურთში ხდება, იმაზე მიგვანიშნებს, რომ ადამიანები, ვინც ამ სფეროში მოღვაწეობენ და მოეკითხებათ; ნებაზე არიან მიშვებულნი, საერთო სატკივარს არად აგდებენ, სამაგიეროდ, "კარგად ბანენ ერთმანეთის ხელს". ნუ დამაკონკრეტებინებთ, ყველამ კარგად იცის, რაც ხდება. რეგიონებშიც კვდება ფეხბურთი. ბათუმის, ფოთის, სხვათა დამსახურება ვილას ახსოვს. ეროვნულ ნაკრებში კვლავ რჩებიან მოწვეული მწვრთნელები. მეც და ყველას, ალბათ, აინტერესებს, ვინ არის კმაყოფილი უცხოელი მწვრთნელების მუშაობით და რა რის გამო, ვინ იღებს პასუხისმგებლობას, თუ საქმე არ გამოსწორდება და შედეგებს კიდევ უფრო უარესს მივიღებთ? მერე, ვინ, ვისკენ გაიშვერს თითს, კაცმა არ იცის".

**რამაზ გველესიანი** *(თბილისი, მძღოლი)*: "ბავშვობაში მეც ვთამაშობდი ფეხბურთს. მაშინ, ვიცოდით, ზოგს მოსწავლეთა ნაკრებში გვქონდა მოხვედრის შანსი, ზოგს სხვადასხვა უწყების გუნდებში, ანუ მასობრივ ფეხბურთში, ზოგს დიდ ფეხბურთში. მოკლედ, იყო მოტივაცია. ახლა, მგონი ყველა იმაზე ფიქრობს, როგორ წავიდეს უცხოეთში. საერთოდ, ქართული ფეხბურთის საფუძველთა საფუძველი ბავშვთა ფეხბურთია. როგორც ვიცი, იქაც სრული ქაოსი და განუკითხაობაა. სწორად შენიშნავდა ელდარ ჩიფჩიური - სელექციონერებმა უნდა მიხედონ საქმეს, თანაც მთელ ქვეყანაში. შეიქმნას ნიჭიერთა სპეცსკოლა თუ ინტერნატი.

ნუ მიწყენთ, მაგრამ მგონია, ქართული ფეხბურთის ისტორია აღარავის აინტერესებს. აბა, რას უნდა მივაწეროთ, რომ ქართული ფეხბურთის და თბილისის ფეხბურთის საუკუნოვანი ისტორია, მიუხედავად თქვენი გაზეთის მიერ არაერთგზის შეხსენებისა, არავის გახსენებია. სხვათა შორის, ახლა აფხაზეთის ფეხბურთის დიდი საიუბილეო თარიღიც ახლოვდება.

# ქართული ფეხბურთის ქომაგთა კონფერენციის რეზოლუცია

ქართული ფეხბურთის ქომაგები ქართულ ფეხბურთში შექმნილ მდგომარეობას ვაფასებთ როგორც კრიზისულს. თვალსა და ხელს შუა ქრება ის დიდი ავტორიტეტი, რომელიც ათეულობით წლის მანძილზე მოიპოვეს ჩვენი ფეხბურთის სხვადასხვა თაობებმა.

ჩვენი ფეხბურთისათვის ამ მძიმე პერიოდში დუმილი და გაჩუმება დანაშაულის ტოლფასია. ჩვენს ფეხბურთს კრიზისიდან ვერ გამოიყვანს ფეხბურთის ფედერაციის დღევანდელი ხელმძღვანელობა, მათ ამისათვის არც პროფესიონალიზმი გააჩნიათ და არც ნება. საქართველოს საფეხბურთო საზოგადოებამ და მთელმა ერმა კარგად იცის, რომ 2007 წლის 13 მაისის ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ბატონ ნოდარ ახალკაცს და მის სამოქმედო პროგრამას მხარი არ დაუჭირა ქართულმა საფეხბურთო ოჯახმა. სრულ უნდობლობას უცხადებს ჩვენი საფეხბურთო სამყარო იმ უცხოელ მწვრთნელებსაც, რომელთაც ჩააბარა საქართველოს ნაკრებები ფეხბურთის ფედერაციამ.

ჩვენი ღრმა რწმენით ქართული ფეხბურთის წინაშე მდგომი რთული ამოცანების გადაჭრა შეუძლიათ მხოლოდ საფეხბურთო პრობლემების კარგად მცოდნე, ქვეყნის პატრიოტ, თანამედროვე საფეხბურთო ტენდენციებში კარგად გარკვეულ, მტკიცე, ურყევი ნების მქონე პროფესიონალებს, ქართული საფეხბურთო სამყაროს ჭეშმარიტ რჩეულთ.

ქართული ფეხბურთის ქომაგთა კონფერენცია ახმოვანებს სრულიად საქართველოს ფეხბურთის მოყვარულთა ნებას, დაუყოვნებლივ შეუწყდეთ კონტრაქტები საქართველოს ნაკრებებში ნარუმატებლად მომუშავე უცხოელ მწვრთნელებს, ასევე დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა, სადაც იქნება არჩეული სრული ლეგიტიმურობის მქონე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, რომელიც პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდით, ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო ძალების სრული კონსოლიდაციით მოახერხებს ჩვენი ფეხბურთის კრიზისიდან გამოყვანას.

ქართული ფეხბურთის
ქომაგთა კონფერენცია

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ინ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ტრავმა

# რონალდომ ოპერაცია მოითხოვა, შანსი მინიმალურია...



რონალდოს საბედისწერო ტრავმა

მკითხველი ინფორმირებულია, რომ "ლივორნოსთან" ოთხშაბათის მატჩში **რონალდომ** მძიმე ტრავმა მიიღო და ფეხბურთს დიდი ხნით ჩამოშორდა. მართალია, "მილანის" პრეზიდენტი **სილვიო ბერლუსკონი** იმედოვნებს, რომ "ფენომენი" აუცილებლად დაბრუნდება, მაგრამ რეალურად, სიტუაცია ასეთია: ფეხბურთელს მარცხენა მუხლის მყესები აქვს განყვეტილი. ეს მისი ძველი ტრავმაა. ანალოგიური დაზიანება (ოღონდ, მარჯვენა მუხლზე) მან 2000 წელს, "ლაციოსთან" მატჩშიც მიიღო და დაახლოებით 7 თვე გაუცდა, ახლა კი საუბარია 8-10 თვეზე. ამ ვითარებაში, მეტად საეჭვოა, "როსონერიმ" მას კონტრაქტი გაუგრძელოს. რონალდოს მოქმედი ხელშეკრულება ზაფხულში იწურება. თუკი მას წლის ბოლომდე დაბრუნდების შანსი არ აქვს, "მილანს" ალტერნატივის ძიება მოუწევს.

"ფენომენი" კი უკვე დღეს დგას დილემის წინაშე. თუ ის ოპერაციას გაიკეთებს, 99-პროცენტიანი ალბათობით შეიძლება ითქვას, რომ კარიერის დასრულება მოუწევს. "მილანის" ექიმის **მასიმილიანო სალას** თქმით, რონალდომ თავად მოითხოვა მუხლზე ქირურგიული ჩარევა:

*"დიახ, ეს მისი ინიციატივა იყო. ასევე, მისი მოთხოვნაა, იმ ბრიგადამ გაუკეთოს ეს ოპერაცია, რომელმაც მას 2000 წელს უმკურნალა. მას შემდეგ მედიცინა წინ წავიდა. შესაბამისად, თუ ყველაფერი კარგად იქნა და ღმერთმაც გადმოგვხედა, არის შანსი, რომ დაუბრუნდეს ფეხბურთს და თავისი სიდიადე კიდევ ერთხელ დაამტკიცოს. თუმცა ჩვენ დროს ვერ გავაჩერებთ და ვერ ვიტყვით ზუსტად, რამდენ ხანს გასტანს აღდგენითი პროცესი".*

საქმე ისიცაა, რომ 2000 წელთან შედარებით, რონალდო 8 წლით "მოხუცდა", ასეთ სიტუაციაში კი აღდგენითი პროცესი თავისთავად იწელება. ასე რომ, დრო "კიჭას" სასარგებლოდ ნამდვილად არ მოქმედებს. მაგრამ ბერლუსკონის იმედი აქვს, რომ 32 წლის ასაკში რონალდო ფეხბურთიდან წასვლას არ გადაწყვეტს. ვნახოთ...

მოსალოდნელი ტრანსფერები

# ამაურისთვის ბრძოლაში იუვე დაწინაურდა

## ქალბატონს დიარაც უნდა, ინტერსაც...

**კარვალიო ამაური** რომ "პალერმოდან" წავა, ეს უკვე გადაწყვეტილი ამბავია. ფეხბურთელს მოკრძალებულ სიცილიურ კლუბში დარჩენა აღარ სურს. მისი ამბიცია გაცილებით მეტია, ვიდრე "პალერმო". ამაური თვლის, რომ მას აქვს საამისო პოტენციალი, რათა ძალები რომელიმე გრანდში მოსინჯოს.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ მასზე პრეტენზიას ოთხი დიდი ევროპული კლუბი აცხადებს, თუმცა მათი ვინაობა არ აფიშირდება. ადრევე ვიცოდით, რომ ერთ-ერთი მათგანი "იუვენტუსი" იყო. გასულ ზაფხულს გარიგება თითქმის გაჩარხული იყო, მაგრამ მიზეზთა გამო, ტრანსფერი "პალერმოს" პრეზიდენტმა **მაურიციო ძამპარინიმ** დაბლოკა. "ტუტოსპორტის" მტკიცებით, ამ ტრანსფერის საქმეში ტურინული გრანდი დღესაც მოწინავე პოზიციაზეა. თუმცა ძამპარინი ამ ვერსიას არ იზიარებს: *"ეს არის ოთხი დიდი კლუბი, რომელსაც ამაური აინტერესებს. "იუვენტუსი"? თუ მათ სურთ ბრაზილიელი ფორვარდის ყიდვა, შეუძლიათ უკეთ და სწრაფად იმოქმედონ".*

სიცილიელთა ოდიოზურმა ბოსმა ამით მიანიშნა, რომ უარს არაა, საქმე სწორედ ტურინელ კოლეგებთან დაიჭიროს. აქ არის მისი ინტერესიც. "იუვენტუსს" ჰყავს ფეხბურთელები, რომლებიც ძამპარინის "პალერმოსთვის" უნდა. ამიტომ, ის აპირებს, მეორე მხარეს შემხვედრი წინადადებით მიმართოს. ძამპარინის **რაფაელე პალადინო** აინტერესებს. თუმცა ამ უკანასკნელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ "იუვენტუსს" არც ერთ სხვა კლუბზე არ გაცვლის. სხვათა შორის, პალადინოს პრემიერლიგაში გადასვლასაც უწინასწარმეტყველებენ.

საპასუხოდ, "იუვენტუსი" პალერმოელებს **მანუელე ბლაზისა და მარსელო სალაიეტას** შესთავაზებს. ეს ფეხბურთელები "სინიორას" "ნაპოლიში" ჰყავს განათხოვრებული. სალაიეტა კამპანიურ კლუბში გაცილებით უკეთ გამოიყურება, ვიდრე თავის დროზე "იუვენტუსში". ბლაზიც "ნაპოლის" ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრია. ამიტომ, ტურინელებს ურჩევნიათ, მზარდი პალადინო შეინარჩუნონ და ძამპარინის სწორედ ხსენებული ფეხბურთელები შეაჩეჩონ.

ამასობაში, **მაჰამადუ დიარას** აგენტი **ფრედერიკ გუერა** აცხადებს, რომ მისი კლიენტით "იუვენტუსი" და "ინტერი" არიან დაინტერესებულნი. პარალელურად, ესპანური გამოცემა "სპორტი" გვარწმუნებს, რომ დიარას მადრიდული მომავალი ეჭვქვეშაა. **ბერნდ შუსტერის** არჩევანი სულ უფრო ხშირად **ფერნანდო გაგოსკენ** იხრება, მით უფრო, რომ აფრიკის ეროვნებათა თასის გათამაშების დროს დიარას სწორედ გაგო ცვლიდა და ერთობ კვალიფიციურადაც. აგენტის განცხადებაზე "რეალის" ხელმძღვანელობას კომენტარი არ გაუკეთებია. ახლა კი თავად გუერას მოვუსმინოთ:

"მე უკვე მქონდა შეხვედრები მარკო ბრანკასა და ალესიო სეკოსთან (შესაბამისად, "ინტერისა" და "იუვენტუსის სპორტული დირექტორები). მინდა განვაცხადო, ისინი სერიოზულად არიან დაინტერესებულნი დიარას შეძენით. გეტყვით იმასაც, რომ იანვარშიც იყო გარიგების მცდელობა, მაგრამ ზამთრის პერიოდში კლუბები ძვირადღირებულ ტრანსფერებისგან თავს იკავებენ. თუმცა იმედი მაქვს, ზაფხულში გაცილებით სერიოზული მოლაპარაკებები დაიწყება".

გუშინვე გაჩნდა ინფორმაცია, რომ მალელი დიარას მიმართ ინტერესი "ლივერპულსაც" გაუჩნდა. "წითლები" მას ხავიერ მასკერანოს შემცვლელად მოიზრებენ იმ შემთხვევაში, თუკი არგენტინელი ივნისში "ენფილდს" დატოვებს. ცნობილია, რომ "იუვეს" თვალი მასკერანოზეც უჭირავს. სწორედ აქ შეიძლება დაემთხვეს "იუვენტუსისა" და "ლივერპულის" ინტერესები. ყველაფერი მოლაპარაკებების ტექნიკაზეა დამოკიდებული. თუ მასკერანო ტურინში წავა, ინგლისური გრანდი დიარას აიყვანს. ამით კი "ბებერი სინიორა" ორ კურდღელს დაიჭერს: ერთი, რომ სასურველ ფეხბურთელს (მასკერანო) თავისთან უკრავს თავს, და მეორე - კონკურენტ "ინტერს" დიარათი არ "გააძლიერებს".



კარვალიო ამაური



მაჰამადუ დიარა

ვეტერანი

# ფიგუ კიდევ ერთი წლით?

**ლუიშ ფიგუს** ჯერ არ გადაუწყვეტია, დატოვებს თუ არა "ინტერს" სეზონის დასრულების შემდეგ. როგორც იცით, ის ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს აპირებდა "ნერაძურიდან" ერთ-ერთ არაბულ კლუბში გადასვლას, მაგრამ **მასიმო მორატისთან** საუბრის შემდეგ აზრი შეიცვალა და ერთი წლით დარჩა. უკვე მოვიდა დრო, ფიგუმ მომავალი გაარკვიოს. მის ხელშეკრულებას ივნისში გასდის ყავლი. ლუიში 35 წლისაა. მას აღარ ძალუძს ძველ დონეზე თამაში, ამიტომ, ლოგიკურად ფიქრობს, რომ კარიერის ბოლო წლები სადმე, სიმშვიდეში გაატაროს. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ უკვე ივნისში ბუცებს ლურსმანზე მიუჩინოს ადგილი. ორიოდ დღის წინ, ამაზე მას "გაძეტა დელო სპორტმა" ჰკითხა: *"ვამთავრებ თუ არა ივნისში კარიერას? იცით, დღესდღეობით სწორედ ამ პერსპექტივას ვხედავ, მაგრამ გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია. არავინ იცის, რა იქნება რამდენიმე თვის შემდეგ".*

ამავე დროს, უკანასკნელი ინფორმაციები, რაც "ნერაძურის" შტაბიდან ჟონავს, გვაუწყებს, რომ ფიგუმ, შეიძლება, კიდევ ერთი წლით გადადოს წასვლა და დღევანდელ სამსახურში ხელშეკრულება გააგრძელოს. ტერფის ტრავმის გამო, მას ნოემბრის დასაწყისიდან არ უთამაშია. ახლა ის უკვე დაუბრუნდა სრულ საწვრთნელ პროცესს და ალბათ, მალე მწვანე მინდორზეც ვიხილავთ. **რობერტო მანჩინი** აცხადებს, რომ ფიგუ "ლივერპულთან" პირველი საჩემპიონთალიგო დაპირისპირებისთვის მზად არ არის. მაგრამ ლუიში სხვაგვარად ფიქრობს:

"თავს კარგად ვგრძნობ და ბევრს ვმუშაობ, რათა ძველებური კონდიციები აღვიდგინო. მანჩინიმ თქვა, ფიგუ მზად არ არისო? მაგრამ ეს მისი აზრია. მე კი ვიცი, რომ კარგად ვარ მომზადებული, აბსოლუტურად ყოველმხრივ. მაგრამ "ლივერპულთან" ვითამაშებ თუ მომდევნო შეხვედრაში, ჩემთვის ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია".

ფიგუს ინტერულ მომავალს ბევრად განსაზღვრავს ის, თუ როგორ დაბრუნდება. თუ მალევე აკრეფს ფორმას და "ნერაძურის" სკუდეტოს მოპოვებაში დაეხმარება, "გაძეტა დელო სპორტი" დარწმუნებულია, რომ ხელშეკრულება კიდევ ერთი წლით გაგრძელდება.



ლუიშ ფიგუ



რობერტო დონადონის სიმშვიდე სჭირდება

იტალიის ნაკრები

# დონადონი და ფედერკალჩო: შედეგი ჯერ არ ჩანს

## კონტრაქტის მუხლი, რომელიც მწვრთნელისთვის შეიძლება ნაღმად იქცეს

ვინ იქნება იტალიის ნაკრების მწვრთნელი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ? ამ კითხვაზე პასუხს, ალბათ, თავად ტურნირი გაგვცემს, ანუ, გააჩნია, რა შედეგს აჩვენებს "სკუადრა აძურა". **რობერტო დონადონის** მოქმედი კონტრაქტი ფინალური ეტაპის დასრულებიდან ორ კვირაში იწურება. ცხადია, მისი სურვილია, რომ სამსახური ამთავითვე დაბევებული ჰქონდეს. თუმცა ფეხბურთის ფედერაცია მაინცდამაინც არ ჩქარობს. თუ იტალიის ნაკრებმა ფიასკო განიცადა, ბუნებრივია, დღის წესრიგში დადგება მწვრთნელის შეცვლის საკითხი. მაგრამ საინტერესოა, ჩაითვლება თუ არა დონადონის მიღწევად, ვთქვათ, ნახევარფინალში გასვლა? ასეა თუ ისე, ფედერკალჩოს ხელმძღვანელთა მდგომარეობა მარტივი არ არის.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, თავის დროზე, პრეზიდენტმა **ჯანკარლო აბეტემ**, დონადონისთან თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი გამოთქვა. ფედერაციასაც სურს, რომ მწვრთნელის საკითხი დიდწილად გარკვეული იყოს მანამ, ვიდრე მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი დაიწყება. თუ დონადონის შეცვლაზე მიდგა საქმე, მის მემკვიდრეს მუნდიალის შესარჩევამდე ცოტა დრო ექნება გუნდის მოსამზადებლად.

გუშინ, დონადონისა და აბეტეს შორის ამ თემაზე პირველი საუბარი შედგა. მოსალოდნელი იყო, რომ მხარეები რაღაც შედეგს მიაღწევდნენ, თუმცა ფედერაციის კართან ატუზულ ჟურნალისტებს ხელთ უშედეგო შეხვედრა შერჩათ. დონადონიმ და აბეტემ კომენტარებისგან თავი შეიკავეს. ფედერკალჩო მხოლოდ ამ ინფორმაციით დაკმაყოფილდა:

*"ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტსა და მწვრთნელს შორის შეხვედრა პოზიტიურ ატმოსფეროში წარიმართა. მიზანი იყო, რომ მხარეებს სამომავლო თანამშრომლობის საკითხებზე ესაუბრათ და რაც შეიძლება დროულად გამოენახათ ახალი კონტრაქტის ჩარჩო-ვარიანტი. აბეტემ და დონადონიმ დათქვეს, რომ უახლოეს დღეებში კიდევ ერთხელ შეხვდებიან და შეეცდებიან, თვის ბოლომდე გარკვეულ შეთანხმებამდე მივიდნენ. ეს საშუალებას მისცემს მწვრთნელს, ევროპის ჩემპიონატამდეც და მის დროსაც მშვიდ ვითარებაში იმუშაოს".*

ამასობაში, "გაძეტა დელო სპორტი" ფედერაციასა და დონადონის შორის ერთგვარ უთანხმოებაზეც საუბრობს. თურმე, ფედერაციას სურს, რომ ახალ კონტრაქტში, რომელიც მწვრთნელს ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე უნდა შესთავაზოს, ჩაიდოს ასეთი მუხლი: ხელშეკრულება შეწყდება მაშინვე, თუკი იტალიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში ვერ გავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივერპული. ტრანსფერები

# კუიტი და კრაუჩი ნიუკასლში?

## სელტიკმა ჰიიპიას სამსახური შესთავაზა



დირკ კუიტი და პიტერ კრაუჩი შეიძლება ნიუკასლში აღმოჩნდნენ

ინგლისური სააგენტოების ცნობით, **დირკ კუიტმა**, შეიძლება, "ნიუკასლს" მიაშუროს. იანვრის ტრანსფერებისას **კევინ კიგანს** მისი თანაგუნდელის, **პიტერ კრაუჩის** შეძენა სურდა. ზაფხულში მან, შესაძლოა, ორივე ლივერპულელი ფორვარდი იყიდოსო, წერს "ფიფლი". ჯორდები კრიზისში არიან. კიგანის მისვლის შემდეგ გუნდმა ოთხი მატჩი ჩაატარა, სამი წააგო და ერთი ფრედ დაასრულა. ამ ოთხ თამაშში გუნდმა მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა. "ნიუკასლს" თავდასხმის გაძლიერება სჭირდება. **მაიკლ ოუენი** ნორმალურ ფორმაშია, მაგრამ მორიგი მძიმე ტრავმისგან დაზღვეული არ არის. ოუენის გარდა, ჯორდებს შედეგიანი თავდამსხმელი არა ჰყავთ. გაყიდის თუ არა "ლივერპული" კუიტსა და კრაუჩს? დიდი ხანია საუბრობენ იმის შესახებ, რომ **რაფა ბენიტესს** კრაუჩი აღარ სჭირდება. მის აბარგებას იანვარშიც ელოდებოდნენ. ტრანსფერი არ შედგა. უნდა ვივარაუდოთ, რომ სეზონის ბოლოს პიტერს ნამდვილად ახალი სამსახურის პოვნა მოუხდება. რაც შეეხება კუიტს, მას ბევრი გოლი ვერ გააქვს, მაგრამ ბენიტესს ამ ფეხბურთელის გაყიდვის სურვილი არ გამოუთქვამს. ესეც არ იყოს, "ლივერპული" მარტო **ფერნანდო ტორესის** იმედად ვერ დარჩება. ესპანელი ბომბარდირი რამდენიმე ფორვარდის საქმეს აკეთებს. ის რომ არა, ლივერპულელები უფრო მძიმე მდგომარეობაში იქნებოდნენ.

მერსისაიდელები, შეიძლება, კიდევ ერთ ფეხბურთელს, **სემი ჰიიპიას** გამოეთხოვონ. ფინელ მცველს ლივერპულური კონტრაქტი ივნისში ეწურება. მისთვის თანამშრომლობის გაგრძელება არ შეუთავაზებიათ. 34 წლის ვეტერანი "ენფილდ როუდზე" 1999 წელს, ჰოლანდიური "ვილემ მეორიდან" გადავიდა. ამ ხნის განმავლობაში მან 293 მატჩი ჩაატარა და 21 გოლი შეაგდო. მიმდინარე სეზონში ჰიიპია თადარიგში უნდა მჯდარიყო, მაგრამ "ლივერპულს" **დანიელ აგერი** დაუშავდა. მწვრთნელებს დიდხანს არ უფიქრიათ და მისი შეცვლა ჰიიპიას დააკისრეს. იანვრის ტრანსფერებისას "ლივერპულმა" სლოვაკი **მარტინ შკრტელი** შეიძინა. აგერი სადაცაა გამოჯანმრთელდება. დარჩენის შემთხვევაში, ჰიიპიას, ალბათ, მხოლოდ ლიგის თასის მატჩებში მოუწევს ასპარეზობა. ის უფრო მეტს იმსახურებს. სემის "სელტიკი" დაუკავშირდა. მიმომხილველთა ვარაუდით, ფინელი ვარსკვლავი გლაზგოურ კლუბში გააგრძელებს კარიერას.

უმდიდრესი კლუბები

# რეალი ისევ პირველია

## ერთი წლის შემდეგ აუდიტები მანჩესტერ იუნაიტედის გალიდერებას წინასწარმეტყველებენ

ცნობილმა სააუდიტო კომპანიამ "დელოიტ ენდ ტუშმა" მსოფლიოს უმდიდრესი კლუბების მორიგი რეიტინგი გამოაქვეყნა. ცხრილი ბოლო ერთი წლის მონაცემების მიხედვითაა შედგენილი. მის სათავეში ცვლილებები არ შეინიშნება. უმდიდრესი ისევ მადრიდის "რეალია". მას ფეხდაფეხ მიჰყვება მანჩესტერ იუნაიტედი. მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ერთი წლის შემდეგ ეშმაკები "რეალს" გადაუსწრებენ, რადგან საგაისო ფინანსურ დოკუმენტებში სრულად აისახება ის თანხები, რომელსაც "იუნაიტედი" ახალი სატელევიზიო კონტრაქტით მიიღებს.

"დელოიტის" ექსპერტები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ლივერპულის მდგომარეობას. მერსისაიდელების ფინანსური ბრუნვა გაიზარდა, მაგრამ ძალიან უმნიშვნელოდ, მხოლოდ 13 პროცენტით. ეს სხვა ინგლისური კლუბების შემოსავლების ზრდასთან შედარებით, ზღვაში წვეთია. ექსპერტები ამას იმით ხსნიან, რომ ზუსტად ერთი წლის წინათ, ამერიკელმა ინვესტორებმა, **ჯორჯ ჟილეტმა** და **ტომ ჰიკსმა** კლუბის შესაძენად 350 მილიონი გირვანქას ისესხეს. "ლივერპული" უსახურ სეზონს ატარებს. კლუბს ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩენა ემუქრება. თუ ასე მოხდა, მერსისაიდელები სოლიდურ შემოსავალს დაკარგავენ და სერიოზული ფინანსური ზრდის იმედი არც საგაისო რეიტინგში უნდა ჰქონდეთ.

უმდიდრესი 20 კლუბის სიაში 19 კლუბს დიდ საფეხბურთო ქვეყნებს წარმოადგენს. ერთადერთი გამონაკლისია შოტლანდიური "სელტიკი", რომელმაც საპატიო მე-17 საფეხური დაიკავა. აღსანიშნავია "იუვენტუსის" დაქვეითება მე-3-დან მე-12 საფეხურამდე. მოგეხსენებათ, ტურინელებმა გასული სეზონი ქვედა დივიზიონში გაატარეს და დიდი ფინანსური ზარალი ინვნიეს. "იუვენტუსის" ზემოთ ინგლისურ, ესპანურ და იტალიურს კლუბებს შორის, ერთადერთი გერმანული კლუბი იმყოფება. ესაა "ბაიერნი". ის გერმანიის უმდიდრესი კლუბია. საკმარისია, შევადაროთ "ბაიერნის" ფინანსური მაჩვენებლები უმდიდრესი ინგლისური და ესპანური კლუბების მაჩვენებელს და მაშინვე მივხვდებით, თუ რა განსხვავებაა ინგლისის, ესპანეთისა და გერმანიის ჩემპიონატების ფინანსურ შესაძლებლობებში. გერმანიას სიაში კიდევ სამი კლუბი წარმოადგენს. საფრანგეთს ორი უმდიდრესი კლუბი ჰყავს. დანარჩენ ადგილებს ინგლისი, ესპანეთი და იტალია ინაწილებენ. დასასრულს, "დელოიტ ენდ ტუშის" სია. ფრჩხილებში მითითებულია კლუბების ადგილი წინა წლის სიაში, კლუბების გასწვრივ მოცემულია მათი ფინანსური ბრუნვა ბოლო ერთი წლის განმავლობაში. თანხა მითითებულია ინგლისურ გირვანქებში:

| კლუბი | ბრუნვა |
|---|---|
| 1(1). რეალი (მადრიდი, ესპანეთი) | 236.2 |
| 2(4). მანჩ. იუნ. (მანჩესტერი, ინგლისი) | 212.1 |
| 3(2). ბარსელონა (ბარსელონა, ესპანეთი) | 195.3 |
| 4(6). ჩელსი (ლონდონი, ინგლისი) | 190.5 |
| 5(9). არსენალი (ლონდონი, ინგლისი) | 177.6 |
| 6(5). მილანი (მილანი, იტალია) | 153.0 |
| 7(8). ბაიერნი (მიუნხენი, გერმანია) | 150.3 |
| 8(10). ლივერპული (ლივერპული, ინგლისი) | 133.9 |
| 9(7) ინტერი (მილანი, იტალია) | 131.3 |
| 10(12). რომა (რომი, იტალია) | 106.1 |
| 11(15). ტოტენჰემი (ლონდონი, ინგლისი) | 103.1 |
| 12(3). იუვენტუსი (ტურინი, იტალია) | 97.7 |
| 13(11). ლიონი (ლიონი, საფრანგეთი) | 94.6 |
| 14(13). ნიუკასლი (ნიუკასლი, ინგლისი) | 87.1 |
| 15(16). ჰამბურგი (ჰამბურგი, გერმანია) | 81.0 |
| 16(14). შალკე (გელზენკირხენი, გერმანია) | 76.9 |
| 17(17). სელტიკი (გლაზგო,შოტლანდია) | 75.2 |
| 18(18). ვალენსია (ვალენსია, ესპანეთი) | 72.4 |
| 19(19). ოლიმპიკი (მარსელი, საფრანგეთი) | 66.6 |
| 20(20).ვერდერი (ბრემენი, გერმანია) | 65.5 |



ხავიერ კლემენტე

მწვრთნელი

# კლემენტეს დათხოვნა ემუქრება?

## ესპანელ მწვრთნელს მუშაობა ჯერ არ დაუწყია და უკვე ემდურიან

გასული კვირის მიწურულს ირანის ფეხბურთის ფედერაციამ **ხავიერ კლემენტეს** ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. მხარეებს თანამშრომლობა ჯერ არ დაუწყიათ და უმალ პირველმა უთანხმოებამ იჩინა თავი. კლემენტემ გაზეთი "ასისთვის" მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, ესპანეთში ვიცხოვრებ და ირანში შესარჩევ მატჩებამდე ორი-სამი კვირით ადრე ჩავალ ხოლმეო.

სენიორ ხავიერის სიტყვებმა ირანელთა დაუფარავი უკმაყოფილება გამოიწვია. ჟურნალისტებმა კლემენტე მასხრად აიგდეს, ფეხბურთის ფედერაციის მაღალჩინოსნებმა კი განაცხადეს. კონტრაქტში საგანგებოდ შევიტანეთ პუნქტი, რომელიც მწვრთნელს ავალდებულებს, ხელშეკრულების პერიოდში ირანში იცხოვროს. მას შეუძლია, წელიწადში ორჯერ აიღოს შვებულება. თუ უფრო მეტჯერ მოისურვებს ესპანეთში გამგზავრებას, რა თქმა უნდა, არავინ დააბრკოლებს, მაგრამ ფედერაცია წინასწარ უნდა გააფრთხილოსო. ირანელები იმუქრებიან, თუ კლემენტე ამ პუნქტს ანგარიშს არ გაუწევს, ისლა დაგვრჩება, კონტრაქტი გავწყვიტოთ და სხვა მწვრთნელი ვეძებოთო.

სენიორ ხავიერმა ბოლო ორი წელიწადი სერბეთის ნაკრების დამრიგებლის პოსტზე გაატარა, თუმცა მას სერბეთში არ უცხოვრია. დროის უმეტეს ნაწილს შინ, ბილბაოში ატარებდა და ბელგრადში მხოლოდ თამაშების წინ მიემგზავრებოდა. მისმა შეგირდებმა ევროპის ჩემპიონატზე ვერ გააღწიეს, რის გამოც მწვრთნელს კარისკენ მიუთითეს. კლემენტე ირანში იმ იმედით მიიწვიეს, რომ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიყვანს. ირანელებს აზიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელები ჰყავთ, მაგრამ დიდ წარმატებებს ვეღარ აღწევენ. ირანელებმა ესპანელი დამრიგებელი შეიძლება იქამდე დაითხოვონ, სანამ მუშაობას შეუდგება.

### ტოტენჰემი დიეტაზე შემოსვეს

"ტოტენჰემის" ფიზმომზადების მწვრთნელმა **მარკო ალვარესმა** ესპანურ რადიოსადგურ "კადენა სერს" საინტერესო ინფორმაცია მიაწოდა. ლონდონში რომ ჩამოვედით, გუნდი დასაშვებზე 100 კილოთი მეტს იწონიდაო: *"ამის შემჩნევა ძნელი არ იყო. ფეხბურთელები ავწონეთ, ჩამოვწერეთ მათი სიმაღლე და მიღებული მონაცემები "სევილიისას" შევადარეთ. გუნდს ზედმეტი წონის პრობლემა აწუხებდა. მოთამაშეები დაუყოვნებლივ დიეტაზე შევსვით."* **ხუანდე რამოსს** სურს, "ტოტენჰემის" ფეხბურთელებისაგან მაქსიმალური სარგებელი ნახოს. ზედმეტი წონის პირობებში პოტენციალის სრულად გამოვლენა შეუძლებელია. მკაცრი კვებითი რეჟიმის პირობებში ზედმეტი 100 კილოგრამი 45-50 კილოგრამით შემცირდა. მაგრამ სამუშაოს ნახევარი ჯერ კიდევ შესასრულებელია. სენიორ ალვარესი სიამაყით აღნიშნავს, ზედმეტი ცხიმები კუნთებად ვაქციეთ და "ტოტენჰემი" უფრო ეფექტურად ასპარეზობსო.

### კერჟაკოვი: კიევში წელიწადში 4 მილიონად

კიევის "დინამოს" თავკაცმა **იური სიომინმა ალექსანდრ კერჟაკოვს** სარფიანი კონტრაქტი შესთავაზა. უკრაინულ გრანდში გადასვლის შემთხვევაში, რუს თავდამსხმელს სამწლიან ხელშეკრულებას გაუფორმებენ და წელიწადში 4 მილიონ ევროს გადაუხდიან. სიომინი დირექტორატის სრული მხარდაჭერით სარგებლობს. პრეზიდენტი **იგორ სურკისი** მზადაა, ტრანსფერებში იმდენი ფული დახარჯოს, რამდენიც მწვრთნელს დასჭირდება. კერჟაკოვი "სევილიაში" ასპარეზობს. ის ესპანური კლუბის სარეზერვო თავდამსხმელია. ფეხბურთელს ესპანეთში ბევრად ნაკლებს უხდიან. ამიტომ მისი უკრაინაში გადასვლა სავსებით რეალურად უნდა მივიჩნიოთ. ანდალუსიელებთან გარიგება სეზონის ბოლოს იგეგმება. უცნობია, რა დაუჯდებათ დინამოელებს ფეხბურთელის შეძენა. იანვრის ტრანსფერებისას კერჟაკოვს პარის სენ ჟერმენი ეპატიჟებოდა. საეჭვოა, ფრანგებმა მას ისეთივე ხელფასი შესთავაზონ, რასაც კიევში გადაუხდიან.



ტიერი ანრი

არსენალი

# ანრისთან ერთად და მის გარეშე

## სააგენტო სეტანტა მკითხველს საინტერესო სტატისტიკას სთავაზობს...

"არსენალი" **ტიერი ანრით** და მის გარეშე - ეს ინგლისელი მიმომხილველების ერთ-ერთი ყველაზე თავშესაქცევი თემაა. გასულ ზაფხულს ფრანგმა თავდამსხმელმა "ბარსელონას" მიაშურა. ექსპერტთა ერთმა ნაწილმა "არსენალის" დასუსტება ივარაუდა. მათი პროგნოზი არ გამართლდა. ლონდონური გრანდი საჩემპიონო მარათონში ჩაება. ის გათამაშების ერთპიროვნული ლიდერია და "მანჩესტერ იუნაიტედს" ხუთი ქულით უსწრებს. და მაინც, რომელი "არსენალი" იყო უკეთესი?

სააგენტო "სეტანტა სპორტსი" სტატისტიკას იშველიებს, დასკვნების გაკეთებას კი მკითხველს ანდობს. ტიერის აბარგების შემდეგ "არსენალმა" მხოლოდ ერთი თამაში წააგო ("ტოტენჰემთან" ლიგის თასის განმეორებით ნახევარფინალში, 1:5). მას მეტი ჩავარდნა არ ჰქონია. შარშანდელ სეზონში ლონდონელები ანრისთან ერთად უკეთ ასპარეზობდნენ, ვიდრე მაშინ, როცა თავდამსხმელს ტრავმა ჰქონდა. წლევანდელი სტატისტიკა შარშანდელზე უკეთესია, მაგრამ ძნელია, ეს ანრის აბარგებას დავუკავშიროთ. უფრო ლოგიკური იქნებოდა, გვეფიქრა, რომ ანრის "ემირიტსზე" დარჩენის შემთხვევაში, "არსენალი" კიდევ უფრო ძლიერად ითამაშებდა.

დასასრულს, "სეტანტას" სტატისტიკა. მაშ ასე, 2006-07 წლების სეზონის "არსენალი" ანრისთან ერთად და მის გარეშე და წლევანდელი "არსენალის" შთამბეჭდავი სვლა. "სეტანტა" გუნდის ასპარეზობას სხვადასხვა კომპონენტებით აფასებს:

| | 06-07. ანრისთან ერთად | 06-07. ანრის გარეშე | ამ სეზონში |
|---|---|---|---|
| თამაში | 17 | 21 | 26 |
| მოგება | 9 | 10 | 19 |
| ფრე | 5 | 6 | 6 |
| წაგება | 3 | 5 | 1 |
| გატანილი გოლი | 31 | 32 | 54 |
| საშუალოდ | 1.82 | 1.52 | 2.08 |
| გაშვებული გოლი | 12 | 23 | 18 |
| საშუალოდ | 0.71 | 1.10 | 0.69 |
| მოგება პროცენტებში | 53% | 48% | 73% |
| საშუალო ქულა მატჩში | 1.88 | 1.71 | 2.42 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ სანტიაგო კანისარესთან

# კუმანი არარაობაა, ჩემთვის ის არ არსებობს

## ჰოლანდიელმა იმ ჭურჭელში მოისაქმა, რომლიდანაც მთელი გუნდი იკვებებოდა...

ორი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც რონალდ კუმანმა სანტიაგო კანისარესი დავიდ ალბელდასთან ერთად "ვალენსიიდან" მოკვეთა. მიმომხილველები და გულშემატკივრები ფიქრობდნენ, რომ ვეტერანი გოლკიპერი იანვრის სატრანსფერო ბაზრის გახსნის შემდეგ რომელიმე კლუბს შეაფარებდა თავს, თუმცა სანტის გადაბირება არავინ ისურვა. ამიტომ ის საყვარელ საქმეს მოსწყდა და თავისუფალ დროს მხოლოდ ინდივიდუალურად ვარჯიშში ატარებს. კანისარესი მთელ ქვეყანას რომ არ დავიწყებოდა, "დიარიო ასის" კორესპონდენტმა მანუელ ესპრესატიმ მეკარესთან ინტერვიუს მომზადება გადაწყვიტა. სანტიაგომ ძალიან ბევრ საინტერესო საკითხზე ისაუბრა. კერძოდ, პრეზიდენტ ხუან ბაუტისტა სოლერის მმართველობის სტილზე, კლუბში მის წარსულზე, კუმანსა და სამომავლო გეგმებზე.

**- დილით საწოლიდან წამოდგომის შემდეგ მოტივაციას როგორ პოულობთ?**

- მოტივაციის დაკარგვა არ მემუქრება. წლებმა ასაკის გარდა გამოცდილება და პროფესიონალიზმიც შემმატა. "ვალენსია" ხელფასს ჯერჯერობით ისევ მიხდის, ამიტომ ჩვეულებრივად ვვარჯიშობ. ძალიან ბევრს ვშრომობ. მართალია, ინდივიდუალურად ვემზადები, მაგრამ ამით არაფერი იცვლება. რადგან კუმანმა ძირითადი შემადგენლობიდან გამაგდო და განაცხადშიც არასოდეს შევყავარ, ჩემთვის, ფიზიკური მომზადების სპეციალისტების მეთვალყურეობით ვვარჯიშობ. მოკლედ, არ ვაპირებ მუქთა ხელფასი ავიღო.

**- ამბობენ, კანისარესი გუნდიდან იმის გამო მოკვეთეს, რომ ხუან ბაუტისტა სოლერს ღიად აკრიტიკებდა და მას პირად საუბრებშიც არაფერს უთმობდაო...**

- ქრისტეფორე კოლუმბი ნამდვილად არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ "ვალენსია" ძალიან ცუდად იმართება. უფრო მეტიც, დღეს არსებულ მმართველობას კატასტროფულს ვუწოდებდი. მიუხედავად ამისა, სოლერის ოპოზიციონერი არასოდეს ვყოფილვარ. უბრალოდ ჩემს მოსაზრებას გამოვხატავდი, რადგან გუნდის მდგომარეობაზე გული შემტკიოდა. თავს უფლებას ვაძლევდი, პრეზიდენტთან პირდაპირ მივსულიყავი და მეთქვა, "ვალენსიას" ესა და ეს სჭირდება-მეთქი. ვამბობდი და ახლაც ვიტყვი, ეს არ არის ის გუნდი, რომელიც ჩვენ და გულშემატკივრებს გვსურს. ვგონებ, თქვენც დამეთანხმებით, რომ "ვალენსია" გაცილებით უფრო ამბიციური მიზნებისთვის უნდა იბრძოდეს. და რას ჰგავს გუნდი დღეს? 2 თვეში ერთი თამაში თუ მოვიგეთ, უკვე გვიხარია. არადა, იყო დრო, როცა 4 თვეში ერთი მატჩის წაგება გვტკენდა გულს. "ვალენსიაში" გუშინ არ მოვსულვარ. დიდების მომენტები პირადად მაქვს განცდილი და, რა გასაკვირია, რომ ახლანდელი ამბები არ მომწონს.



სანტიაგო კანისარესი

**- სოლერი ამბობს, კანისარესის გუნდში დაბრუნებაზე ვოცნებობო...**

- ცინიზმის მწვერვალია. თუ ოცნებობს, ხელი გაანძრიოს. კარგით რა, ბლეფია ეს ყველაფერი. არაფერსაც არ ოცნებობს. სოლერი უბრალო თაღლითია. მას ყველა პირობა და უფლება ჰქონდა იმისთვის, რომ საქმეში ჩარეულიყო და ჩვენი რეპუტაცია ასე საშინლად არ შელახულიყო.

**- რა იცით, იქნებ მართლაც ოცნებობს...**

- მე ამის არ მჯერა. ნებისმიერ შემთხვევაში, სოლერის სიტყვები უტოპიაა. ჯერჯერობით წარმოდგენა არ მაქვს, გავაგრძელებ თუ არა კარიერას რომელიმე სხვა კლუბში, მაგრამ ის კი ნამდვილად ვიცი, რომ "ვალენსიაში" აღარასოდეს ვითამაშებ.

**- ასე საუბრობთ, მაგრამ ყოველ დილას მაინც ვარჯიშობთ. არ გეჩვენებათ, რომ ეს ყველაფერი გასაკვირია?**

- გასაკვირს ვერაფერს ვხედავ. ხომ გითხარით, ხელფასს ისევ მიხდიან. ამიტომ, ვალდებული ვარ, ვივარჯიშო. ისე, სოლერს ალბათ, ძალიან უნდა, რომ სავარჯიშოდ არ მივიდე. იტყვის, კანისარესი მოვალეობებს არ ასრულებსო და შეეცდება, კონტრაქტი საკომპენსაციო თანხის გადახდის გარეშე გაწყვიტოს. ნუ მიწყენს, მაგრამ ამ სურვილს ვერაფრით ავუსრულებ. ყველა სამართლიანი ადამიანი დამეთანხმება, რომ ხელმძღვანელობა დაუნდობლად მომეპყრო. ახლა კონტრაქტით გათვალისწინებული თანხაც არ ავიღო? ვფიქრობ, ისეთს არაფერს ვითხოვ, რაც არ მეკუთვნის. ეს მათ გადაწყვიტეს, სახლიდან გავეგდე. ასე რომ, სანტიაგო კანისარესისგან ნურაფერი ეწყინებათ.

**- რონალდ კუმანმა სანტანდერში, "რასინგთან" მატჩში თქვენ მიერ დაშვებული შეცდომის გამო მიწასთან გაგასწორათ. ძალიან გეტკინათ გული?**

- არა, გული საერთოდ არ მტკენია. გული მაშინ გიწუხს, როცა შენთვის ძვირფასი და საყვარელი ადამიანი გაგაკრიტიკებს. კუმანი კი ჩემთვის არც ძვირფასი და არც საყვარელი პიროვნება გახლავთ. კუმანი არარაობაა, ჩემთვის ის არ არსებობს. დარწმუნებული გახლავართ, ჰოლანდიელი ჩემ შესახებ აბსოლუტურად იმავეს იტყვის. მოკლედ, ერთმანეთი ფეხებზე გვკიდია და ამ სიტუაციაში გულისტკივილზე საუბარი სისულელეა. უბრალოდ, ვირი არ უნდა იყო ცხოვრებაში და არაკაცულადაც არ უნდა მოიქცე. მხოლოდ ყველაზე ლაჩარ, მშიშარა და უსუსურ ადამიანს შეუძლია, გუნდის წარუმატებლობები, ფაქტობრივად, მხოლოდ ორ ადამიანს დააბრალოს და ისინი ქუჩაში გაყაროს. კარგით ბატონო, წავედით ჩვენ, მაგრამ "ვალენსიამ" თამაშის ხარისხი გააუმჯობესა? სამწუხაროდ, სოლერი ვერ ხვდება, რომ კუმანის მთავარი მწვრთნელის პოსტზე დატოვება დამღუპველია. ჰოლანდიელმა იმ ჭურჭელში მოისაქმა, რომლიდანაც მთელი გუნდი იკვებებოდა. მან ჩვენს ტრადიციებსა და ცხოვრების წესს შეაფურთხა.

**- 18 დეკემბერი თქვენს საფეხბურთო კარიერაში ყველაზე რთული დღე იყო?**

- მიუხედავად იმისა, რომ გუნდიდან სწორედ მაშინ გამაგდეს, ის მაინც არ იყო ყველაზე რთული დღე. ყოველი მომდევნო დღე გაცილებით უფრო მძიმეა. იცით რატომ? იმიტომ, რომ უთამაშებლობითა და შეურაცხყოფით ვიტანჯები. არავის არაფერს ვამდლი, უბრალოდ, მიმაჩნია, რომ "ვალენსიისთვის" ყველაფერი გავიღე. კიდევ ბევრის გაკეთება შემეძლო, მაგრამ ისე მომექცნენ, როგორც გარეწარს.

**- თქვენი აზრით, რა აკლია "ვალენსიას"? მაღალი დონის ფეხბურთელები?**

- იცით რას გეტყვით? როცა ესპანეთის ჩემპიონები გავხდით, საუკეთესო შემადგენლობა სულაც არ გვყოლია, მაგრამ სწორი მმართველობითა და თავდაუზოგავი მუშაობით, მაქსიმალურ შედეგს მივაღწიეთ. პრიმერა დივიზიონის გრანდები ახლოსაც არ გავიკარეთ. ვფიქრობ, პასუხი ამომწურავად გაგეცით. "ვალენსიას" არა მაღალი დონის ფეხბურთელები, არამედ კარგი მმართველები აკლია.

**- რა საშინელი სურათი დახატეთ...**

- იმ გუნდიდან, რომელმაც ესპანეთის ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში მთელი გული და სული ჩადო, ფაქტობრივად აღარავინ შემორჩა. "ვალენსია" მწვრთნელებმა, ექიმებმა, ფიზიკური მომზადების სპეციალისტებმა, დაბალი ეშელონის თანამშრომლებმა და დირექტორატის წევრებმა დატოვეს. დიახ, იმ გენიალური ხალხიდან თითქმის აღარავინ დარჩა, არადა სწორედ ამ ადამიანების დაულალავი შრომისა და თავდადების ფასად დავიპყარით უმაღლესი მწვერვალები. გაიხსენეთ ძველი დრო, დირექტორატი ფეხბურთელს 3 მილიონ ევროდ თუ იყიდდა, შემდეგ სულ მცირე 10 მილიონად ყიდდა. ახლა ყველაფერი პირიქით ხდება. ასე რომ, გუნდის უბედურებებს მხოლოდ ფეხბურთელებს ნუ დააბრალებთ.

**- თქვენს მომავალზე რას გვეტყვით?**

- თავს ისევ ფეხბურთელად მივიჩნევ, მაგრამ თუ "ვალენსია" ჩემს კონტრაქტთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას არ მიიღებს, ცხოვრება აშკარად გამირთულდება. დიდი სიამოვნებით წავიდოდი სამხრეთ ამერიკაში. ზაფხულში კონკრეტული ვარიანტები გამოჩნდება. თუ ევროპიდან რაიმე საინტერესო შემოთავაზებას მივიღებ, დავფიქრდები. მოკლედ, არაფერს გამოვრიცხავ. შესაძლოა, იაპონიაში ან კატარში წავიდე.

ბარსელონა

# კატალონიელებს მასკერანოს სთავაზობენ

## ოლეგერ პრესასს ფატალურად არ გაუმართლა

**ხავიერ მასკერანოს** მენეჯერებმა **ჩიკი ბეგირისტაინს** თავიანთი კლიენტის კანდიდატურა შესთავაზეს. მათი აზრით, არგენტინელი ნახევარმცველი კატალონიურ გრანდს საგრძნობლად გააძლიერებს. აღსანიშნავია, რომ ჩიკი ბეგირისტაინს შეთავაზება ჭკუაში დაუჯდა. ფორმალური პროცედურების გამო მან **ფრენკ რაიკაარდი** საქმის კურსში ჩააყენა. მასკერანოთი ჰოლანდიელი სპეციალისტიც დაინტერესდა. აი, რა განაცხადა მან: *"რატომაც არა, მასკერანოს საკმაოდ კარგად ვიცნობ და მიმაჩნია, რომ "ბარსას" სტილს ის შესანიშნავად შეეგუება. რა თქმა უნდა, ამ ეტაპზე ვერავინ იტყვის, განხორციელდება თუ არა ეს ტრანსფერი. უბრალოდ, ფეხბურთელის მენეჯერებმა საინტერესო წინადადებით მოგვმართეს და ჩვენ საკითხის განხილვას შევუდექით. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. მოლაპარაკებების ძირითადი რაუნდი ალბათ სეზონის დასრულების შემდეგ გაიმართება."*

კაცმა რომ თქვას, დღესდღეობით რაიკაარდს არანაირად არ შეუძლია მასკერანოს "კამპ ნოუზე" გადაბარგებაზე კვალიფიციურად ისაუბროს. საზოგადოებას კარგად მოეხსენება, რომ ჰოლანდიელი სპეციალისტის მომავალი გაურკვეველია. ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოგახსენეთ, რომ ჩიკი ბეგირისტაინი **ჟოზე მოურინიოსთან** შესახვედრად განაში ფარულად იმყოფებოდა. გამორიცხული არ არის, "ლივერპულის" არგენტინელი ნახევარმცველის გადაბირებაზე რაიკაარდის ნაცვლად სწორედ პორტუგალიელ მწვრთნელს მოუხდეს მუშაობა.

აღსანიშნავია, რომ მასკერანოს "ბარსელონაში" კარიერის გაგრძელების შანსი გასულ სეზონშიც ჰქონდა, თუმცა მაშინ მხარეები ფინანსურ საკითხებზე ვერ შეთანხმდნენ. სამხრეთამერიკელმა ძალიან დიდი ხელფასი მოითხოვა, ჟოან ლაპორტამ კი ამხელა თანხის გადახდა არ მოისურვა. როგორც ჩანს, ფეხბურთელმა მადა დაიოკა. წინააღმდეგ შემთხვევაში კატალონიელებს მენეჯერების საშუალებით თავად არ დაუკავშირდებოდა. მას გარკვევით გააგებინეს, რომ იმ თანხას, რომელსაც გასულ წელს ითხოვდა, არასოდეს გადაუხდიან.

ამასობაში, "ბარსას" სამედიცინო შტაბმა **ოლეგერის** ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ახალი ინფორმაცია გაავრცელა. ოთხშაბათს განაპირა მცველს მარცხენა მტევნის მესამე ფალანგზე ოპერაცია გაუკეთეს. ექიმებმა სარეაბილიტაციო ვადად 6 კვირა განუსაზღვრეს. შეუძლებელია, ოლეგერ პრესასი არ შეგებრალოს, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ კატალონიელმა მცველმა რამდენიმე დღის წინ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა, "ბარსელონა" ჩემი სახლია, მაგრამ თუ მომავალშიც სათადარიგოთა სკამზე მომიწევს ყურყუტი, იძულებული გავხდები სხვაგან წავიდეო. ამ განცხადებიდან 2 დღეში **ჯანლუკა ძამბროტამ** ტრავმა მიიღო და ოლეგერს ძირითადი შემადგენლობისკენ გზა გაეხსნა. საბრალომ "სევილიასთან" პირველივე შეხვედრაში ხელის თითი მოიტეხა და ლაზარეთში ამოჰყო თავი. სავარაუდოდ, მიმდინარე სეზონის განმავლობაში მას ერთი-ორჯერ თუ მოიწევს გასვლა. სეზონის დასრულების შემდეგ კი, ალბათ, გაყიდიან. ესპანური ფეხბურთის მოყვარულებს მოეხსენებათ, რომ "ბარსელონის" ხელმძღვანელობა პრიმერა დივიზიონის დასრულების შემდეგ მასობრივ წმენდას გეგმავს. ოლეგერი კი ათვალწუნებულ მოთამაშეთა ჩამონათვალში მოხვდა.

### რაული და კასილიასი: კარიერის დასრულებამდე რეალში

**რაულმა** და **იკერ კასილიასმა** "რეალთან" სამუდამო კონტრაქტები გააფორმეს. 26 წლის გოლკიპერი სამეფო კლუბში 2017 წლამდე დარჩება, ხოლო 30 წლის თავდამსხმელი - მინიმუმ 2011 წლამდე ითამაშებს. მინიმუმ იმიტომ, რომ ორივე ფეხბურთელის ხელშეკრულებაში ჩაიწერა პუნქტი: თუკი ისინი კონტრაქტით გათვალისწინებულ ბოლო სეზონში 30 მატჩს ჩაატარებენ, მათთან თანამშრომლობა ავტომატურად კიდევ ერთი წლით გაგრძელდება. მადრიდელთა პრეზიდენტმა ამ ღირსშესანიშნავი ფაქტის აღსანიშნავად საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. პრეზიდენტისა და ვარსკვლავების გარდა, მას "რეალის" საპატიო პრეზიდენტი **ალფრედო დი სტეფანოც** დაესწრო. *"მაქვს პატივი, გაუწყოთ, რომ რაულმა და იკერ კასილიასმა გადაწყვიტეს, თავიანთი კარიერა მადრიდში დაასრულონ. დღეს ვალენტინობის დღეა. სიმბოლურია, რომ ფეხბურთელები და კლუბი ერთმანეთს სწორედ დღეს გამოუტყდნენ სამარადისო სიყვარულში. მათ ერთმანეთი სჭირდებათ. ისინი ერთმანეთის განუყოფელი ნაწილები არიან. ხელფასზე შეგნებულად არაფერს ვიტყვი, მაგრამ გეტყვით, რომ მათ უფრო მეტი ეკუთვნით, რადგან ნამდვილი პროფესიონალები არიან და ახალგაზრდებს მაგალითს აძლევენ,"* - განაცხადა კალდერონმა.

რაული გუნდში 1994 წელს ჩაირიცხა, კასილიასი კი - 1999 წელს. რაულმა სამჯერ ჩემპიონთა თასი და ხუთჯერ ესპანეთის ჩემპიონატი მოიგო, ხოლო კასილიასმა - ორჯერ ჩემპიონთა თასი და სამჯერ ესპანეთის ჩემპიონატი.

### ანდალუსიელთა ბედი ჩემპიონთა ლიგის საგზურზე ჰკიდია

"სევილიაში" გუნდის მომავალზე ძალიან ღელავენ. ანდალუსიური კლუბის კეთილდღეობა მის მიერვე ნაჩვენებ შედეგებზეა დამოკიდებული. იმ შემთხვევაში, თუ **ხოსე მარია დელ ნიდოს** გუნდი ჩემპიონთა ლიგაში ვერ გაალწევს, პრეზიდენტი სერიოზული ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდება. შევეცდებით, დაწვრილებით აგიხსნათ საქმის არსი. სენიორ დელ ნიდომ მისთვის არადამახასიათებელი გულწრფელობით განაცხადა, რომ "სევილიის" წლიური შემოსავლის 20 პროცენტი სწორედ ჩემპიონთა ლიგის საგზურზეა დამოკიდებული. ფაქტობრივად, წარმოუდგენელია, სამხრეთელებმა წლევანდელ ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვონ და მომდევნო სეზონის საგზური ამ გზით მოიპოვონ. ასე რომ, ანდალუსიელებს ერთადერთი გზა დარჩათ. ისინი ნებისმიერ ფასად საუკეთესოთა ოთხეულში უნდა მოხვდნენ. თუ მოვლენები ამგვარად არ განვითარდება, "სევილიაში" დიდი ამბები მოხდება.

უეფას თასი. 1/16 ფინალი

# ვიზე ვერდერისთვის, ვიზე გერმანიისთვის!

## ვერდერის მეკარის გმირობამ ბრემენელ ქომაგებს იმის უფლება მისცა, რომ ტიმის ბუნდესგუნდში გამოძახება მოეთხოვათ

**მიმდინარე** ევროსეზონის მეორე ნახევარი უეფას თასის 1/16 ფინალით გაიხსნა - 16-დან 10 შეხვედრა ოთხშაბათს შედგა. თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ პირველ დღეს ორი გამოკვეთილი გამარჯვებული ჰყავდა: ბრემენის "ვერდერი" და მარსელის "ოლიმპიკი". "ბრემენელმა მუსიკოსებმა" პორტუგალიური "ბრაგა" ისეთი ანგარიშით დაამარცხეს, რომ ძალიან ცოტას თუ შეეპარება ეჭვი იმაში, რომ "ვერდერს" შეიძლება პრობლემები შეექმნას. სხვა საქმეა ის, რომ ბრემენელთა დიდი ანგარიშით გამარჯვებაში მეკარე ტიმ ვიზემ ლომის წილი დაიდო - მან ორი თერთმეტმეტრიანი მოიგერია. "მარსელმა" კი მოსკოვის "სპარტაკს" გადაურბინა - ასევე 3:0.

**ზენიტი-ვილიარეალი 1:0**

ზენიტი: მალაფეევი, კრიჟანაცი, ანიუკოვი, დონ-ჟინ კიმი, ტიმოშჩუკი, ზურიანოვი, შირლი, შიროკოვი, ფაიზულინი, არშავინი, პოგრებნიაკი.

ვილიარეალი: დიეგო ლოპესი, ხოსემი, კაპდევილა, გონსალო როდრიგესი, გოდინი, ხოსიკო, კანი, სანტი კასორლა (75. ტომასონი), სორიანო (82. სიგანი), ნიჰათი (66. როსი), ფრანკო.

**გოლი:** 1:0 პოგრებნიაკი (63)
**გაფრთხილება:** 3-2
**მაყურებელი:** 21 500

**გალათასარაი-ლევერკუზენი 0:0**

გალათასარაი: ორქუნი, სერვეთ ჩეთინი, გიუნგორი, ვოლქან იამანი (83. სუარეში), უგიურ უჩარი, აიჰან აქმანი (65. ჰაქან ქადირი), მეჰმეთ თოფალი, ბარიშ ოზბექი, თურანი არდა, ჰაქან შუქური (78. ნონდა), უმით ქარანი.

ლევერკუზენი: ადლერი, მ. ფრიდრიხი, კალსენ-ბრაკერი, ბარბარესი, შნაიდერი (61. ფრაიერი), სარპეი, როლფსი, ბარნეტა, გონსალო კასტრო, კისლინგი, ვიდალი (87. შვეგლერი).

**გაფრთხილება:** 2-0
**მაყურებელი:** 20 006

**აეკ-ხეტაფე 1:1**

აეკ: მორეტო, დელასი, არუაბარენა, პაპასტოპულოსი, რივალდო, ციკოსი, კაფესი, ნსალივა, პაპასი (82. ბლანკო), ლიბეროპულოსი (75. კალონი), მანდუკა (66. მანუ).

**ხეტაფე:** აბონდანსიერი, კონტრა, ბელენგერი, სინიორინო, დიასი, სელესტინი, კასკერო (68. დე ლა რედი), გავილანი (61. კორტესი), უჩე (78. მანუ დელ მორალი), ბრაულიო, პაბლო ერნანდესი.

**გოლები:** 0:1 დე ლა რედი (86), 1:1 ისმაელ ბლანკო (90)
**გაფრთხილება:** 1-2
**მაყურებელი:** 13 080

**ბრანი-ევერტონი 0:2**

ბრანი: ოპდალი, დალი (89. ტვაიტი), ბიარნასონი, ელ-ფაკირი (75. ჰუსეკლეპი), ჰანსვეიტი, სიგურდსონი, ბაკე, სოლი, მოენი, კარადასი (69. დემბა-ნირენი), ჰელსტადი.

ევერტონი: ჰოვარდი, ლესქოთი, ფ. ნევილი, იობო, იაგიელკა, კაჰილი, კარსლი, ოსმანი, მანუელ ფერნანდესი (89. ჰიბერტი), ე. ჯონსონი (76. ანიბაჩე), აიეგბენი (90. ბეინსი).

**გოლები:** 0:1 ოსმანი (59), 0:2 ანიბაჩე (88)
**გაფრთხილება:** 0-1
**მაყურებელი:** 16 207

**ვერდერი-ბრაგა 3:0**

ვერდერი: ვიზე, ფრიტცი, მერტეზაკერი, ნალდო, ოვომოიელა, ბაუმანი, დ. იენსენი, ჰუნტი (59. ბოროვსკი), დიეგო (74. ოზილი), როზენბერგი, უგო ალმეიდა.

**ბრაგა:** პაულო სანტოსი, ჟოაო პერეირა, პაულო ჟორჟე, როდრიგესი, კარლოს ფერნანდესი, კონტრერასი (62. სტელვიო), ფრეშო, ვანდინიო, ჟორჟინიო (78. ჟაილსონი), ლინცი, მათეუსი (68. ვენდერი).

**გოლები:** 1:0 ნალდო (2), 2:0 იენსენი (27), 3:0 უგო ალმეიდა (90+4)

*მე-11 წუთზე ლინცმა (ბრაგა) ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)*

*მე-36 წუთზე ჟორჟინიომ (ბრაგა) ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)*

**გაფრთხილება:** 2-3
**მაყურებელი:** 25 000

**ანდერლეხტი-ბორდო 2:1**

**ანდერლეხტი:** ზიტკა, იუპაში, პარეჯა, ვან დამი, ვასილევსკი, ბილია, ბუსუფა, შატელი (84. ლეგერი), გოორი (71. მ. მპენზა), პოლაკი, სერჰათი.

**ბორდო:** რამე, შალმე, ს. დიავარა, ენრიკე, ჟურიეტი, ალონსო (60. ვენდელი), ალუ დიარა, დუკასი, შამახი (75. კავენაგი), იუსი (81. მიკუ), ობერტანი.

**გოლები:** 0:1 იუსი (68-პენ), 1:1 პოლაკი (78), 2:1 მ. მპენზა (90)
**გაფრთხილება:** 2-3
**მაყურებელი:** 30 000

**მარსელი-სპარტაკი 3:0**

მარსელი: მანდანდა, ჟივე, ბონარი, ფატი (46. კაბორე), ტაივო, ბენ. შეირუ, კანა, ნასრი, ვალბუენა (76. ზენდენი), ნიანგი (82. ორუმა), ჯ. სისე.

სპარტაკი: პლეტიკოშა, შტრანცლი, კუდრიაშოვი, პავლენკო (82. პრუდნიკოვი), ტიტოვი, რადოსლავ კოვაჩი, მოცარტი, ბისტროვი, პარშივლიუკი, მაიდანა, ველიტონი.

**გოლები:** 1:0 ბენ. შეირუ (60), 2:0 ტაივო (67), 3:0 ნიანგი (78)
**გაფრთხილება:** 2-2
**მაყურებელი:** 48 000

**ეინდჰოვენი-ჰელსინგბორგი 2:0**

ეინდჰოვენი: გომეში, კრომკამპი, ცონეველდი, სალსიდო, მარსელისი, სიმონსი, ბაკალი, აფელეი, ედაურდო მენდეში (65. რაკოვიჩი), ლაზოვიჩი (71. კოვერმანსი), დჟუდჟაკი.

ჰელსინგბორგი: დ. ანდერსონი, კ. ანდერსონი, იაკობსონი, ეკსტრანდი, ლანტცი, კოლარი (77. უნკური), სკულასონი, ლანდგრენი, ჰ. ლარსონი, მაკონდელე, ომოტოიოსი (88. ოლსონი).

**გოლები:** 1:0 სიმონსი (7-პენ), 2:0 ლაზოვიჩი (33)
**გაფრთხილება:** 0-2
**მაყურებელი:** 22 000

**რეინჯერსი-პანათინაიკოსი 0:0**

რეინჯერსი: მაკგრეგორი, უეირი, ბროდუფუტი, პაპაჩი, კუელარი, მაკკალოხი, ფერგიუსონი, ჰემდანი, დევისი, ადამი (67. კუზენი), ნოვო (81. ბურკი).

პანათინაიკოსი: გალინოვიჩი, გუმასი, მორისი, ვინტრა, ნილსონი, კარაგუნისი, ციოლისი, მატოსი, ჟუნიორ სიმაო, სალპიგიდისი (66. ელდერ პოშტიგა), ნდოიე.

**გაფრთხილება:** 0-2
**მაყურებელი:** 45 203

**სპორტინგი-ბაზელი 2:0**

სპორტინგი: რუი პატრისიო, ტონელი, აბელი, ანდერსონ პოლგა, გრიმი, იზმაილოვი (72. ბრუნო პერეირინია), ვუკჩევიჩი (72. რონა), ჟოაო მუტინიო, რომანიოლი, ველოზო, ლიედსონი.

**ბაზელი:** კოსტანცო (46. კრეიტონი), მაისტოროვიჩი, ჰოდელი, მარკი, ერგიჩი, ჰუგელი, დ. დეგენი (64. კაბრალი), კარლიტოსი, პ. ბა, ედუარდო, დერდიოკი.

**გოლები:** 1:0 ვუკჩევიჩი (8), 2:0 ვუკჩევიჩი (58)
**გაფრთხილება:** 0-1
**მაყურებელი:** 40 000



ვერდერი-ბრაგა. ტიმ ვიზეს გმირობის ერთი ეპიზოდი

უეფას თასის ფლეი ოფი რუსეთში, კერძოდ კი სანკტ. პეტერბურგში გაიხსნა, სადაც ადგილობრივმა "ზენიტმა" "პეტროვსკიზე" ესპანურ "ვილიარეალს" უმასპინძლა. **დიკ ადვოკაატის** მიერ განვრთნილმა რუსებმა ვილიარეალელები მინიმალური ანგარიშით დაამარცხეს და აღსანიშნავია, რომ ეს "ზენიტისთვის" რიგით 22-ე საშინაო შეხვედრა გახლდათ ევროტურნირებზე. "ვილიარეალისთვის" კი ეს ბოლო სამი გასვლითი შეხვედრიდან პირველი მარცხი გახლდათ. ერთადერთი გოლი კი რუსეთის ნაკრების ძირითადი ფორვარდის, **პაველ პოგრებნიაკის** ანგარიშზეა, რომელმაც 63-ე წუთზე ესპანელთა მეკარე **დიეგო ლოპესის** პოზიციური შეცდომით ისარგებლა.

ლევერკუზენის "ბაიერს" სტამბულში, "გალათასარაისთან" ძალიან ცუდ კლიმატურ პირობებში მოუხდა ჭიდილი და აღსანიშნავია, რომ "გალათასარაი" თითქმის მთელი 90 წუთის განმავლობაში სჯობდა გერმანულ კლუბს, მაგრამ საბოლოო ჯამში, "ფარმაცევტებისთვის" ყველაფერი კარგად დამთავრდა - 0:0 ის შედეგია, რომლითაც "ლევერკუზენის" მთავარი მწვრთნელი **მიხაელ სკიბე** და ამ გუნდის ყველა ქომაგი კმაყოფილი დარჩა. **კარლ-ჰაინც ფელდკამპის** განვრთნილებს არაერთი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ ან კარს აცელდნენ, ანაც "ბაიერის" კარის დარაჯი **რენე ადლერი** თამაშობდა კარგად. "ბოსფორელი ლომების" მხრიდან საუკეთესო, თითქმის ასპროცენტიანი შანსები ჰქონდათ **ჰაქან შუქურსა** (42-ე წუთზე) და **უმით ქარანს** (53) - შუქური ის ფეხბურთელია, რომელიც 2000 წელსაც "გალათასარაის" ღირსებას იცავდა და ალბათ გახსოვთ, რომ იმ წელს უეფას თასს სწორედ თურქული გრანდი დაეპატრონა. მეორე ტაიმში "ლევერკუზენი" გამოსწორდა, მაგრამ არა იმდენად, რომ მასპინძელი დაეჯაბნა.

**ტიმ ვიზე** ბრემენში გმირია! უფრო სწორად, არა მარტო ბრემენში, არამედ მთელ გერმანიაში, რადგან ორი პენალტის მოგერიების გამო უკვე დაიწყო დისკუსია იმის შესახებ, რომ "მუსიკოსების" მეკარე ევროპის ჩემპიონატზე თამაშის ღირსია. ერთ თამაშში ორი პენალტის მოგერიება გერმანელი მეკარეებიდან ბოლოს **ფრანკ როსტმა** მოახერხა, რომელიც იმხანად "შალკეს" ღირსებას იცავდა - როსტმა ასეთი გმირობა 2004 წელს დორტმუნდის "ბორუსიასთან" ჩაიდინა. მანამდე კი ასეთივე გმირობა "კაიზერსლაუტერნის" კარის დარაჯ **ჯერალდ ერმანს** ჰქონდა გაკეთებული (1987 წელს, "მანჰაიმთან").

*"ვიზე გერმანიისთვის!"* - ყვიროდნენ ბრემენელი ქომაგები მთელი 90 წუთის განმავლობაში. ვიზემ საერთოდაც შესანიშნავად ითამაშა და რამდენიმე მკვდარი ბურთი აიღო. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ გასულ კვირას "ვერდერის" მეკარემ "ბაიერნთან" შეხვედრაში პენალტი **ლუკა ტონისაც** აუღო. გამოდის, რომ ვიზემ 4 დღეში 3 თერთმეტმეტრიანი მოიგერია. *"ვიზე გერმანიისთვის!"* - ამ შეძახილს გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვიც** გაიგონებდა...

ისიც უნდა ითქვას, რომ "ვერდერს" კიდევ 6-7 გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ პორტუგალიელებსაც ჰქონდათ შანსები. ანგარიში **ნალდომ** მე-2 წუთზე, 26 მეტრიდან შესრულებული საჯარიმო დარტყმით გახსნა. მეორე გოლი **დანიელ იენსენმა** 27-ე წუთზე გაიტანა, მანამდე ვიზემ ჯერ **ლინცის** პენალტი მოიგერია, მერე კი **ჟორჟინიოსი**. და კიდევ: 94-ე წუთზე ბრემენელებმაც მოიპოვეს პენალტის დარტყმის უფლება და "ვეზერშტადიონის" ტრიბუნებიდან მაშინვე გაისმა შეძახილები: *"ვიზემ დაარტყას, ვიზემ!"* მაგრამ **თომას შააფს** მასხრობისთვის არ ეცალა და ფეხბურთელებს შეუძახა, ახლა ამის დრო არ არისო - შესაბამისად, პენალტი **უგო ალმეიდამ** შეასრულა და რაც მთავარია, ზუსტად. ამრიგად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბრემენელები ცალი ფეხით მერვედფინალში არიან.

აეკ-მა ესპანური "ხეტაფე" მიიღო და დაუზავდა: 1:1. **ლორენსო სერა ფერერის** პოსტიდან გაშვების შემდეგ, აეკ-ისთვის ეს პირველი მატჩი გახლდათ. 86-ე წუთამდე 0:0 გახლდათ, ხსენებულ დროს კი ესპანელები დაწინაურდნენ (**დე ლა რედი**), მაგრამ ბერძნებმა მაინც მოახერხეს წონასწორობის აღდგენა - მსაჯის მიერ დამატებულ მე-4 წუთზე ათენელთაგან **ისმაელ ბლანკომ** იხეირა.

"ანდერლეხტმა" ბრიუსელში "ბორდო" მიიღო და აღსანიშნავია, რომ ფრანგებს ჯგუფურ ეტაპზე ოთხივე თამაში მოგებული ჰქონდათ. ამჯერად კი დამარცხდნენ - ბელგიურმა კლუბმა 2:1 მოიგო, თუმცა საპასუხო მატჩისთვის ეს დიდი ვერაფერი ფორაა. არადა, თავიდან ჟირონდელები იგებდნენ (**იუსი**) და ბრიუსელელებმა წონასწორობა 79-ე წუთზე აღადგინეს (**პოლაკი**), გამარჯვების გოლი კი სულაც 95-ე წუთზე გაიტანეს (**მბო მპენზა**). ამავე დროს შვედური "ჰელსინგბორგი" "ეინდჰოვენს" სტუმრობდა. **ჰენრიკ ლარსონი** და კომპანია 0:2 დამარცხდნენ - გოლები **ტიმი სიმონსისა** და **დანტე ლაზოვიჩის** ანგარიშზეა.

გლაზგოს "რეინჯერსმა" "აიბროქსზე" "პანათინაიკოსს" უმასპინძლა. ეს გუნდები ერთმანეთს შესანიშნავად იცნობენ. 2003/04 წლების სეზონში ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ერთ ჯგუფში მოხდვენ - მაშინ "პანათინაიკოსმა" გლაზგოში 3:1 მოიგო. ამჯერად კი უგოლო ფრე დაფიქსირდა და ცხადია, რომ ამით ბერძნები უფრო კმაყოფილები დარჩნენ, ვიდრე შოტლანდიელები. ოთხშაბათი "სპორტინგისა" და "ბაზელის" მატჩით დაიხურა, რომელშიც პორტუგალიელებმა **ვუკჩევიჩის** დუბლით 2:0 მოიგეს. აქვე გეტყვით, რომ მატჩის გმირი დაშავდა ლისაბონურ კლუბს სამი კვირის განმავლობაში ველარ დაეხმარება...

### გუშინ

**აბერდინი-ბაიერნი 2:2**

**აბერდინი:** ლენგფილდი, მეირი, დაიმონდი, კონსიდაინი, მაიბერი, უოკერი (87. ტუზანი), სევერინი, ნიკოლსონი, ალუკო, მაკკი (68. ლოველი), მილერი.

**ბაიერნი:** რენსინგი, ლელი (46. ლამი), ლუსიო, დემიკელისი, იანსენი, ზე რობერტო (66. პოდოლსკი), ოტლი, ჰამით ალთინთოფი, შვაინშტაიგერი, კლოზე (80. შლაუდრაფი), ტონი.

**გოლები:** 1:0 უოკერი (24), 1:1 კლოზე (29), 2:1 ალუკო (41), 2:2 ჰამით ალთინთოფი (54)
**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 5(3)-16(8); **კუთხური:** 1-3; **თამაშგარე:** 1-4; **ჯარიმა:** 19-11; **ბურთის ფლობა:** 52%-48%
**მაყურებელი:** 20 047

**ციურიხი-ჰამბურგი 1:3**

**ციურიხი:** ლეონი, როშა, ტიჰინენი, ბარმეტლერი (68. ლამპი), შტაჰელი, დურიჩი, აბდი (86. ვასკესი), ტიკო, აეგერტერი, ჰასლი, შიხაუი (75. ტაჰიროვიჩი).

**ჰამბურგი:** როსტი, დემელი, ბ. რაინჰარდტი, მატიისენი, ბენჯამინი, დე იონგი, კომპანი, ტროხოვსკი, ვან დერ ვაარტი, დ. იაროლიმი (86. ბრეჩკო), ოლიჩი (82. ზიდანი).

**გოლები:** 0:1 დ. იაროლიმი (49), 0:2 ოლიჩი (67), 0:3 ტროხოვსკი (77), 1:3 ვასკესი (87)
**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 12(5)-11(8); **კუთხური:** 4-5; **თამაშგარე:** 4-5; **ჯარიმა:** 17-14; **ბურთის ფლობა:** 48%-52%
**მაყურებელი:** 17 000

**რუსენბორგი-ფიორენტინა 0:1**

**რუსენბორგი:** იარსტეინი, კვარმე, სტოორი, ნორდვიკი, სტრანდი (81. სტორფლორი), საპარა, სკიელბრედი, დემიდოვი, ივერსენი (46.ია), ი. კონე, აბ. ტრაორე.

**ფიორენტინა:** ფრაი, გამბერინი, კროლდრუპი, უიფალუში, იორგენსენი, სემიოლი, გობი (46. პასკალი), მონტოლივო, კუჟმანოვიჩი (85. სანტანა), მუტუ, პაცინი (72. კაჩა).

**გოლი:** 0:1 მუტუ (16)
**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 3(2)-13(2); **კუთხური:** 5-3; **თამაშგარე:** 2-4; **ჯარიმა:** 12-13; **ბურთის ფლობა:** 50%-50%
**მაყურებელი:** 16 000

**სლავია-ტოტენჰემი 1:2**

**სლავია:** ვანიაკი, ჰუბაჩეკი, ბრაბეცი, დრიჟდალი, ი. ჩერნი, ლატკა, სუხი (83. ვოლეშაკი), პუდილი (46. ივანა), ტავარესი, მ. იაროლიმი (59. კალივოდა), სტრიჰავკა.

**ტოტენჰემი:** რ. ჩერნი, ვუდგეიტი, შიმბონდა, ჯენასი, მალბრანკი, ტაინიო (59. ო'ჰარა), ზოკორა, ჰადლსტოუნი, ლენონი, კინი (66. ბენტი), ბერბატოვი.

**გოლები:** 0:1 ბერბატოვი (4), 0:2 კინი (30), 1:2 სტრიჰავკა (69)
**გაფრთხილება:** 3-3; **დარტყმა:** 7(2)-14(7); **კუთხური:** 4-2; **თამაშგარე:** 0-1; **ჯარიმა:** 13-6; **ბურთის ფლობა:** 53%-47%
**მაყურებელი:** 17 000

**ბოლტონი-ატლეტიკო 1:0**

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, ჰუნტი, სამუელი, ო'ბრაიენი, კაჰილი, ტეილორი, ნოლანი, ივან კამპო, გატრი (59. იანაკოპულოსი), დევისი, დიუფი.

**ატლეტიკო:** აბიატი, ანტონიო ლოპესი, პაბლო იბანიესი, პერნია, პერეა, სიმაო (72. ხურადო), მაქსი როდრიგესი, კლებერ სანტანა, მისტა, რეიესი (59. აგუერო), ფორლანი.

**გოლი:** 1:0 დიუფი (74)
**გაძევება:** აგუერო (73. ატლეტიკო)
**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 11(8)-11(8); **კუთხური:** 6-3; **თამაშგარე:** 4-3; **ჯარიმა:** 11-11; **ბურთის ფლობა:** 50%-50%
**მაყურებელი:** 26 163

**ბენფიკა-ნიურნბერგი 1:0**

**ბენფიკა:** კუიმი, ნელსონი, ლუიზაო, კაცურანისი, ლეო, ნუნუ ასისი (85. ადუ), კრისტიან როდრიგესი (85. დავიდ ლუისი), პეტიტი, რუი კოშტა, მაკუკლა, კარდოსო (60. დი მარია).

**ნიურნბერგი:** ბლაჟეკი, დ. რაინჰარდტი, გლაუბერი, ა. ვოლფი, პინოლა, გალაშეკი, კლუგე, ენგელჰარდტი, ნ. ადლერი (46. კრისტიანსენი), საენკო, კოლერი.

**გოლი:** 1:0 მაკუკულა (43)
**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 7(2)-12(4); **კუთხური:** 4-3; **თამაშგარე:** 4-2; **ჯარიმა:** 10-13; **ბურთის ფლობა:** 59%-41%
**მაყურებელი:** 20 000

ეს საინტერესოა

# დიდი ჩემპიონების არასაფეხბურთო საქმეები

## სერია A-ს ვარსკვლავები მხოლოდ თავიანთი უშუალო მოვალეობებით არ შემოიფარგლებიან




ასეთი სათაურით გამოაქვეყნა „კორიერე დელო სპორტმა“ წერილი, რომელშიც მოყოლილია ცნობილი მოთამაშეების არასაფეხბურთო გატაცებებსა და საქმეებზე. გასული საუკუნის 70-იან წლებში, ფეხბურთელთა ოცნების მაქსიმუმი ბარის, ძეხვის პატარა მაღაზიის ან ბენზინგასამართი სადგურის შეძენა იყო. გარდა ამისა, კარიერის დასრულების შემდეგ, შესაძლებელი იყო, მაგალითად სადაზღვევო აგენტად მოწყობა - ძველი დამსახურებების სანაცვლოდ. მაგრამ ეს ყველაფერი წარსულში დარჩა. ახლა, მილიონერი ფეხბურთელები თავიანთ მომავალზე აქედანვე ზრუნავენ და დიდ ფულს ხარჯავენ სხვადასხვა პროექტების განსახორციელებლად.

### ტრიო: მალდინი-ვიერი-ბროკი

34 წლის **კრისტიან ვიერი**, რომელიც "ფიორენტინას" შემადგენლობაში ირიცხება, დღეს, რა თქმა უნდა, შორს არის იმ თამაშისგან, რომლის წყალობითაც ცუდ დღეში აგდებდა ნებისმიერი გუნდის დაცვას. სამაგიეროდ, ის სხვა საქმეებში ზუსტად არტყამს მიზანში, რადგან მოდური ტანსაცმლისა და რესტორნების ბიზნესში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მეწარმედ ითვლება. 2003 წელს, ვიერიმ თავის მეგობართან, "მილანის" კაპიტან **პაოლო მალდინისთან** ერთად ინვესტიციები ჩადო Sweet years-ის ტანსაცმლის ახალ ხაზში. ამ ფირმის პროდუქცია ყველაზე დიდი წარმატებით ახალგაზრდებს შორის სარგებლობს და ექსპორტზეც კი გადის.

ვიერიმ და მალდინიმ თავიანთი საქონლის რეკლამის ეშმაკური ხერხი იპოვნეს: სათამაშო ფორმის ქვეშ, მათ ფირმის ლოგოთი დამშვენებული მაისურა აცვიათ. და როგორც კი, ვიერი გოლს გაიტანს, ის კლუბის მაისურს იხდის და ფირმის სიმბოლოს დემონსტრირებას იწყებს. ამის შემდეგ, თაყვანისმცემლები რა თქმა უნდა, უარს არ ამბობენ Sweet years-ის კოლექციიდან რაიმე აქსესუარის შეძენაზე.

გარდა ამისა, ვიერის რესტორანიც აქვს, რომელსაც Baci e abbracci ჰქვია. რესტორნის თანამფლობელი კრისტიანის ძველი მეგობარი და სეხნია - **ბროკი** გახლავთ, რომელიც "მილანში" თამაშობს. თანამედროვე სტილის რესტორანი მილანის ცენტრში, სანტ' ამბროჯოს რაიონში მდებარეობს და მისი სახელწოდება ძალიან მალე მიენიჭება ტანსაცმლის ახალ ხაზს, რაშიც აქტიურ ფინანსურ მონაწილეობას იღებენ, ისევ და ისევ, ვიერი და ბროკი. ეს არც არის გასაკვირი. როცა იტალიის ეკონომიკურ დედაქალაქში შენს შესახებ ბევრს ლაპარაკობენ, საქმის ნახევარი წარმატება გარანტირებულია.

### ტოტი და ილარი

რომში, ფეხბურთელებს შორის მეწარმეობის მხრივ "რომას" კაპიტანი, **ფრანჩესკო ტოტია** ყველაზე აქტიური. თუმცა საუბრობენ იმაზე, რომ საოჯახო ბიზნესში ინიციატივა ფეხბურთელის მეუღლისგან, **ილარი ბლაზისგან** მოდის. 2003 წელს, მათ მოდური ტანსაცმლის წარმოების იდეა დაებადათ, მაგრამ მისი პრაქტიკაში განხორციელება მხოლოდ ორი წლის მერე, საკუთარი ქორწინების გაფორმების შემდეგ მოახერხეს. 2005 წლის მეორე ნახევარში შეიქმნა ფირმა - Never Without you, რომლის 50 პროცენტი ტოტის ოჯახს ეკუთვნის. ყოველ წელს, ის ახალ კოლექციას წარმოადგენს, რომელსაც კარგი რეკლამა უკეთდება. ბუნებრივია, რომ ტოტის გვარი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, პირველ რიგში, ეს ახალგაზრდობაზე ითქმის.

საერთო ჯამში, მოდის სამყაროში მეწარმეობა იტალიელ ფეხბურთელებს შორის ყველაზე მეტ ინტერესს იწვევს, რადგან აქ წარმოსახვის ფართო ჰორიზონტი იხსნება. გარდა ამისა, ტოტიმ რამდენიმე საიმედო დაბანდება განახორციელა იმ პროვინციის უძრავ ქონებაში, რომლის დედაქალაქიცაა რომი.

### გამომცემელი ლუკარელი

"პარმას" ფეხბურთელი **კრისტიანო ლუკარელი** ჯერ კიდევ დონეცკის "შახტარში" თამაშობდა, როცა გასული წლის 9 სექტემბერს გამოვიდა გაზეთ „კორიერე დი ლივორნოს“ პირველი ნომერი. მისი მთავარი რედაქტორი **ემილიანო ლიუცია**, ხოლო ლუკარელი გამომცემელი გახლავთ. ის პირველი იტალიელი ფეხბურთელი გახდა, ვისაც ამ როლში ჰქონდა დებიუტი. გაზეთის შექმნაში ლუკარელის პირველი შენატანი 2 მილიონი ევრო გახლდათ.

რედაქციაში ათობით ახალგაზრდა ჟურნალისტი მიიღეს. *"ჩვენ ისინი იმ ადამიანების სიაში ვიპოვნეთ, რომლებიც სამსახურს ეძებდნენ. ამით, გარკვეული წვლილი შევიტანეთ ახალგაზრდების დასაქმებაში"*, - განაცხადა გამომცემელმა ლუკარელიმ და იქვე დაამატა - *"გარდა ამისა, ჩვენი გამოცემით ბოლო მოვუღეთ ქალაქის მთავარი გაზეთის მონოპოლიას"*.

ახალი გაზეთი 40-გვერდიანია და მასში მთავარი ადგილი მიმდინარე მოვლენებსა და სპორტს ეხება. *"ანუ იმას, რისი თქმაც სურს ხალხს და იმას, რისი კითხვაც მათ ურჩევნიათ"*, - ხსნის ლუკარელი.

პირველ ნომერთან დაკავშირებით პატარა კაზუსი მოხდა. გაზეთის დებიუტი იტალიისა და საფრანგეთის ნაკრებებს შორის შესარჩევი მატჩის (0:0) მეორე დღეს დაემთხვა, რომელშიც ლუკარელიმ 28 წუთი ითამაშა. საკუთარმა გაზეთმა მას 5.5 შეფასება დაუწერა, რასაც გამომცემელი კატეგორიულად არ დაეთანხმა. *"მთავარ რედაქტორთან ვიჩივლებ. წარმოგიდგენიათ, ჩემი თამაში მხოლოდ 5.5-ით შეაფასეს"*.

### ზეედორფი: მოტოსპორტიდან სუშიმდე

თუმცა იტალიაში ლუკარელის, საგამომცემლო საქმეში ერთი წინამორბედი მაინც ჰყავდა - "მილანის" ჰოლანდიელი ლეგიონერი **კლარენს ზეედორფი**. თავის დროზე ის ჟურნალ Sport Auto Moto-ს უშვებდა, მაგრამ შემდეგ გაყიდა ეს ბიზნესი და ამით დაასრულა თავისი საგამომცემლო მოღვაწეობა. ჰოლანდიელი ძალიან უფრთხილდება თავის იმიჯსა და საფეხბურთო მოედნის მიღმა საქმეებს. მან თანამშრომელთა მთელი შტატი შეკრიბა, რომლებიც კლარენსს სხვადასხვა პროექტების შექმნასა და რეალიზებაში ეხმარებიან. მეწარე-ფეხბურთელი ზეედორფი იმდენად ეკონომიურად ეპყრობა თავის დროს, რომ სხვა ფეხბურთელებისგან განსხვავებით, მძღოლი ემსახურება. ასე რომ, მანქანაში მას თავის გეგმებსა და საქმეებზე ფიქრის საშუალებაც აქვს.

ჟურნალთან გამომშვიდობების შემდეგ, ჰოლანდიელს ძრავების სამყარო არ დაუტოვებია და დღეს მოტოგუნდის - Valsir Seedorf Racing-ის მფლობელი გახლავთ. ეს მოტოსაჯინიბო უკვე ხუთი წელია, 125 კუბური სანტიმეტრის კლასში მსოფლიო გრან-პრიზე გამოდის (გუნდის პილოტები არიან: ჩეხი **პეშეკი** და ესპანელი **ტეროლი**).

მილანში დიდი მოწონებით სარგებლობს რესტორანი Finger's, რომელიც ზეედორფმა ბრაზილიელ შეფ-პოვართან **რობერტო ოკაბესთან** ერთად გახსნა. რესტორანი სუშიზე და ფუსიონის სამზარეულოზე (ადგილობრივი და ეგზოტიკური პროდუქტების ნაზავი) სპეციალიზირდება. გასულ წელს, ზეედორფმა და ოკაბემ კუნძულ სარდინიის ცნობილ კურორტ პორტო ჩერვოშიც გადაწყვიტეს კიდევ ერთი Finger's-ის გახსნა.

ჰოლანდიელი ქველმოქმედებასაც არ ივიწყებს, რასაც მის მიერვე შექმნილი ბავშვთა ფონდის დახმარებით ახორციელებს, ხოლო თავის ისტორიულ სამშობლოში, სურინამში მან ღარიბი ოჯახების ბავშვებისთვის დიდი სპორტული ცენტრი გახსნა.

### სხვები

ბიზნესის საქმეებში ორივე მილანური კლუბის ფეხბურთელები საკმაოდ წარმატებულები არიან. ზოგიერთ მილანელზე ზემოთ გესაუბრეთ, მაგრამ თანაგუნდელებს არც სხვა ფეხბურთელები ჩამორჩებიან. ასე მაგალითად, **ჯენარო გატუზო** და **ალესანდრო ნესტა** "მილანის" ვიცე-პრეზიდენტის, **გალიანის** ვაჟთან ერთად რესტორნის მფლობელები არიან, მანამდე კი, გატუზო ბროკისთან და **კრისტიან აბიატისთან** ერთად სხვა რესტორნის მფლობელი გახლდათ.

"ინტერის" ფეხბურთელებიც ცდილობენ ბიზნესში თავის გამოჩენას. მაგალითად, **ხავიერ ძანეტიმ** თავის რამდენიმე თანამემამულესთან ერთად არგენტინული სამზარეულოს რესტორანი გახსნა. შემდეგ კი, კოლუმბიელ თანაგუნდელთან, **ივან კორდობასთან** ერთად, კომოს ტბაზე ფეშენებელური სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი ააშენა. სხვათა შორის, ძანეტი სწორედ კომოს ტბასთან ახლოს ცხოვრობს.

ბუნებრივია, ასეთ საქმეებში ფეხბურთელების ცოლებიც მონაწილეობენ. ძანეტიმ თავის მეუღლესთან ერთად საქველმოქმედო ფონდი შექმნა, რომელსაც "პუპოს ფონდი" ჰქვია და ის ღარიბი ოჯახებიდან გამოსულ ბავშვებს ეხმარება.

საინტერესოა "მილანისა" და "ინტერის" ყოფილი მოთამაშის, **ფრანჩესკო კოკოს** არასაფეხბურთო მოღვაწეობა. ჯერ კიდევ ფეხბურთელობის დროს, მან ტანსაცმლის წარმოების ორი ხაზი გახსნა, რომელთაგან დღეს მხოლოდ ერთი ფუნქციონირებს. მაგრამ კოკო თავისი გარეგნობითაც გამოირჩევა და ქალებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამიტომაც შარშან, როცა 30 წლის ასაკში საფეხბურთო კარიერა დაასრულა, მაშინვე კინემატოგრაფში დაიწყო ძალების მოსინჯვა.

### რონალდო: მკურნალობა საკუთარ კლინიკაში

31 წლის ბრაზილიელ ფორვარდს ასევე ჰქონდა შეხება ორივე მილანურ კლუბთან: "ინტერში" მან ექვსი სეზონი გაატარა, ახლა კი, "მილანის" მოქმედი ფეხბურთელია. 2002 წელს, ბრაზილიის ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატის მოგების შემდეგ, **რონალდო** სამშობლოში გაემგზავრა და თავის კომპანიონთან, **ნილტონ პეტრონესთან** ერთად, რიო-დე-ჟანეიროს გარეუბანში, ქვეყანაში ფიზიოთერაპიის ყველაზე დიდი და თანამედროვე ცენტრი გახსნა - Campus r9. ცენტრის მთლიანი ტერიტორია 15 ათას კვადრატულ მეტრს შეადგენს, აქედან დაახლოებით ერთი მეხუთედი შვიდ სამკურნალო კორპუსს ეკუთვნის. კლინიკაში სხვადასხვა განყოფილება ფუნქციონირებს: ფიზიოთერაპიული, ნევროლოგიური, ორთოპედიული, საბავშვო, სპორტული... აქ კარი გახსნილია ყველასთვის, ვისაც მკურნალობის ხარჯების გასტუმრება შეუძლია.

რონალდოს ცენტრში ცნობილი ადამიანები დადიან, მათ შორის, თავად ფეხბურთელის კოლეგებიც. პაციენტებს შორის შემჩნეულნი იყვნენ **რონალდინიო, რომარიო, რენატო გაუშო**... ხოლო შარშან ზაფხულს კი, აქ თავად რონალდომაც იმკურნალა, რომელიც კუნთების ტკივილს უჩიოდა. ბუნებრივია, მას თავად მისი კომპანიონი, პეტრონე პატრონობდა, რომელიც არა მარტო კლინიკის დირექტორია, არამედ ცნობილი ფიზიოთერაპევტი გახლავთ. საერთო ჯამში, რონალდოს ბიზნესი მეტად სასარგებლო და სარფიანი საქმე ყოფილა.

დასასრულს, „კორიერე დელო სპორტი“ აღნიშნავს, რომ ფულის კეთების სხვა ხერხიც არსებობს - საკუთარი იმიჯის გაყიდვა, რასაც ასე წარმატებით ახორციელებენ **დევიდ ბექჰემი** და რონალდინიო. მაგრამ ეს უკვე სხვა საუბრის თემაა.

**გიორგი თვალია**



### ეგვიპტელი მეკარე არსენალში

"არსენალმა" ეგვიპტის ნაკრების მეკარეს, **ესამ ელ ჰადარის** დაადგა თვალი. "დეილი მეილის" ცნობით, მასთან კონტრაქტის გაფორმებას სეზონის დასრულებისთანავე შეეცდებიან. ელ ჰადარი აფრიკის ერთა თასის საუკეთესო გოლკიპერად დაასახელეს. მას წინა ტურნირზეც ანალოგიური ჯილდო გადაეცა. ეგვიპტელები ორივეჯერ აფრიკის ჩემპიონები გახდნენ. ელ ჰადარი ეგვიპტური და აფრიკული საკლუბო ფეხბურთის გრანდის, "ალ აჰლის" ღირსებას იცავს. ქაიროს კლუბს მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებიათ. ფეხბურთელმა თქვა, რომ თუ მისი კლუბი ტრანსფერს დათანხმდება, ის ალბიონს სიამოვნებით მიაშურებს.

### ინგლისელებმა ამორებიეტა ვერ მოხიბლეს

წინა დღეებში "ბილბაოს" ხელმძღვანელობა ინგლისელი სტუმრების მასპინძლობას ვერ აუდიოდა. ერთი კვირის განმავლობაში ბასკეთში "ლივერპულის", "მანჩესტერ იუნაიტედისა" და "ნიუკასლის" ემისრები იმყოფებოდნენ. ბრიტანული გუნდების მესვეურებს **ფერნანდო ამორებიეტას** გადაბირება სურთ. ერთი შეხედვით, კარიერის ისეთ გრანდებში გაგრძელების შესაძლებლობა, როგორებიც "მანჩესტერი" და "ლივერპული" არიან, ჯოჯოხეთურ ცდუნებასთანაა დაკავშირებული, მაგრამ "ბილბაოს" ფეხბურთელს აღფრთოვანება საერთოდ არ ეტყობა: *"კლუბის ხელმძღვანელებმა დამიბარეს და ჩემთვის სრულიად მოულოდნელად მითხრეს, რომ ერთბაშად სამ ინგლისურ გუნდს გაუჩნდა თანამშრომლობის სურვილი. შემდეგ მათი ვინაობაც დამიკონკრეტეს და კითხეს, რას ვფიქრობდი ამ ყოველივეს შესახებ. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მშობლიურ "ბილბაოში" ძალიან ბედნიერად ვგრძნობ თავს და ერთ მიზეზსაც ვერ ვხედავ, რატომ უნდა დავტოვო გუნდი. ვნახოთ, პრეზიდენტი და დირექტორთა საბჭო რას მოიფიქრებენ, თუმცა მათ ჩემი პოზიცია უკვე იციან - "სან მამესის" დატოვება არ მსურს."*

### კაპიტანი სიტიში დარჩება

**რიჩარდ დანი** "მანჩესტერ სიტიში" დარჩება. კლუბი კაპიტანს ახალ კონტრაქტს შესთავაზებს. ეს ინფორმაცია "სიტის" თავკაცმა **სვენ გორან ერიქსონმა** გაავრცელა. ირლანდიელ მცველს დღევანდელ ხელშეკრულებაში ორნელიწადნახევარი აქვს დარჩენილი. სატრანსფერო კანონმდებლობის თანახმად, მას სეზონის დასრულებისთანავე შეუძლია კონტრაქტის გამოსყიდვა. დანის შეძენა "სელტიკსა" და "ნიუკასლს" სურს, თუმცა ახლა ირკვევა, რომ ფეხბურთელს დაახლოებით ისეთსავე პირობებს შესთავაზებენ, როგორსაც მისმა პარტნიორმა **მიკა რიჩარდსმა** ერთი კვირის წინ მოაწერა ხელი. რიჩარდსის შემთხვევაში, საუბარი იყო ხუთწლინახევრიან კონტრაქტსა და კვირაში 50-ათასგირვანქიან ხელფასზე.

### სიდველი: ჩელსიდან ვესტ ჰემში

**სტივ სიდველი**, შეიძლება, "ვესტ ჰემში" გადავიდეს. გასულ ზაფხულს ახალგაზრდა ინგლისელმა "რედინგიდან" "ჩელსის" დიდი იმედით მიაშურა, მაგრამ არისტოკრატების ახალ მწვრთნელს ის აღარ დასჭირდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ **ავრამ გრანტმა** სიდველი ჩემპიონთა ლიგის განაცხადშიც კი არ შეიყვანა. ამით ყველაფერი ნათელი გახდა. "ჩელსის" ის აღარ სჭირდება. სავარაუდოდ, ზაფხულის ტრანსფერებისას სხვა ნახევარმცველს, ან ნახევარმცველებს შეიძენს და ფეხბურთელის პოზიციები კიდევ უფრო შესუსტდება. სწორედ ამიტომ სიდველმა ახალი სამსახური უნდა მოძებნოს. "ვესტ ჰემი" ჩინებული ვარიანტია. "ჩაქუჩები" მზად არიან, მასში 5 მილიონი გირვანქა გადაიხადონ.

ბალტიის თასი

# ცინცაძე როკერებს ყოჩობს

გიორგი ცინცაძემ ბალტიის თასზე მორიგი ეფექტური მატჩი ჩაატარა, ბოლო წუთებზე ენერგიული თამაშით თანაგუნდელებიც აიყოლია, მაგრამ წამებზე რიგის ასკ-სთან მაინც ვერაფერი გააწყო. ლატვიელებმა "ტარტუ როკი" მისსავე მოედანზე 70:68 დაამარცხა.

ქართველმა გამთამაშებელმა, რომელიც ბალტიის "ოლ სტარის" შემდეგ პირველ შეხვედრას ატარებდა, 33 წუთი ითამაშა, 13 ქულა, 5 პასი, 4 ჩაჭრა და 2 მოხსნა მოაგროვა. გიორგიმ ახლო დისტანციიდან მაღალი შედეგიანობით ისროლა - 7-დან 5 ორქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო გამოიყენა, პერიმეტრიდან კი ოთხივე ტყორცნა ააცილა.

საინტერესოა, რომ ცინცაძემ 13-დან 7 ქულა მატჩის უკანასკნელ 5 წუთში ჩააგდო. მანამდე "როკერებს" საქმე კარგად ნამდვილად არ მისდიოდათ. რიგის კალათბურთელებმა მეოთხე პერიოდის საწყის წუთზე 9-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს - 53:44. მომდევნო ხუთი წუთის განმავლობაში მსპინძლებმა ბევრი შეცდომა დაუშვეს. ვერც ცინცაძე იყო მოწოდების სიმაღლეზე, რის გამოც მწვრთნელმა ბუ სათადარიგოთა სკამზე გაამწესა. გიორგი მოედანს სირენამდე 5 წუთით ადრე დაუბრუნდა, თამაში საკუთარ თავზე აიღო, ერთმანეთს 5 ქულა მიაყოლა (ერთი ორქულიანი და 3 საჯარიმო) და სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა. მატჩის დასრულებამდე 6 წამით ადრე კი სოლო-რეიდის შედეგად ანგარიში გაათანაბრა - 68:68. მაშინ, როცა ყველას ეგონა, მატჩი ოვერტაიმში გადავიდოდა, ბოლო წამზე რიგელმა კურტის მილაგემ სტუმართა სწრაფი შეტევა ორქულიანით დააგვირგვინა და ლატვიაში 2 ქულით გაბრუნდა.

ბალტიის ლიგაზე "როკს" პლეიოფში მოხვედრის დიდი შანსი არც ამ მატჩამდე ჰქონდა და წაგების შედეგად სულაც მერვე ადგილზე გადაინაცვლა - 5 მოგება და 11 წაგება აქვს. მორიგ მატჩს "ტარტუ როკი" ევროთასზე გამართავს - მეოთხედფინალის პირველ შეხვედრაში "ურალ გრეიტს" დაუპირისპირდება. თამაში რუსეთში 19 თებერვალს გაიმართება.

ვაჟა სიმონიშვილი



გიორგი ცინცაძე



ლეგიონი

# იქნებ, ერთიც შეაშინოთ, უფროსო!

"ატლანტა ჰოქსმა" ხუთმატჩიანი გასვლითი სერია შარლოტთან გასვლითი მარცხით გახსნა - 98:100. ჯორჯიელებმა შეხვედრა დამატებით დროში დათმეს.

**ზაზა ფაჩულიასა** და მისი მწვრთნელის, **მაიკ ვუდსონის** ურთიერთობა ბოლო დროს საგრძნობლად აირია. "ატლანტა ჰოქსის" თავკაცი ქართველს აღარ ენდობა და სათამაშო დროს ნელ-ნელა უმცირებს: წინა შეხვედრაში 12 წუთი მისცა (2 ქულა, 2 მოხსნა), გუშინ, "შარლოტ ბობქეთსთან" კი 4 წუთი არგუნა. ზაზას მონაგარიც შესაბამისად შემცირდა - 1 ქულა, 1 მოხსნა.

მკითხველს შევახსენებთ, რომ მწვრთნელი ზაზას იანვარშიც არ ათამაშებდა, რის გამოც ქართველი ვუდსონს სათადარიგოთა სკამიდან წამოუხტა და ხელები გაუშალა. შეიძლება ჩემი მხრიდან ამის დაწერა გაუმართლებელი იყოს, მაგრამ მახსენდება ქართული ფილმი, "ქვევრი", რომელშიც გოგია მილიციონერს სთხოვს - იქნებ, ერთხელ კიდევ შეაშინო, უფროსოო...

ამასობაში დუბლს დუბლზე ასრულებს ზაზას უშუალო კონკურენტი **ელ ჰორფორდი**, რომელმაც "შარლოტში" 12 ქულა და 14 მოხსნა მიითვალა. მატჩის სნაიპერობა კი მასპინძელთა მეფარემ **ემეკა ოკაფორმა** იკისრა. მის ანგარიშზე ეფექტური ორმაგი დუბლია - 20 ქულა, 21 მოხსნა.

"ატლანტა ჰოქსმა" გასვლითი სერია წაგებით გახსნა და სადღეისოდ 21 მოგების წილ 28 წაგება აქვს. იგი სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში მესამე ადგილზეა. მეოთხეა "შარლოტი" რომელსაც 19 გამარჯვება მოუგროვდა (34 მარცხი).

ვაჟა სიმონიშვილი

# უგრეხელიძე თასს ვერ შეწვდა

**დავით უგრეხელიძის** "ბორაჩ ნექტარმა" ბოსნიის თასის ფინალში "შიროკისთან" ორი ქულის სხვაობით დათმო - 72:74.

სარაევოში გამართული მატჩის ბომბარდირი შიროკელი ლავერი გახდა, 22 ქულა ჩააგდო, ხოლო "ბორაჩის" მხრიდან ყველაზე მეტი ქულა იოვანოვიჩს ჰქონდა (14). ქართველმა ცენტრმა, **დავით უგრეხელიძემ** ათი წუთი ითამაშა და მოედანი უქულოდ დატოვა.

აქვე გეტყვით, რომ ნახევარფინალში "ბორაჩ ნექტარმა" "გრუდე" 87:76 დაამარცხა, ხოლო მეოთხედფინალში "სლობოდა" - 89:76.

ვახტანგ ტყეშელაშვილი



დავით უგრეხელიძე




## თარიღი

ომარ მერაბიშვილი. დაიბადა 15.02.1942, ხოვლე, კასპი. ძიუდო. სსრკ ნაკრების მწვრთნელი (1979-92). მისი აღზრდილები არიან: დავით ხახალეიშვილი, აკაკი კიბორძალიძე, ავთანდილ გუბელაძე და გრიგოლ მამრიკიშვილი. სსრკ დამსახურებული მწვრთნელი. ღირსების ორდენის კავალერი.

შოთა მორჩილაძე. 15.02.1951, თბილისი - 06.01.2004, მოსკოვი (რუსეთი). ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (+100 კგ). მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე (1974) და მესამე (1973) პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი (1974) და მესამე პრიზიორი (1973), სსრკ აბსოლუტური ჩემპიონი (1977), ხუთგზის მეორე (1974, 75, 77, 80, 81) და სამგზის მესამე (1969, 70, 78) პრიზიორი, სსრკ თასის მფლობელი (1973), სსრკ ხალხთა VI სპარტაკიადის მესამე პრიზიორი (1975). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

ანა დოლონაძე. დაიბადა 15.02.1973, მცხეთა. ბატუტზე ხტომა. ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (2004), სიდნეის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (2000, VII ადგილი). მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი (1990 - გუნდური, 1998 - სინქრონული, 2001 - პირადი), ორგზის მეორე (1999, 2001 - სინქრონული) და ოთხგზის მესამე (1998, 99, 2003 - პირადი; 2003 - სინქრონული) პრიზიორი, მსოფლიოს თასის მფლობელი (1993 - სინქრონული), მეორე (1993 - პირადი) და ორგზის მესამე (2002 - სინქრონული, 2004 - პირადი) პრიზიორი, ევროპის ხუთგზის ჩემპიონი (1989 - გუნდური; 1997, 98, 2001 - სინქრონული; 1998 - პირადი), ხუთგზის მეორე (1993, 95, 2000 - სინქრონული; 1993, 2000 ) პირადი) და სამგზის მესამე (1998 - გუნდური; 2001 - პირადი; 2002 - სინქრონული) პრიზიორი, სსრკ ჩემპიონი (1990 - პირადი), მეორე (1989 - პირადი) და მესამე (1990 - სინქრონული) პრიზიორი. დობროვოლსკის თასის მფლობელი (1988 - პირადი), ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1988). 1996 წლიდან ცხოვრობს გერმანიაში, 1998-იდან გამოდის მ ქვეყნის სახელით. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. ღირსების ორდენის კავალერი.

ჭადრაკი



მერი არაბიძე

საქართველოს ჩემპიონატი. U 16

# ვაჟებში 9, გოგონებში 6

საპრიზო ადგილებისთვის ამდენი რეალური მაძიებელი დარჩა 16-წლამდელთა საქართველოს პირველობაზე, თუმც ამათ შორისაც შეიძლება გამოარჩიო ფავორიტები...

გოგონებში ლიდერობა დაიბრუნა და ერთპიროვნულად უდგას ცხრილს სათავეში **მერი არაბიძე**. მან თეთრი ფერით, იქამდე ერთპიროვნული ლიდერი **ნათია ჯალაბაძე** დაამარცხა. როგორც გუშინ ვივარაუდეთ, თუკი არაბიძე იმარჯვებდა, ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტი გახდებოდა. ასეც მოხდა და ალბათ აღარ დათმობს უპირატესობას - მისი კლასი ცნობილია და რახან სასტარტო ჩავარდნას თავი დააღწია და საკუთარი თამაში იპოვნა, რთულად რომ ვინმემ შეაჩეროს. მერვე ტურში არაბიძეს **ფატი რიჟამაძე** დაუპირისპირდება. თეთრი ფერით რიჟამაძეა.

სხვა პარტიებიც საინტერესოდ წარიმართა და ბოლოს ისე გამოვიდა, რომ 5 ქულა ხუთმა მონაწილემ დააგროვა: **ფატი რიჟამაძე, ნინო ანაკიძე, ანა შამათავა, ნათია ჯალაბაძე** და **მარიამ თევზაძე** 5.5-ქულიან არაბიძესთან ერთად იბრძოლებენ საპრიზო ადგილებისთვის.

ვაჟებში მედლების მოცილე კიდევ უფრო მეტი - 9 მოჭადრაკეა. აქაც ერთპიროვნული ლიდერი გამოვლინდა და **ნოდარ დავარაშვილია**. დავარაშვილი რეიტინგით მეორეა და თითქოს არც უნდა იყოს გასაკვირი, მაგრამ მან ისეთ პარტიებში იმარჯვა, სადაც შესაძლებელი იყო ქულები დაეკარგა, თანაც სტარტიც არ ჰქონდა კარგი.

მეშვიდე ტურის წინ ოთხნი ლიდერობდნენ და ერთმანეთს დაუწყვილდნენ: დავარაშვილი შავებით **ზურაბ ჯავახაძეს** ხვდებოდა, **ლევან ბრეგაძე** კი, რომელიც ტურნირის პირველი ნომერია, თეთრებით **ირაკლი ჯანიაშვილს** დაუპირისპირდა.

ლევანმა თითქოს გამოასწორა თამაში ტურნირის მეორე ნახევარში, მაგრამ გუშინ კვლავ ვერ იყოჩაღა და ძლივს გადაურჩა წაგებას: ჯანიაშვილმა დებიუტში მალე გაათანაბრა პოზიცია, შემდეგ იერიშზეც გადავიდა და ცოტა მეტი ყურადღებით რომ ეთამაშა, ალბათ გაიმარჯვებდა: მეფის ფრთაზე მხედარი კარგად შეეწირა, რის ხარჯზეც ოთხი პაიკი მოინადირა; თანაც მეტოქის მეფე სრულად შიშველი დატოვა. არ ვიცი, ბოლომდე ვერ ირწმუნა მოგება თუ ბრეგაძემ ერთადერთი სვლებით შეძლო პოზიციის დაცვა, ფაქტია, რომ ერთმანეთს ზავის ნიშნად ხელი ჩამოართვეს.

დღეს ალბათ გადაწყდება პირველი ადგილის ბედი: დავარაშვილი თეთრებით სწორედ ბრეგაძეს ხვდება და თუკი მოიგო, ალბათ ბოლო ტურში ყაიმსაც იოლად გაახერხებს. ბრეგაძის გამარჯვების შემთხვევაში კი, მართალია მეცხრე ტურშიც წარმატება იქნება საჭირო, მაგრამ, ჩვენი აზრით, ლევანი ამ შანსს უკვე აღარ გაუშვებს ხელიდან, მით უფრო, რომ თეთრებით მოუწევს თამაში.

ძალიან დამაინტრიგებელი იყო **ალექსანდრე ებრალიძისა** და **ირაკლი ბერაძის** დაპირისპირება. ესენი თანატოლები და თაობის ლიდერები არიან, მაგრამ ურთიერთშეხვედრებში და ტიტულებითაც ბერაძე ჯობნის. ებრალიძე ამჯერად კარგ ფორმაში იყო და რევანშის შანსი ჰქონდა, მაგრამ დამარცხდა. როგორც ჩანს, ებრალიძე ბერაძის კომპლექსი გამოუმუშავდა, თორემ ისე სწრაფადაც არ დანებდებოდა, როგორც ეს გუშინ მოხდა, თანაც თეთრი ფერიც მის მხარეზე იყო. ირაკლიმ თავის მხრივ საკმაოდ სერიოზული ნაბიჯი გადადგა წინ და მერვე ტურში მეორე დაფაზე თამაშის უფლება მოიპოვა - 5,5 ქულით მეორე-მეოთხე ადგილებს იყოფს. დღეს მისი მეტოქე ჯანიაშვილი იქნება. თეთრებით ჯანიაშვილია.

დღევანდელი, ბოლოსწინა ტური, ყველაზე დაძაბული უნდა იყოს ტურნირზე. გულშემატკივარს მოსაწყენად ნამდვილად არ ეცლება!

მერვე ტურში. გოგონები: ფატი რიჟამაძე (5)-მერი არაბიძე (5,5), ნინო ანაკიძე (5)-ანა შამათავა (5), ნათია ჯალაბაძე (5)-თეკლა მაჭარაშვილი (4), მარიამ თევზაძე (5)-ირმა გელდიაშვილი (4), მადონა ყიფშიძე (3,5)-ლელა უგულავა (3,5), ანა კუჭავა (3,5)-ნანი უნაფქოშვილი (3,5), დეა გოგიშვილი (3,5)-მარიამ ვალიშვილი (3).

ვაჟები: ნოდარ დავარაშვილი (6)-ლევან ბრეგაძე (5,5), ირაკლი ჯანიაშვილი (5,5)-ირაკლი ბერაძე (5,5), თორნიკე გაბუნია (5)-გიორგი ნიკოლაშვილი (5), ნოდარ ლორთქიფანიძე (5)-ზურაბ ჯავახაძე (5), კახაბერ წერეთელი (4,5)-ანდრო ერვანდიანი (5), ნიკოლოზ შენგელია (4)-ალექსანდრე ხახუტაიშვილი (4,5).

**ზვიად შათირიშვილი**

ბალახის ჰოკეი

ინტერვიუ ავთანდილ თევდორაძესთან

# ევროპაში გასვლას ვიწყებთ

საქართველოში ბალახის ჰოკეის საფუძველი ყოფილმა მორაგბემ **თემურ არჩაიამ** ჩაუყარა. მან 1972 წელს ქუთაისში პირველი გუნდი შექმნა, ცოტა ხანში კი ქართველი ჰოკეისტები საკავშირო პირველობაზეც ჩაერთვნენ. ქუთაისის გუნდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პირველ ლიგაში ყოველთვის ლიდერთა შორის იყო, თუმცა უმაღლესში გადასვლა ვერ მოახერხა. ჩვენი ჰოკეისტები საერთაშორისო ტურნირებზეც ხშირად მონაწილეობდნენ. 1991 წელს მათ ესპანეთში მეორე, ხოლო 1993 წელს ავსტრიის საერთაშორისო ტურნირზე მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს.

1979 წელს ქუთაისში **ავთანდილ თევდორაძის** ხელმძღვანელობით ქალთა გუნდიც ჩამოყალიბდა, რომელმაც საკმაო წარმატებებს მიაღწია. 1988 წელს ქუთაისელმა გოგონებმა ახალგაზრდებს შორის სსრკ-ს ჩემპიონატის ოქროს მედლები მოიპოვეს. 1990-91წლებში კი საკავშირო პირველ ლიგაში იასპარეზეს.

ბოლო წლებში ქართული ბალახის ჰოკეი ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. საქმე იქამდე მივიდა, რომ სპორტსმენთა დიდმა ნაწილმა ჰოკეის თავი დაანება და ახალი სახეობა, ფლორბოლი ჩამოაყალიბა. მიუხედავად ამისა ბალახის ჰოკეის არსებობა არ შეუწყვეტია. შარშან ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს თემურ არჩაიას ვაჟი **კოტე არჩაია**, რომელმაც უკვე მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სპორტის ამ სახეობის მდგომარეობა. რამდენიმე დღეში ქუთაისის ქალთა გუნდი „უქიმერიონი" თურქეთში ევროპის საკლუბო ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას.

ბალახის ჰოკეის ფედერაციის მუშაობისა და სამომავლო გეგმების შესახებ ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს ავთანდილ თევდორაძეს ვესაუბრეთ.

**- ადრე ხშირი იყო შემთხვევები, როცა უცხოეთში შეჯიბრებაზე წასული ჰოკეისტები იქვე რჩებოდნენ სამუშაოდ, რამაც ქართულ ჰოკეის საზღვარგარეთ სახელი გაუტეხა. სპორტის ეს სახეობა დიდ ხანს სალათას ძილს იყო მიცემული. საინტერესოა, ამჟამად რა მდგომარეობაა?**

- მართლაც, ძალიან ბევრი პრობლემა გვქონდა, სწორედ ამიტომ გახდა საჭირო ფედერაციის ხელმძღვანელობის შეცვლა. შარშან პრეზიდენტად ავირჩიეთ კოტე არჩაია. მისი მოსვლის შემდეგ მდგომარეობა სასიკეთოდ შეიცვალა. ბევრი კარგი საქმე გაკეთდა და სამომავლოდაც არაერთი მნიშვნელოვანი პროექტია განსახორციელებელი. პირველ რიგში ურთიერთობა აღდგა ბალახის ჰოკეის მსოფლიო და ევროპის ფედერაციებთან. 2007 წლის ივნისში ევროპის ფედერაციის გენმდივანი დევიდ ბალბინი გვსტუმრობდა. იგი კოტე არჩაიასთან შეხვედრით კმაყოფილი დარჩა და ჩვენს ფედერაციას დახმარება აღუთქვა. ბალბინმა სურვილი გამოთქვა, რომ საქართველოს ჩემპიონმა რომელიმე ევროთასებზე მიიღოს მონაწილეობა. რამდენიმე დღეში თურქეთში იწყება ევროპის საკლუბო პირველობა გოგონათა შორის, რომელშიც ჩვენი გუნდიც იასპარეზებს. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეს ყველაზე სერიოზული ტურნირი იქნება, რომელსიც ქართველი ბალახის ჰოკეისტები ითამაშებენ.

**- საქართველოს ჩემპიონატში რამდენი გუნდი ასპარეზობს?**

- ჩემპიონატი ტარდება ვაჟებსა და ქალებს შორის, ასევე იმართება ახალგაზრდული გუნდების პირველობა. ვაჟებში ქუთაისის ორი, ლანჩხუთისა და წყალტუბოს გუნდები ასპარეზობენ, გოგონებში კი ქუთაისის ორი, ლაჩხუთისა და ჩოხატაურის გუნდები. წელს ჩემპიონატს ბათუმის ვაჟთა და ქალთა გუნდებიც დაემატება. გუნდის შექმნა იგეგმება ფოთშიც, აბაშაში კი ერთ-ერთი სკოლის ბაზაზე ბავშვთა გუნდი ჩამოყალიბდება, რომელიც ახალგაზრდებში იასპარეზებს.

**- თქვენთვის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა სტანდარტული მოედნის არქონა იყო. ამჟამად როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ?**

- სტანდარტული მოედნების პრობლემა დღესაც არის, მაგრამ თითქმის ყველგან გაკეთდა ხელოვნურსაფარიანი მინიმოედანი, რამაც საშუალება მოგვცა, რომ ჩემპიონატები ასეთ მოედნებზე ჩავატაროთ.

**- მინიმოედანზე ბალახის ჰოკეის თამაში რამდენად დასაშვებია?**

- ამ ეტაპზე ჩემპიონატს მინიჰოკეიში ვატარებთ და ამის უფლება ევროპის ფედერაციისგან მოვიპოვეთ. სამომავლოდ კი ჩემპიონატი სტანდარტულ სტადიონზე გაიმართება. დევიდ ბალბინი დაგვპირდა, რომ 2009 წელს ქუთაისში სტანდარტული ხელოვნურსაფარიანი მოედნის მოწყობაში დაგვეხმარება. წელს, აპრილში მასთან ერთად საქართველოში ევროპის ბალახის ჰოკეის პრეზიდენტიც ჩამოდის და გვინდა დავაყენოთ საკითხი, რომ 2009 ან 2010 წელს ქუთაისში ევროპის ჩემპიონატის რომელიმე საკვალიფიკაციო ეტაპი ჩატარდეს. იმედია, ქალაქის ხელმძღვანელობის მხრიდანაც გვექნება მხარდაჭერა.

**- საქართველოს ნაკრების ჩამოყალიბება თუ იგეგმება?**

- ჩვენ უკვე შეტანილი გვაქვს განაცხადი, რომ საქართველოს ნაკრებმა 2009 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე მიიღოს მონაწილეობა. ეს საკითხი აპრილში ევროპის ფედერაციის ხელმძღვანელების სტუმრობისას გადაწყდება.

**- ბოლოს თურქეთში გასამართ ტურნირზეც ვისაუბროთ...**

- ევროპის საკლუბო ჩემპიონატში საქართველოს ჩემპიონი ქუთაისის „უქიმერიონი" იასპარეზებს. თურქეთში 18 თებერვალს მივემგზავრებით. ტურნირში რვა გუნდი ითამაშებს. ჩვენს ჯგუფში პორტუგალიის, შვედეთისა და თურქეთის გუნდები არიან. ამ ტურნირისთვის „უქიმერიონს" რამდენიმე მოთამაშე გურიიდან დაემატა, კარგი გუნდი შეიკრა და იმედი მაქვს, რომ თურქეთში წარმატებით ვიასპარეზებთ.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან



ვარჯიში ქუთაისის სპორტის სასახლეში

კრივი

საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

# გლდანიდან მსოფლიო ჩემპიონატამდე

უფროსების შემდეგ, გუშინ 2008 წლის სეზონი გახსნეს ახალგაზრდა მოკრივეებმაც. გლდანის დკდ-ს დარბაზში, გუშინ დაიწყო საქართველოს ახალგაზრდული პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის 130-მდე მოკრივე.

გუშინ პირველი ეტაპის ორთაბრძოლები გაიმართა. დღეს მეოთხედფინალებია, შაბათს ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართება და ბრინჯაოს მედალოსნები გამოვლინდებიან. კვირას კი ჩემპიონატის დამაგვირგვინებელი ფინალური ჩხუბები შედგება. სამივე დღეს, ორთაბრძოლები დაიწყება დილის 12 საათიდან.

საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალურ მდივანი **ვლადიმერ ახალკაცი** შეჯიბრების პირველი დღით კმაყოფილი იყო.

- მოხარული ვარ, რომ საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობს თითქმის ყველა რეგიონის 130 ახალგაზრდა მოკრივე. ეს არის ჩვენი ახალგაზრდული პირველობის რეკორდი - აქამდე ამდენი მონაწილე არ გვყოლია.

სასიამოვნოა ისიც, რომ პირველსავე დღეს გამოჩნდა რამდენიმე საკმაოდ საინტერესო ახალგაზრდა. მთლიანობაში, ამ ბიჭების სახით, მშვენიერი თაობა გვეზრდება. საქართველოს ჩემპიონატის შედეგების მიხედვით, ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბეჟან ჭიჭინავა ჩამოაყალიბებს იმ გუნდის ბირთვს, რომელიც ოქტომბერში მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზებს. მსოფლიო ჩემპიონატამდე კი შესაძლებლობების ფარგლებში, გუნდს მაქსიმალურად კარგ პირობებს შევუქმნით - შეკრებებით დაწყებული და საერთაშორისო ტურნირებით დამთავრებული.

**კობა ხატისაშვილი**

ძიუდო

# მესამე სერია, ავსტრია

ხვალ ვენაში იწყება სეზონის მესამე სალიცენზიო ტურნირი - მსოფლიოს სუპერთასი, რომელშიც საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოვა: **ამირან პაპინაშვილი და ვახტანგ ხოსიტაშვილი** (60), **უჩა ხუციშვილი და მინდია ხომიზური** (66), **თენგიზ პაპოშვილი** (73), **საბა გავაშელიშვილი და ლევან ნიკლაური** (81), **ვალერი ლიპარტელიანი და ბესიკ ტყემალაძე** (90), **ლევან რაზმაძე** (100), **გიორგი ყიზილაშვილი და ზვიად ხანჯალიაშვილი** (+100).

როგორც ვხედავთ, ადრე გამოცხადებული შემადგენლობაში ოდნავი ცვლილებაა. კერძოდ. ზვიად ჩინჩალაძე ხანჯალიაშვილმა შეცვალა, 66-ში კი ხომიზური დაემატა. შეგახსენებთ, რომ ხომიზური შემოდგომის მიწურულს ერევანში, დიდი პრიზის ტურნირზე მძიმედ დაშავდა და იქვე სასწრაფო ოპერაციაც გაუკეთეს.

როგორც ვხედავთ, შოთა ხაბარელს ვენაში უფრო სათადარიგო შემადგენლობა მიჰყავს, თუმცა მათ შორის 1-2 ისეთიცაა, რომლებისგანაც ოლიმპიურ გუნდში მოხვედრას არ გამორიცხავენ. მაგრამ მწვრთნელმა ასპარეზი ძირითადად ისეთებს დაუთმო, რომლებსაც საერთაშორისო ტურნირებში გამოსვლის შანსი ხშირად არ ეძლევათ. ცხადია, მათი გამოსვლები ძალზე საინტერესოა, როგორც რეზერვისა და მომავალი თაობისა.

ამ შემადგენლობაში ორი ისეთი ფალავანია, რომელიც უცხოეთში უფროსებში პირველად იჭიდავებს - პაპოშვილი და ლიპარტელიანი. სხვებს მსოფლიო თასებზე მეტ-ნაკლებად უასპარეზიათ, რამდენიმე კი საკმაოდ გამოცდილია. მაგალითად, პაპინაშვილი, ყიზილაშვილი, რაზმაძე და განსაკუთრებით - ხანჯალიაშვილი. რაც შეეხება **ლევან ნიკლაურს**, შეგახსენებთ, რომ მან შარშან, აგვისტოში, ალბათ, ყველასთვის მოულოდნელად, გერმანიაში ბრაუნშვაიგის ტურნირი მოიგო. ვნახოთ, რას იზამს ამჯერად, თუმცა ამ წონაში არანაკლებ საინტერესოა **საბა გავაშელიშვილის** გამოსვლაც - ეგებ, ამ წონაში კონკურენციის ზრდის ტემპი ისევ გაგრძელდეს.

ძირითადი ნაკრები ამ დილით დაბრუნდებოდა პარიზიდან, სადაც ტურნირის შემდეგ ერთობლივ ვარჯიშებზე დარჩა. ვენაში მიმავალი გუნდიც მომდევნო ერთ კვირას იქ გაატარებს ასევე ერთობლივ წვრთნებზე, მერე პარასკევს ესენიც თბილისში დაბრუნდებიან, აქედან კი მომდევნო გუნდი გაემგზავრება უკვე ჰამბურგში, იქაურ სუპერთასზე. უკვე ცნობილია გერმანიაში წამსვლელი რამდენიმე ფალავანი: **ბეთქილ შუკვანი** (60), **ალექსანდრე იაკობაშვილი და ზებედა რეხვიაშვილი** (66), **ხვიჩა ხუციშვილი** (81), **ნოდარ მეტრეველი** (100) და **ადამ ოქრუაშვილი** (+100). ვენის ტურნირის შედეგებიდან გამომდინარე, ამ შემადგენლობას რამდენიმე კაცი აუცილებლად დაემატება, ლიდერებისთვის კი დასკვნით ტურნირად 1-2 მარტს გასამართი პრაღის მსოფლიო თასია მიჩნეული.

**ირაკლი თავაძე**

# ტოტალიზატორის სკანდალი: ლაბაძე და ფიურერი, მეგობრობა თუ...

## ESPN-ის ჟურნალისტური გამოძიებიდან



ირაკლი ლაბაძე



მარტინ ფიურერი

ამერიკულმა ჟურნალმა ESPN-მა ოთხთვიანი ჟურნალისტური გამოძიება ჩაატარა ვაჟ ჩოგბურთელთა სამყაროში (ATP) ბოლო დროს გახშირებულ ფაქტებთან, როცა ტოტალიზატორთან ურთიერთობა მოწინავე ჩოგბურთელებს ბრალდება. ჟურნალმა ყველა გახმაურებული საქმე შეისწავლა. ბევრი კონფიდენციალური ინფორმაციაც შეიტყო და საინტერესო დასკვნებიც დადო. სტატიაში "კაცი, რომელმაც საჩოგბურთო სამყარო აანერვიულა" ერთი ქვეთავი მთლიანად ქართველ ირაკლი ლაბაძეს ეძღვნება. ESPN-ის მიხედვით ლამის ყველა შემთხვევაში ამ საქმეების უკან ერთი კაცი დგას, ვისაც ეძღვნება კიდეც ეს სტატია - 30 წლის ავსტრიელი მარტინ ფიურერი. ყოფილი მოდელი, ვენაში მოთამაშეთა სამყაროში ცნობილი, როგორც "ტოტალიზატორის მეფე". გთავაზობთ ვრცელი სტატიის მხოლოდ იმ ფრაგმენტებს, სადაც საუბარი საქართველოს ყოფილ პირველ ჩოგანზეა.

მარტინ ფიურერის ტოტალიზატორული ნიჭის ერთ-ერთი საყვარელი ლუკმა **ირაკლი ლაბაძეზე** თამაში იყო. ლაბაძე ექვსი ფუტისა და ორი ინჩის სიმაღლის ცაციაა საქართველოდან. ლაბაძე 1998 წლიდან ავსტრიაში გადაბარგდა მას შემდეგ, რაც პროფესიონალი ჩოგბურთელი გახდა. ლაბაძე ჯერ არ იყო შესული ტოპ ორმოცდაათეულში, როცა ფიურერი მას დაუახლოვდა. - *ერთხელ ვუყურე მის ვარჯიშს, გავეცანით ერთმანეთს და ლანჩზე ერთად ვიყავით. ამის შემდეგ თუკი ტურნირებზე ვხვდებით ერთმანეთს, ან კინოთეატრში მივდივართ, ანაც ერთად ვსადილობთ.* ამბობს ფიურერი.

ლაბაძის შესახებ კითხვები ჩოგბურთელებსაც უჩნდებათ. მაგალითისთვის, **ჯასტინ გიმელსტობი**, რომელმაც შარშან დაანება თავი ჩოგბურთს, ახლაც გაკვირვებულია, რატომ გამოვიდა ლაბაძე მის წინააღმდეგ 2003 წლის უიმბლდონზე, როცა მას მხარის სერიოზული ტრავმა აწუხებდა. რუსულ ტელევიზიასთან ახლახან მიცემულ ინტერვიუში 26 წლის ლაბაძემ, რომელმაც კარიერაში ATP-ის 49 მატჩი მოიგო და 81 წააგო, აღიარა, რომ მარტინ ფიურერს იცნობს. თუმცა ფიურერს საკმაოდ ცივად შეუძლია გიპასუხოთ, რატომ დებს ფსონს ხშირად მისი მეგობრის წაგებაზე - *"ლაბაძე არცთუ საუკეთესო ჩოგბურთელია, თუ მის საწინააღმდეგოდ დადებთ ფულს, ხშირად მოიგებთ".*

*"ჩოგბურთში ასეთი რამეები ხდებოდა, მაგრამ ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი მას შემდეგ გახდა, რაც ტოტალიზატორის სამყაროში ახალი მოთამაშე გამოჩნდა - Betfair. ტრადიციული კანტორა, აყალიბებს ფსონებს და შემდეგ სთავაზობს მას კლიენტებს. ახალი კანტორა სხვა პრინციპით მუშაობს. ის eBay-ის ტოტალიზატორულ ვერსიას წააგავს, ანუ Betfair აკავშირებს ფსონს ჩამომავალ ხალხს მის მიმღებთან. Betfair-ს კლიენტურა 100-ზე მეტ ქვეყანაში ჰყავს, აშშ-ს გარდა (ოფიციალურად), რადგან ამერიკაში ინტერნეტით ტოტალიზატორზე თამაში აკრძალულია. "როდესაც საქმეში Betfair ერთვება, შესაძლოა ერთ მატჩზე 60 მილიონ დოლარამდეც გათამაშდეს. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში ჩოგბურთელის მდგომარეობას ჯანმრთელობისა და მოტივაციის შესახებ, ნებისმიერ ინფორმაციას ოქროს ფასი აქვს"* - ამბობს **მარკ ქრიდლენდი**, ცნობილი ავსტრალიელი ბუკმეიკერი.

2003 წლიდან მარტინ ფიურერმა Betfair-ზე მილიონზე მეტი ითამაშა. მას შემდეგ, რაც ის ირაკლი ლაბაძეს დაუმეგობრდა, სისტემატურად დაიწყო მის წაგებაზე თამაში. ის ერთხელ შევიდა ინტერნეტით Betfair-ის საიტზე იმ ბიზნეს ცენტრიდან, სადაც ჩოგბურთელთა სასტუმრო იყო. გიმელსტობი ჩოგბურთელთა და მათ მეგობართა წრეს ერთ დიდ ქაოსს უწოდებს: *"როგორ უნდა გავარკვიო, დავუშვათ, ვინ რომელი არგენტინელი ჩოგბურთელის მეგობარია, როცა თავადაც სახეზე ძლივს ვცნობ მათ. ეს არის ქაოსი".* თავად ფიურერი გაკვირვებულია, რა არის ამაში საეჭვო: *"თუკი დავუშვათ მე ვიცი რომელიმე ჩოგბურთელის ტრავმის შესახებ და ამის გამო დავურეკე მეგობარს, რომელმაც ჩემს მაგივრად ინტერნეტით დადო ფსონი, ამაში ცუდი რა არის. რაც შეეხება იმ სასტუმროებიდან შესვლას, სადაც ჩოგბურთელები ცხოვრობენ, ზოგადად იქიდან სხვა მოთამაშეებიც შედიან".*

2003 წლის 23 სექტემბერს, ვინმეს რომ ენახა სიცილიის ლია პირველობის პირველი წრის განთესვა, იტყოდა, რომ ლაბაძე გაიმარჯვებდა. ლაბაძე პალერმოში მსოფლიოს 84-ე ჩოგნის სტატუსით ჩავიდა, მისი მეტოქე იტალიელი **ტომას ტრენკონი** (მაშინ 225-ე) იყო. მაგრამ იმ თამაშზე ძალიან ბევრი ფული დაიდო ლაბაძის წინააღმდეგ - 362 741 ათასი დოლარი. ეს თანხა სულ მცირე ექვსჯერ მეტი იყო პირველი წრის სხვა რომელიმე მატჩთან შედარებით. ბუკმეიკერები თამაშის დაწყებამდე საქმის კურსში იყვნენ, მიხვდნენ, რომ აქ რაღაცაში იყო საქმე, თითქოს მოთამაშეებმა იცოდნენ, რა უნდა მომხდარიყო წინასწარ. ტურნირის ორგანიზატორებმაც კი უღალატეს თავიანთ ჩვეულებას და ორივე ჩოგბურთელს მატჩამდე მოსთხოვეს თავდადებით თამაში. თუმცა შეხვედრა დაიწყო და ლაბაძე უფერულად ათამაშდა, ის ვერც მეორე გაფრთხილებამ გამოაფხიზლა. ორ სეტში დამარცხებულ ლაბაძეს ATP-იმ 7 500 დოლარი ჯარიმა დააკისრა, მოუწადინლობისთვის. აი, რას იხსენებს ATP-ის ერთ-ერთი ჩინოსანი: *"ლაბაძის საქმესთან დაკავშირებით ერთი დიდი პრობლემაა - თავად ჩოგბურთელი ისეთი ტიპისა, რომ თავისუფლად შეუძლია ერთ დღეს ისე ითამაშოს, როგორც* ***პიტ სამპრასმა*** *, მეორე დღეს კი ვერ აჯობოს კარის მეზობელსაც კი".* ეს ერთი ახსნაა, ბუკმეიკერები სხვა ვერსიას ემხრობიან..

2004 წლის მაისში ფიურერი თავის BMW-ში ჩაჯდა და ვენიდან 40 მილში ინდუსტრიულ ქალაქ სენტ პოლტენს მიაკითხა. იქ მცირე ტურნირი იწყებოდა, მე-4 ნომრად განთესილი ირაკლი ლაბაძე კი მაშინ უცნობ ავსტრიელ **იულიან ნოულს** ხვდებოდა. იმ დროს ლაბაძე მის კარიერაში საუკეთესო, 42-ე ადგილს უახლოვდებოდა, თუმცა მარტინ ფიურერი მიიჩნევს, რომ კარგი დრო იყო მის წინააღმდეგ ეთამაშა: *"მატჩამდე ორი საათიდან ადრე ვნახე, როგორ ვარჯიშობდა, მისთვის ძალიან ცხელოდა და სულ ოფლად იღვრებოდა. გავიფიქრე, დღეს ის ნოულს ვერ მოუგებს-მეთქი".* ფიურერმა 10 ათასი ევრო დადო ფავორიტის წინააღდეგ ტოტალიზატორ Cashpoint-ში. მოლარემ, რომელიც ფიურერს არ იცნობდა მისი ფსონი მიიღო, თუმცა მეორემ, რომელიც ფიურერისა და ლაბაძის მეგობრობის შესახებ საქმის კურსში იყო, კარგად გაიგონა, როგორ ეჩხუბა მარტინი ერთ-ერთ მეგობარს, რომელმაც ნოულის მოგებაზე დადო ორ სეტში - "ნორმალური ხარ? ხომ გითხარი ნოული 2:1-ს მოიგებს". მოლარე მეპატრონესთან გაიქცა, რომელმაც გასცა განკარგულება, არ მიეღოთ ლაბაძის წინააღმდეგ ფსონები, მაგრამ ფიურერის ფსონი უკვე დადებული იყო. მოგებული ფულის (ნოულმა მართლაც სამ სეტში იმარჯვა - 2:1) ასაღებად დაბრუნებულ ფიურერს უსიამოვნო სიურპრიზი ელოდა, კანტორამ უარი უთხრა მოგების გაცემაზე. *"ისე მელაპარაკნენ, როგორ კრიმინალს"*, იხსენებს "ტოტალიზატორის მეფე", რომელმაც ივნისში უჩივლა Cashpoint-ს და ამით ჩოგბურთის ისტორიაში პირველად ტოტალიზატორთან დაკავშირებული ეჭვები სასამართლოზე გაირჩა. კანტორა მოითხოვდა ლაბაძის დასწრებას სასამართლოზე თამაშის წინასწარგანზრახვით წაგების მოტივით, თუმცა ქართველმა იუარა და აღნიშნა, რომ ძალიან დატვირთული გრაფიკი ჰქონდა. მისი აგენტის პირით ლაბაძემ განაცხადა, რომ *"ეს ბრალდება არის სრული სისულელე".* Cashpoint-ს სხვა არაფერი დარჩენოდა და საქმეში ATP ჩარია.

კანტორის საჩივარს **რიჩარდ ინგსი** გამოეხმაურა, მაშინ ATP-ის ვიცე-პრეზიდენტი. რომელიც ლონდონში Betfair-ის ოფისს ეწვია, სადაც მათ თანამშრომლობა შესთავაზა. ყოველი საეჭვო ფსონის დროულად ცნობების შესახებ. Betfair ცდილობს, თავიდან აიცილოს სკანდალები, ამიტომაც ჩინოვნიკის ინიციატივას სიხარულით დათანხმდა. ინგსმა დიდი ხანი ათვალიერა Betfair-ის მონაცემთა ბაზა. აღმოჩნდა, რომ მარტინ ფიურერი მათი ერთ-ერთი ყველაზე ხშირი კლიენტია, აღმოჩნდა, რომ მას ძალიან ხშირად დაუდია ლაბაძის წინააღმდეგ, თუნდაც პალერმოში. სიცილიურ ტურნირზე ლაბაძის წაგებაზე ყველაზე მეტი ფული სწორედ მარტინ ფიურერმა დადო. ამის შემდეგ ინგსი დაუკავშირდა თავად ლაბაძესაც. ცხადია, ჩოგბურთელი იცნობდა მოთამაშეს, მაგრამ ეს ავტომატურად არ ამტკიცებდა ეჭვს, რომ ლაბაძე საქმეში გარეული იყო.

ინგსმა ATP-ის ამ შემთხვევაზე ყურადღების მიქცევა ურჩია. რაც შეეხება ფიურერს, ის იხსენებს, რომ ინგსთან დიალოგის შემდეგ ლაბაძემ დაურეკა და შეეკითხა: *"მე ვუთხარი, რომ მართლაც დავდე ფული მის წაგებაზე და მოვიგე, რაზეც ირაკლიმ მიპასუხა ერთი სიტყვით - ok".*

2005 წელს ინგსმა შემაჯამებელი მეილი გაუგზავნა Cashpoint-ს, სადაც კანტორას გააცნო ყველა ის ცნობა, რაც Betfair-ის ბაზიდან შეკრიბა ლაბაძისა და ფიურერის შესახებ. 2003 წელს ფიურერმა ხუთჯერ ითამაშა ლაბაძის წაგებაზე და მოიგო, ის ჯამში 45 ათას დოლარ ფსონს ჩამოვიდა. ყველა შემთხვევაში ლაბაძე მატჩის ფავორიტი იყო. ინგსმა ისიც მისწერა კანტორას, რომ თუ ამის გამოყენება სურდათ სასამართლოში, მის ბოსთან უნდა შეეთანხმებინათ. ორი თვის შემდეგ, რაც ინგსმა გაგზავნის ღილაკს დააჭირა კურსორი, მან დატოვა ATP-ს მაღალჩინოსნის თანამდებობა და მშობლიურ ავსტრალიაში გადავიდა. წასვლის წინ კი მან თავის კოლეგებს გამაფრთხილებელი წერილი დაუტოვა, რომ ყურადღება მიექციათ მარტინ ფიურერის საქმისთვის. თუმცა მას შემდეგ ბევრი რამ და ვინმე შეიცვალა ორგანიზაციაში, ATP-ის ახალმა შეფმა **დე ვილიერსმა** საერთოდ არ იცოდა, ინგსის მიერ გაგზავნილი წერილის შესახებ, სანამ ის გასულ თვეში პირადად არ ანახეს.

Cashpoint -ის ადვოკატი **მარტინ პაარი** გაოცებულია, ის ინგსის ინსტრუქციის მიხედვით მოქმედებდა, მაგრამ ATP-ის რეზიდენციაში მას სამი-ოთხჯერ პასუხი არ აღირსეს. *"ყველაფერი საეჭვოდ გამოჩნდა, მათგან ჯერ დიდი ინფორმაცია მივიღეთ, შემდეგ კი ყველანაირი კონტაქტი შეწყდა. რაც ორგანიზაცია რიჩარდ ინგსმა დატოვა, ეს საქმე აღარავის აინტერესებს"*, დანანებით ამბობს ადვოკატი".

**შონ ასიელი,**

*ESPN-ის რეპორტიორი. ავტორი წიგნისა "სტეროიდების ერი".*




# ლადო ჩიხლაძე: კარიერა საფრთხეშია!

22 წლის **ლადო ჩიხლაძე** საქართველოს პირველი ჩოგანია, რეიტინგში აღმასვლა მან შარშანდელ სეზონში დაიწყო, როცა ხუთი მცირე საერთაშორისო ტურნირი (ორ-ორი საქართველოსა და შვეიცარიაში, ერთიც გერმანიაში) მოიგო და ოქტომბრის თვისთვის მსოფლიოს 350-ე ჩოგანი გახდა (ახლა 369-ე ადგილზეა). ახალგაზრდულ ასპარეზზე ლადომ მსოფლიოში 32-ე ჩოგნობამდე მიაღწია (2002 წელს), ამიტომაც მისგან ბევრის მიღწევას ველით. ჩიხლაძემაც ნელ-ნელა დაიწყო შესაფერისი თამაში დიდებში, ის განსაკუთრებით უძლიერესი მოწოდებით გამოირჩევა.

მაშინ, როცა მისგან მეტ წინსვლას ველოდით უსიამოვნო ამბავი შევიტყვეთ, ლადოს სპორტული კარიერა სერიოზული საფრთხის წინაშეა, რისი მიზეზიც ტრავმაა. ჩიხლაძემ ბოლოს ნოემბერში ჩელენჯერის სერიის ტურნირში ითამაშა გერმანულ ეკენტალში და მას შემდეგ არსად გამოჩენილა. სწორედ ამის გამო შევეხმიანეთ ქართველ ჩოგბურთელს, მისგან კი ძალიან ცუდი ამბავი შევიტყვეთ..

- თამაშს ვინ ჩივის, სიკვდილს გადავურჩი. ფლორიდაში ვისვენებდი, წყალში გადავხტი და თურმე იქ თავთხელი იყო და კისერი სამ ადგილას სერიოზულად დავიზიანე. ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვიყავი, მთელი ევროპა და ამერიკა მომატარეს, გამსინჯეს გერმანელმა, ჰოლანდიელმა და ამერიკელმა ცნობილმა სპეციალისტებმა. დღეისთვის კისრის სპეციალური კორსეტით ვარ და ძლივს ვახერხებ სიარულს. ჯერჯერობით უცნობია შევძლებ თუ არა კარიერის გაგრძელებას.

**- ეს როდის გახდება ცნობილი?**

- კიდევ ერთი სურათი უნდა გადამიღონ, ეს 8 მარტს მოხდება და ჩემი მდგომარეობის მიხედვით ექიმები გამოიტანენ საბოლოო დასკვნას - თუ ოპერაცია დამჭირდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩოგანი კედელზე უნდა ჩამოვკიდო, თუ - არა, მაშინ ხანგრძლივი რეაბილიტაციის შემდეგ, შეიძლება, კორტს დავუბრუნდე. დასანანია, მაგრამ რომ გადავრჩი, საერთოდ ესეც სასიხარულოა.

**- მალე საქართველოს ნაკრები დევისის თასზე ითამაშებს, არც ირაკლი ლაბაძე ჩანს კორტებზე, რა ეშველება ჩვენს გუნდს?**

- ირაკლის სამიოდე დღის წინათ ველაპარაკე და ოპტიმისტურადაა განწყობილი, თუმცა ხელზე შეიძლება კიდევ ერთი ოპერაცია დასჭირდეს. ასეთ შემთხვევაში რა იქნება, არ ვიცი. ამიტომ სჯობს თავად მას მიმართოთ. ჩემს ამბავს რაც შეეხება, ლეილა მესხს რამდენიმე კვირის წინათ გავაგებინე კისრის ტრავმის შესახებ. დევისის თასზე კი ნაკრებს ახალბედებით მოუწევს თამაში, რას ვიზამთ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

დევისის თასი

# სლოვაკეთთან, სტუმრად

11-13 აპრილს საქართველოს ვაჟ ჩოგბურთელთა ნაკრები დევისის თასის წლევანდელ გათამაშებაში ჩაებმება. ევროპა-აფრიკის I ზონის მეორე რაუნდის მატჩში სლოვაკეთის ნაკრებს ესტუმრება. პირველ რაუნდში ორივე ნაკრები ისვენებდა, გამარჯვებული მსოფლიო ჯგუფის პლეიოფის საგზურს მოიპოვებს, დამარცხებული კი სექტემბერში ზონაში ადგილის შესანარჩუნებლად ითამაშებს. დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ძალზე რთულია სლოვაკეთში გამარჯვებაზე ფიქრი, შეუძლებელიც, რადგან თითქმის ასი პროცენტით გადაწყვეტილია, რომ გუნდს არ ეყოლება **ირაკლი ლაბაძე**, რომელმაც ვერაფრით მოირჩინა ტრავმა და **ლადო ჩიხლაძე**, რომლის კარიერაც კისრის დაზიანების გამო საფრთხეშია. სამწუხაროდ, ქართველებს მეტი საერთაშორისო დონის ჩოგბურთელი არა გვყავს.

სლოვაკეთის ნაკრები 2005 წელს დევისის თასის ფინალში გავიდა, სადაც ხორვატიასთან დამარცხდა. ევროპა-აფრიკის I ზონაში წლეულს გუნდი მსოფლიო ჯგუფის პლეიოფში კორეასთან მარცხის გამო დარჩა. ამ მატჩში არ უთამაშია სლოვაკთა ლიდერ **დომინიკ ჰრბატის**.სლოვაკეთი, ჩვენს მსგავსად პირველ რაუნდში ისვენებდა. საქართველოს ნაკრებმა შარშან სერბეთთან გამანადგურებელი მარცხის მიუხედავად (0:5) შეძლო პირველ ზონაში ადგილის შენარჩუნება. ამისთვის ირაკლი ლაბაძისა და ლადო ჩიხლაძის წყალობით, ჩვენებმა 3:2 მოუგეს პორტუგალიას. ამის შემდეგ ლაბაძეს ჩოგბურთი აღარ უთამაშია. ლაბაძემ და ჩიხლაძემ თავიანთი მატჩები მოიგეს, გაიმარჯვეს წყვილშიც. შემდეგ კი **გიორგი ჭანტურია** და **გიორგი ხრიკაძე** დამარცხდნენ უმოტივაციო შეხვედრებში.

სლოვაკეთის ნაკრები დევისის თასის რეიტინგ-ლისტში მეცხრე ადგილზეა 6 785 ქულით, საქართველო კი 779 ქულით 33-ე ადგილზეა. დღეისთვის ყველაზე ძლიერი სლოვაკი ჩოგბურთელი 20 წლის **ლუკას ლაჩკოა**, ის მსოფლიოს 143-ე ჩოგანია. მასზე ათი წლით უფროსი დომინიკ ჰრბატი მსოფლიოს 178-ე ჩოგანია, თუმცა მას საქართველოსთან მატჩში ნამდვილად ვერ ვიხილავთ. 27 წლის **ივო კლეჩი** მესამე ასეულშია - 233-ე. სხვები: 339. **კამილ ცაპკოვიჩი**, 385. **მარტინ კლიზანი**, 427. **მიხალ მერტინაკი**, 454. **პავოლ ჩერვენაკი**, 469. **მარეკ სემიანი** და 486. **იან სტანჩიკი**. მოკლედ, მიუხედავად სლოვაკთა მაღალი რეიტინგისა, მიუხედავად იმისა, რომ მატჩი სლოვაკეთშია, მოგებაზე ფიქრი შეიძლებოდა, რომ არა ლაბაძისა და ჩიხლაძის ტრავმები.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ლებრონ ჯეიმსი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ლებრონი მანუმ გადაფარა

**გრეგ პოპოვიჩის** "სან ანტონიომ" მაინც წარმატებით ჩაამთავრა ცხრამატჩიანი დამღლელი გასვლითი სერია. კრიზისში მყოფი მოქმედი ჩემპიონების ნაადრევად ჩამოწერა არასწორი გამოდგა, რაც "სპურსმა" ბოლო შვიდი მატჩიდან ექვსის მოგებით დაამტკიცა.

"სან ანტონიოს" კვლავ არ ჰყოლია დაშავებული ფრანგი ვარსკვლავი **ტონი პარკერი** (რომელმაც ზედიზედ მერვე შეხვედრა გამოტოვა), **ტიმ დანკანმაც** ბლომად იოლი სროლები გააფუჭა, მაგრამ ტეხასელთა მესამე ბობოლამ, **მანუ ჯინობილიმ** კარიერაში საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა და **ლებრონ ჯეიმსის** კიდევ ერთი მაგიური საღამო ნაღდად დაჩრდილა.

არგენტინელი შეუჩერებელი იყო - 20 "ცოცხალი" სროლიდან 15 გამოიყენა და რაც მთავარია, 11 სამქულიანიდან, 8 ზუსტად შეასრულა.

ბოლო მეოთხედის წინ "კავალიერსი" 4 ქულას კი იგებდა, მაგრამ უკანასკნელი 12-წუთეული მოძრავი, უნივერსალი სამხრეთამერიკელის სრულ ბენეფისად იქცა - 18 ქულა, ოთხივე ზუსტი სამქულიანი და რაც მთავარია, სრული იგნორირება იმისა, რომ მას პერსონალურად თვით ლებრონი იყვანდა.

"სან ანტონიომ" ბოლო მეოთხედში 8 შორეული სროლიდან მხოლოდ ერთი ააცილა და წლევანდელი სეზონის აბსოლუტური რეკორდიც დაამყარა - მანამდე არცერთ გუნდს არ უსვრია უკანასკნელ მეოთხედში ბურთი 78-პროცენტიანი სიზუსტით. იმ იშვიათ მომენტებშიც, როდესაც სტუმრები ბურთს ვერ აგდებდნენ, მოხსნაზე დანკანი მუშაობდა და თავისიანებს მეორე შანსს აძლევდა.

ორი ლიდერის, ჯინობილისა და ჯეიმსის ჯახის უკანასკნელი რაუნდი კი მართლაც არაჩვეულებრივი სანახავი გამოდგა. ჯინობილი სამიანს აგდებდა, ჯეიმსი იდენტური სროლით პასუხობდა. მანუ შესვლისას ჯარიმით აგროვებდა ქულებს და საპასუხო შეტევაში ლებრონიც სამქულიანი შეტევით ამწუხრებდა მოქმედ ჩემპიონებს. მოკლედ, ეს იყო დაუვიწყარი შოუ, რომელიც ჯეიმსმა, ჯინობილის დარად, ბოლო 12 წუთში 18 ქულის გაკეთებით დაავგვირგვინა.

ბოლო სამ შეხვედრაში ჯინობილიმ 19 (!) სამქულიანი გამოიყენა, პოპოვიჩმა კი მისით აღფრთოვანება ვერ დამალა.

*"საკუთარი მოთამაშეების ცაში აყვანა არ მიყვარს, მაგრამ დღეს რომ ჯინობილის რვა სამიანის ნაცვლად, თუნდაც 5 ან 6 რომ გამოეყენებინა, ულაპარაკოდ წავაგებდით, რადგან ლებრონს რაც სურდა, იმას აკეთებდა"*, - ამბობდა პოპოვიჩი.

"კავალიერსი" პირველ ნახევარში ძალიან დამაჯერებლად თამაშობდა და ერთი პირობა, 12 ქულითაც კი გავიდა წინ. დიდ შესვენებამდე 3 წუთით ადრე ლებრონმა დანკანს თითქოსდა სუფთად დაუფარა, მაგრამ რეფერიმ ჯარიმა დააფიქსირა, ჯეიმსმა კი იმდენი იყვირა, რომ მიმდინარე რეგულარულში თავისი პირველი ტექნიკურიც დაიმსახურა. დარჩენილი დრო სტუმრებმა 8:0 მოიგეს და მესამე მეოთხედის დაწყებამდე, "კლივლენდის" უპირატესობა მინიმუმამდე (47:46) შემცირდა.

**ზურაბ თალაკვაძე**

**კლივლენდი-სან ანტონიო 105:112**
24:18, 23:28, 28:25, 30:41
**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (39 ქ. 9 პ. 6 მ), ლ. ჰიუზი (26 ქ. 6 მ), გუდენი (7 ქ. 11 მ).
**სან ანტონიო:** ჯინობილი (46 ქ. 8 პ. 3 ჩ), დანკანი (23 ქ. 13 მ. 2 დ), უდოკა (12 ქ), ბ. ბოუენი (10 ქ).

**ჰიუსტონი-საკრამენტო 89:87**
35:20, 17:19, 27:22, 10:26
**ჰიუსტონი:** მინი (25 ქ. 14 მ. 3 დ), ალსტონი (23 ქ. 7 პ), ბეტიე (15 ქ), მაკგრეიდი (10 ქ. 6 მ. 5 პ. 3 ჩ).
**საკრამენტო:** არტესტი (30 ქ. 3 ჩ), ბიბი (14 ქ), ბ. მილერი (13 ქ. 6 მ), კევინ მარტინი (12 ქ).

**ორლანდო-დენვერი 109:98**
26:28, 22:20, 28:21, 33:29
**ორლანდო:** რ. ლუისი (25 ქ. 7 მ), დ. ჰოვარდი (23 ქ. 24 მ. 5 დ), ბ. კუკი (18 ქ), თურქოღლუ (18 ქ), ნელსონი (13 ქ. 5 პ. 3 ჩ).
**დენვერი:** ენტონი (32 ქ. 6 მ), აივერსონი (21 ქ. 7 პ), კენიონ მარტინი (17 ქ. 9 მ. 4 ჩ), ჯეი. არ. სმიტი (16 ქ), კემბი (6 ქ. 8 მ. 4 ჩ. 4 დ).

**ტორონტო-ნიუ ჯერსი 109:91**
30:17, 32:24, 30:22, 17:28
**ტორონტო:** ბოში (27 ქ. 9 მ), კალდერონი (22 ქ. 12 პ. 2 ჩ), ჯ. მუნი (15 ქ. 2 ჩ), ბარნიანი (14 ქ).
**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (15 ქ. 7 პ), რ. ჯეფერსონი (15 ქ), დ. არმსტრონგი (12 ქ. 6 პ. 4 ჩ), ს. სეიფტი (12 ქ. 6 მ), მარკუს უილიამსი (11 ქ. 4 ჩ), ნახბარი (10 ქ).

**ბოსტონი-ნიუ იორკი 111:103**
21:24, 32:16, 32:32, 26:31
**ბოსტონი:** პირსი (24 ქ. 7 პ. 4 ჩ), რ. ალენი (21 ქ. 8 მ. 5 პ), პოუ (18 ქ. 8 მ), რონდო (18 ქ. 5 პ. 3 ჩ. 3 დ), ტ. ალენი (14 ქ), პოუსი (5 ქ. 11 მ. 5 პ).
**ნიუ იორკი:** ჯ. კროუფორდი (27 ქ. 7 პ. 6 ჩ), ზ. რენდოლფი (20 ქ. 13 მ), ლი (18 ქ. 8 მ), ნ. რობინსონი (11 ქ. 5 პ), ფ. ჯოუნსი (10 ქ. 6 პ).

**მინესოტა-ლეიკერსი 92:117**
21:30, 23:30, 24:39, 24:18
**მინესოტა:** ე. ჯეფერსონი (19 ქ. 9 მ), ფოიე (18 ქ), გომესი (11 ქ. 8 მ).
**ლეიკერსი:** ბრაიანტი (29 ქ. 5 მ. 5 პ), გასოლი (19 ქ. 9 მ. 3 დ. 2 ჩ), ვუიაჩიჩი (15 ქ), ფიშერი (12 ქ), რადმანოვიჩი (11 ქ), ოდომი (10 ქ. 16 მ. 10 პ).

**მილუოკი-ნიუ ორლეანი 107:111**
27:31, 33:32, 26:23, 21:25
**მილუოკი:** რედი (30 ქ. 6 მ. 5 პ), მო უილიამსი (14 ქ. 9 პ. 3 დ), დ. მეისონი (14 ქ), ქსიანლიანი (13 ქ), ჩ. ბელი (12 ქ), სიმონსი (10 ქ. 3 ჩ).
**ნიუ ორლეანი:** დევიდ უესტი (22 ქ. 8 მ), პოლი (21 ქ. 10 პ. 3 ჩ), სტოიაკოვიჩი (19 ქ), ჩენდლერი (15 ქ. 16 მ), ბ. ჯექსონი (11 ქ), რ. ბატლერი (10 ქ).

**სიეტლი-იუტა 93:112**
24:27, 23:22, 26:32, 20:31
**სიეტლი:** დიურანი (19 ქ. 2 ჩ), უილკინსი (14 ქ), უილკოქსი (11 ქ. 4 ჩ), კურტ ტომასი (10 ქ. 13 მ), ე. უოტსონი (7 ქ. 14 პ. 2 ჩ).
**იუტა:** ბუზერი (22 ქ. 11 მ. 10 პ. 5 ჩ), ოქური (20 ქ. 10 მ), დ. უილიამსი (17 ქ. 10 პ. 4 ჩ), რ. ბრიუერი (16 ქ), მილსეპი (10 ქ. 6 მ. 2 ჩ).

**კლიპერსი-ვაშინგტონი 98:91**
17:25, 15:20, 28:16, 29:30
**კლიპერსი:** ტორნტონი (24 ქ. 9 მ), მაგეტი (20 ქ), მობლი (13 ქ. 3 ჩ), კამანი (11 ქ. 11 მ. 2 დ), ტიმ ტომასი (10 ქ).
**ვაშინგტონი:** ჯეიმისონი (29 ქ. 9 მ. 3 ჩ), ჰეივუდი (15 ქ. 9 მ. 2 დ), სტივენსონი (13 ქ), ბლატჩე (13 ქ), მაკგუაიერი (უქულოდ, 12 მ).

**დალასი-პორტლენდი 96:76**
28:15, 26:28, 19:16, 23:17
**დალასი:** ნოვიცკი (37 ქ. 12 მ. 2 დ), ტერი (24 ქ), ბარეა (11 ქ), დემპიე (10 ქ. 11 მ. 3 დ).
**პორტლენდი:** როი (25 ქ. 6 მ. 6 პ), ტ. აუთლო (13 ქ), ბლეიკი (13 ქ).

**დეტროიტი-ინდიანა 96:80**
25:21, 30:21, 22:10, 19:28
**დეტროიტი:** ბილაპსი (14 ქ. 6 პ. 3 ჩ), რ. ჰამილტონი (14 ქ. 5 პ), პრინსი (14 ქ), სტაკი (12 ქ), მაქსიელი (11 ქ. 11 მ. 2 დ).
**ინდიანა:** დიოგუ (14 ქ), მ. დანლივი-უმცროსი (11 ქ), ა. ოუენსი (10 ქ. 6 მ. 2 ჩ), გრეინჯერი (9 ქ).

**ფილადელფია-მემფისი 102:89**
26:21, 29:24, 29:23, 18:20
**ფილადელფია:** იგუოდალა (29 ქ. 8 მ. 8 პ. 2 ჩ), დალემბერი (16 ქ. 12 მ. 4 დ), ა. მილერი (14 ქ. 11 პ), ტ. იანგი (12 ქ. 8 მ. 3 დ), უ. გრინი (11 ქ).
**მემფისი:** გეი (23 ქ), ნავარო (23 ქ. 8 მ), ლოური (15 ქ. 6 მ. 6 პ), მ. მილერი (13 ქ).

**შარლოტი-ატლანტა 100:98 (ო)**
19:29, 20:22, 24:22, 29:19, 8:6
**შარლოტი:** ფელტონი (22 ქ. 7 პ), ოკაფორი (20 ქ. 21 მ. 5 დ), ჯ. რიჩარდსონი (19 ქ. 8 მ. 2 ჩ), დადლი (12 ქ. 3 ჩ).
**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (23 ქ), ლოუ (19 ქ), მერვინ უილიამსი (14 ქ. 6 მ. 2 ჩ), ლო (13 ქ), ჰორფორდი (12 ქ. 14 მ. 3 დ), **ზაზა ფაჩულია** (1 ქ. 1 მ).

**გ. სტეიტი-ფინიქსი 120:118**
37:32, 22:23, 28:35, 33:28
**გოლდენ სტეიტი:** მ. ელისი (37 ქ. 9 მ. 5 პ), ბ. დევისი (27 ქ. 13 პ), ს. ჯექსონი (19 ქ. 6 პ. 4 ჩ), მ. ბარნსი (13 ქ. 2 ჩ), ე. ჰარინგტონი (12 ქ).
**ფინიქსი:** ა. სტაუდმაიერი (29 ქ. 13 მ), გ. ჰილი (26 ქ. 15 მ), ბარბოსა (24 ქ), ნეში (20 ქ. 12 პ. 2 ჩ).

ახალი პროექტი

# NBA ევროპაში გადადის




ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციას ხუთი ევროპული გუნდის შექმნა და მათი რეგულარულ ჩემპიონატში ჩართვა აქვს განზრახული. ამ გეგმის შესახებ განცხადება NBA-ის კომისარმა **დევიდ სტერნმა** გაავრცელა, ოფიციალურად ახალი პროექტის წარდგენა შაბათს მოხდება. ჯერჯერობით, ევროპული ქალაქების სიაში ლონდონი, ბერლინი, რომი და მადრიდი ფიგურირებენ.

გრძელდება ამერიკული სპორტის ევროპაში ექსპანსია. წელს, ჰოკეის ეროვნული ლიგის სეზონი ლონდონში დაიწყო, ამერიკული ფეხბურთის ლიგამ (NFL) სეზონის მსვლელობისას ერთი მატჩი ძველ კონტინენტზე გადაიტანა, NBA კი, ყოველ წელს საგამოფენო მატჩებს მართავს სხვადასხვა ევროპულ ქალაქებში. მაგრამ კალათბურთელები ამაზე გაჩერებას არ აპირებენ.

დევიდ სტერნმა აღიარა, რომ მისი ლიგა რეგულარულ ჩემპიონატში ევროპული კლუბების ჩართვის ვარიანტს განიხილავს. იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ევროპის სხვადასხვა ქალაქებში უნდა შეიქმნას ხუთი კლუბი, რომლებიც შექმნიან ე.წ. ევროპულ დივიზიონს. "ევროპელებს" 82-მატჩიან კალენდარში თანაბარი უფლებებით შეიყვანენ და მათ მთავარი პრიზისთვის ბრძოლის საშუალება ექნებათ. სახელდება რამდენიმე ქალაქი, რომელთაგან ფავორიტები ლონდონი, რომი, ბერლინი და მადრიდი არიან.

ოკეანის გაღმა ექსპანსიის იდეა ახალი არ არის. სტერნი ჯერ კიდევ ხუთი წლის წინათ აცხადებდა ევროპის NBA-ში ინტეგრირების შესახებ, მაგრამ მალე ფინანსურად უფრო მომგებიან ჩინურ ბაზარზე გადაერთო. კომისარმა ადგილობრივ ფედერაციებთან და ბიზნეს-ჯგუფებთან კონტრაქტები გააფორმა და გასულ თვეში NBA-China-ს დაარსების შესახებ გამოაცხადა. ტელეკომპანია ESPN-მა და ჩინელმა ინვესტორებმა ამ პროექტში 253 მილიონი დოლარის დაბანდების პირობა დადეს.

აზიაში შესაბამისი გამოცდილების მიღების შემდეგ, სტერნმა მაინც გადადგა ნაბიჯი ევროპული ბაზრისკენ, სადაც მუშაობა გაცილებით იოლი იქნება. ძველი კონტინენტის ფედერაციები უკვე 20 წელია ცდილობენ, სპორტის ეს სახეობა მომგებიან ბიზნესად აქციონ, მაგრამ ჯერჯერობით, ამ მცდელობას შედეგი არ მოუტანია. ევროპული კალათბურთის პოპულარობა ძალიან დაბალ დონეზეა, სოკერიც კი, ამერიკაში გაცილებით მეტად ფასობს პუბლიკის, რეკლამის დამკვეთებისა და პრესის თვალში.

*"აქ საერთოდ არ არსებობს დიდი ბრენდები*, - ამბობს ჩრდილო-ევროპული საკალათბურთო ლიგის დამაარსებელი **შარუნას მარჩიულონისი**. - *ევროპაში კალათბურთს სტრუქტურული სახე არ აქვს, ყველა თავისთვის არის. მიმაჩნია, რომ სტერნის პროექტი გამოაცოცხლებს აქაურ კალათბურთს. ფედერაციები მას დაუჯერებენ. პირველ რიგში, რაც აქ არის საჭირო, ესაა ნათლად ჩამოყალიბებული სტრუქტურა"*.

ამავდროულად, NBA-ის ამბიციური პროექტი ბევრ კითხვებს ბადებს. შეძლებენ თუ არა ევროპელი გულშემატკივრები საკმაოდ ძვირი აბონემენტების შეძენას? მიიღებენ თუ არა აქ ამერიკული თამაშის მოდელს? და საერთოდ, აიტანს თუ არა NBA თავისი რიგების 35 გუნდამდე გაზრდას? როგორ შეხვდებიან ლიგის ვარსკვლავები - **ლებრონ ჯეიმსი, კობი ბრაიანტი, კარმელო ენტონი** და სხვები ოკეანის გაღმა გადაფრენის პერსპექტივას?

NBA. ჩაშლილი გარიგება

# კიდი დალასში ჯორჯმა არ გაუშვა



ერთ დროს, კიდი დალასში თამაშობდა (ეს ფოტო აუცილებლად გაუშვი)

გუშინ, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გრანდიოზული გაცვლა უნდა შემდგარიყო, რომელშიც "დალას მავერიქსისა" და "ნიუ ჯერსი ნეტსის" შვიდი კალათბურთელი იყო ჩართული.

ტრეიდის მთავარი მოქმედი პირი "ნიუ ჯერსის" ვარსკვლავი **ჯეისონ კიდი** გახლდათ, მაგრამ როგორც ჩანს, ამ გამთამაშებლის "დალასში" დაბრუნება არ შედგება.

"ნეტსი" "მავერიქსში" კიდის გარდა, ფორვარდ **მალიკ ალენს** უშვებდა, სამაგიეროდ კი, ერთბაშად ხუთ კალათბურთელსა და 3 მილიონი დოლარის ოდენობის კომპენსაციას მიიღებდა. ეს მოთამაშეები იყვნენ: **დევინ ჰარისი, ჯერი სტეკჰაუსი, დესაგანა დიოპი, მორის აიჯერი** და **დევეინ ჯორჯი**. ტრეიდი თითქმის განხორციელებული იყო, როცა მისმა ერთ-ერთმა მონაწილემ, კერძოდ კი ჯორჯმა, თავის კონტრაქტში არსებული პუნქტი გამოიყენა, რომელიც მის სხვა გუნდში გაცვლას კრძალავს.

როგორც "დალასის" მთავარი მწვრთნელი **ეივერი ჯონსონი** აცხადებს, ახლა ამ ტრეიდის განხორციელების შანსი ნულის ტოლია, თუმცა მთელი ამ აურზაურის ავტორი, დევეინ ჯორჯი ამბობს, რომ ჯერ კიდევ რჩება შანსი იმისა, რომ ტრანსფერი შედგეს. ჯორჯი თავის აგენტთან შეხვედრას ელის და სავარაუდოდ, სწორედ ამის შემდეგ გაირკვევა ყველაფერი.

NBA. ყველა ვარსკვლავის მატჩი

# კობი ოლ სტარს შორდება

"ყველა ვარსკვლავის მატჩში" მონაწილე გუნდების შემადგენლობებში შესაძლოა, კიდევ რამდენიმე ცვლილება მოხდეს. გამორიცხული არ არის, რომ "ოლ სტარზე" ვერ ვიხილოთ "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერი **კობი ბრაიანტი**.

როგორც აღმოჩნდა, ბოლო ტურებში კობის ძალიან აწუხებს ტრავმირებული თითი და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მას ექიმებთან კონსულტაციის გავლა სურს. "ლეიკერსის" მთავარი მწვრთნელი **ფილ ჯექსონი** თავისი გუნდის უპირველეს ვარსკვლავს დასვენებას ურჩევს. თავად ბრაიანტი კი ამბობს, რომ ნიუ ორლეანში აუცილებლად გაემგზავრება, მაგრამ სავარაუდოდ, უარს იტყვის სამქულიანების კონკურსში მონაწილეობაზე.

■ ■ ■

სამაგიეროდ, უკვე ცნობილია, რომ მეორე ცვლილება მოხდება აღმოსავლეთის შემადგენლობაში. მომავალ უიქ ენდს დასვენებისა და ტრავმის საბოლოოდ მოშუშებისთვის გამოიყენებს "ვაშინგტონ უიზარდსის" ერთ-ერთი ლიდერი **კერონ ბატლერი**. NBA-ის კომისარმა **დევიდ სტერნმა** მის შემცვლელად "ბოსტონ სელტიქსის" მცველი **რეი ალენი** დაასახელა.

*"ამაყი ვარ, რომ კომისარმა ჩემზე შეაჩერა არჩევანი და "ყველა ვარსკვლავის მატჩში" თავის გამოჩენის საშუალება მომცა"*, - განაცხადა ალენმა, რომლისთვისაც ეს "ოლ სტარი" კარიერაში მერვე იქნება.

აქვე შეგახსენებთ იმას, რომ აღმოსავლელთა რიგებში არ ითამაშებს "ბოსტონის" ლიდერი **კევინ გარნეტი**, რომელსაც "დეტროიტ პისტონზის" ფორვარდი **რაშიდ უოლასი** შეცვლის.



კობი ბრაიანტი

ევროპა

# ფორმატი ისევ შეიცვალა

მიუნხენში ევროპული კალათბურთის ორი წამყვანი ორგანიზაციის - ULEB-სა და FIBA-Europe-ის ხელმძღვანელთა მორიგი შეხვედრა გაიმართა. გუშინ, მხარეებმა პრინციპულ შეთანხმებას მიაღწიეს 2008-09 წლების სეზონში ევროთასების ჩატარების სისტემასთან დაკავშირებით.

ULEB-ის ევროლიგაზე კვლავინდებურად 24 გუნდი ითამაშებს, ULEB-ის თასის მონაწილეთა რიცხვი კი, 32-მდე შემცირდება (წელს ამ ტურნირში 54 გუნდი იყო ჩართული).

ამასთან, 2008-09 წლებში ULEB-ის თასის პირველი ეტაპის რვა ყველაზე უარესი გუნდი ევროპის თასზე გადავა, რომელიც FIBA-Europe-ის ეგიდით იმართება.

და კიდე ერთი სიახლე - ევროპის თასის ორი ფინალისტი ავტომატურად მოიპოვებს მომავალ სეზონში ULEB-ის თასზე გამოსვლის უფლებას.

## ველოსპორტი

ტურ დე ფრანსი

# ასტანას ტურზეც არ უშვებენ

### შარშანდელი ჩემპიონი ტიტულს ვერ დაიცავს

ტურ დე ფრანსის დირექტორ **კრისტიან პრიუდომის** განცხადებით, ფრანგული ტური წელს მისი ჩემპიონის, ესპანელი **ალბერტო კონტადორის** გარეშე ჩაივლის. საქმე ისაა, რომ ტურის ორგანიზატორი, "ამაური სპორტს ორგანიზასიონი" (ASO) არ აპირებს კონტადორის გუნდ "ასტანას" მიწვევას, რისი მიზეზიც დოპინგ სკანდალებში ყაზახურ-შვეიცარიული გუნდის ხშირი მონაწილეობაა.

უფრო მეტიც, "ასტანას" ASO-ის მიერ ორგანიზებულ სხვა პრესტიჟულ რბოლებშიც არ მიიწვევენ. ეს რბოლებია პარიზი-ნიცა, რომელიც შარშან კონტადორმა მოიგო, ასევე ერთდღიანი კლასიკური რბოლები, პარიზი-რუბე, ფლეშ ვალონი, ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟი და პარიზ-ტურსი. "ასტანას" ასევე არ იწვევენ ჯირო დ'იტალიაზე და სავარაუდოდ, მას არც ვუელტაზე მიიწვევენ.

შეგახსენებთ, რომ კონტადორმა "ასტანასთან" ორწლიანი კონტრაქტი შარშან, ოქტომბერში მას შემდეგ გააფორმა, რაც სპონსორის არყოლის გამო, არსებობა შეწყვიტა ამერიკულმა "დისქავერი ჩენელმა", რომელთან ერთადაც, შარშან კონტადორი ტურის ჩემპიონი გახდა.

შარშან "ასტანას" მეტად რთული სეზონი ჰქონდა. მისი რამდენიმე წამყვანი ველომრბოლი დოპინგ სკანდალში გარეული აღმოჩნდა. დოპინგის გამოყენებაში მხილების გამო, ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯათ ყაზახებს, **ალექსანდრ ვინოკუროვსა** და **ანდრეი კაშეჩკინს**, ასევე გერმანელ **მათიას კესლერს**.

შარშანდელი სკანდალების შემდეგ, რომელთაგან ყველაზე ხმაურიანი ფრანგული ტურის დროს მოხდა, როცა ვინოკუროვი სისხლის დოპინგზე ჩავარდა, "ასტანამ" რადიკალურად გადაახალისა თავისი შემადგენლობა და მთლიანად შეცვალა სამენეჯერო გუნდიც. თუმცა, ამის მიუხედავად, ველომარათონების ორგანიზატორთა ნდობა მაინც ვერ დაიმსახურა.

*"ჩვენ ყურადღებით ვაკვირდებით გუნდის ყველა ქმედებას. ვხედავთ, რომ მასში ყველა და ყველაფერი შეიცვალა. გუნდის ახალი მენეჯერი გვარწმუნებს, რომ სკანდალური ისტორიები წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ჩვენ მათი მაინც არ გვჯერა "*, - ამბობს პრიუდომი.

"ასტანა" ყოფილი "ლიბერტი სეგუროსის" საფუძველზე შეიქმნა. "ლიბერტი" 2006 წლის ტურიდან მას შემდეგ მოეხსნა, რაც მისი რამდენიმე ველომრბოლი დოპინგ სკანდალ ოპერასიონ პუერტოში აღმოჩნდა გარეული. მას შემდეგ, რაც გუნდმა სპონსორი ვერ მოძებნა, ის "ასტანამ" გამოისყიდა, თუმცა ამ სახელითაც ის დოპინგ სკანდალს ვერ ასცდა. ამჯერად სკანდალი მის ლიდერ ვინოკუროვს შეეხო და "ასტანაც" იძულებული შეიქნა, (შარშანდელი) ტური მიეტოვებინა.



ალბერტო კონტადორი

*"კარგად გვახსოვს, რაც 2006 წლის ტურზე მოხდა. შემდეგ ამ გუნდის ხელმძღვანელობა გვარწმუნებდა, მსგავსი არაფერი განმეორდებაო. მაგრამ შარშან უარესის მოწმენი გავხდით. ჰოდა, ახლა სიტყვაზე როგორღა უნდა ვენდოთ, როცა ამდენი მწარე გამოცდილება გვაქვს"*, - თავს იმართლებს პრიუდომი.

სხვათა შორის, "ასტანა" და მისი ლიდერი ახლა მალიორკას რბოლაში მონაწილეობენ, რომლის ოთხშაბათის ეტაპზეც, კონტადორი მცირე ხნით მოსწყდა პელოტონს, ტელეოპერატორის მოტოციკლს დაეწია და კამერის წინაშე რამდენჯერმე შეუძახა: "ასტანა ტურზე, ასტანა ტურზე". შემდეგ კი მას პელოტონი ისევ დაეწია.

სხვათა შორის, ტურზე "ასტანას" მიწვევას ემხრობა ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის (UCI) პრეზიდენტი **პატრიკ მაკქუეიდი**. მისი თქმით, ტურისა და ჯიროს ორგანიზატორები ვალდებულნი არიან, რბოლაში მიიწვიონ პრო ტურის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გუნდი.

სხვათა შორის, ტურის ორგანიზატორებმა უკვე გამოაქვეყნეს იმ გუნდების სია, რომლებიც მონაწილეობას პარიზი-ნიცას რბოლაში მიიღებენ. მათ შორის "ასტანას" გარდა, პრო ტურის ყველა გუნდი შედის. პრიუდომი ამბობს, რომ თავიდან არც ჰოლანდიური "რაბობანკის" მიწვევას აპირებდა, რომლის ლიდერი, დანიელი **მიქაელ რასმუსენი** შარშანდელი ტურიდან ასევე გაძევებულ იქნა. თუმცა, შემდეგ გადაწყდა, რომ ეს სკანდალი მხოლოდ ველომრბოლისა და მისი ბოსის ბრალი იყო და არა გუნდის სპონსორისა, რომლის სახელსაც ის ატარებს. შედეგად, "რაბობანკი" პარიზ-ნიცაზე იასპარეზებს.

## ჰოკეი

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბაფალო-ტორონტო 1:0**

0:0, 0:0, 1:0

გოლი: 1:0 გოსტადი-8 (პეი-15, ტალინდერი-9).

**ნიუ ჯერსი-ოტავა 3:2 (ო)**

0:1, 2:1, 1:0

**გოლები:** 0:1 რიჩარდსონი-2 (სპეცა-49, მაკამონდი-10), 1:1 ლანგენბრუნერი-10 (ელიაში-22), 2:1 რახუნეკი-4 (პარიზე-29, ელიაში-23), 2:2 რ. რობიტაილი-10 (შუბერტი-13, რიჩარდსონი-6), 3:2 პონტა-14 (ლანგენბრუნერი-23).

**ატლანტა-ვაშინგტონი 3:2 (ბ)**

0:0, 2:1, 0:1 0:0

**გოლები:** 0:1 ვიქ. კოზლოვი-12 (ოვეჩკინი-30, ბექსტრიომი-37), 1:1 პერენი-10 (მარიან ჰოსა-26, ენსტრიომი-31), 2:1 მარიან ჰოსა-25 (ლეპტონენი-2), 2:2 ოვეჩკინი-48 (ბექსტრიომი-38, მ. გრინი-21).

**ბულიტები გაიტანეს:** ვიაჩ. კოზლოვი (ატლანტა).

**კოლამბუსი-ჩიკაგო 2:7**

0:4, 2:2, 0:1

**გოლები:** 0:1 კეინი-13 (ვიშნიევსკი-11, სიბრუკი-11), 0:2 სიბრუკი-7, 0:3 ბიფიგლენი-10 (რენე ბურკი-9, სოპელი-14), 0:4 ბიფიგლენი-11 (სოპელი-15), 1:4 ტარნსტრიომი-2 (პეკა-22, ჟერდიოვი-26), 1:5 ჰავლატი-7 (ლანგი-23, ტ. რუუტუ-14), 2:5 მოდინი-3 (ვიბორნი-14, ნეში-18), 2:6 ვიშნიევსკი-6 (შარპი-16, ტოევზი-19), 2:7 ლანგი-18.

**პიტსბურგი-ბოსტონი 1:2**

0:2, 0:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ნოკელაინენი-6 (მეტროპოლიტი-14, ლუჩიჩი-11), 0:2 სობოტკა-1 (რაიხი-2, შ. ტორნტონი-1), 1:2 მალკინი-32 (სიკორა-23, ჯ. სტაალი-12).

**ფლორიდა-მონრეალი 1:2 (ო)**

1:0, 0:0, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 მონტადორი-5 (კრეპსი-12, სალეი-19), 1:1 ჰიგინსი-18 (ს. კოივუ-30), 1:2 კოვალიოვი-26 (ს. კოივუ-31, სმოლინსკი-13).

**ტურის მოვლენები**

- "ნიუ ჯერსის" მეკარემ **მარტინ ბროდომ** ზედიზედ მე-12 სეზონში 30 გამარჯვება მოიპოვა.
- "დევილზის" ფორვარდმა **ბრაიან ჯონტამ** შეწყვიტა 13-მატჩიანი სერია, რომლის დროსაც ის გოლის გატანას ვერ ახერხებდა.
- აღმოსავლეთი კონფერენციის ლიდერმა "ოტავამ" ბოლო 7 მატჩში მეხუთედ წააგო.

■ ■ ■

- "ატლანტას" მეკარემ **კარი ლეჰტონენმა** ამ სეზონში მეორე შედეგიანი პასი შეასრულა.
- "ვაშინგტონის" ლიდერმა **ალექსანდრ ოვეჩკინმა** ბოლო 30 მატჩში 28 შაიბა შეაგდო.
- "ატლანტას" საუკეთესო ბომბარდირმა **ილია კოვალჩუკმა** ბოლო 9 მატჩში მხოლოდ ორი გოლი გაიტანა და არცერთი საგოლე პასი არ შეუსრულებია.

■ ■ ■

- "კოლამბუსმა" საკუთარ მოედანზე ზედიზედ მეხუთე შეხვედრა წააგო. ჯამში ეს კლუბი, ბოლო რვა ტურში შვიდჯერ დამარცხდა.

ოლიმპიზმი

## ტორპი ესტაფეტაში ჩაებმება

ავსტრალიური სპორტის ვარსკვლავი, ლეგენდარული მოცურავე **იან ტორპი** იმ სპორტსმენთა სიას ჩაუდგა სათავეში, რომლებიც ავსტრალიაში ოლიმპიური ჩირაღდნის ტრადიციულ ესტაფეტაში მიიღებენ მონაწილეობას.

ცერემონია აპრილის შუა რიცხვებში, ავსტრალიის დედაქალაქ კანბერას ქუჩებში გაიმართება.

ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონის გარდა, ესტაფეტაში დაახლოებით 80 ავსტრალიელი მიიღებს მონაწილეობას, მათ შორის არიან მსოფლიო სპორტის ლეგენდები - **ჯოდი ჰენრი და ელის მილსი**.

საერთო ჯამში, ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტაში, რომელიც საბერძნეთში დაიწყება და პეკინში დასრულდება, მთელი მსოფლიოს 22 ათასი ათლეტი მიიღებს მონაწილეობას. 2008 წლის ოლიმპიადის გახსნის ცერემონია 8 აგვისტოს გაიმართება.

## სპილბერგი პეკინში არ ჩავა

ცნობილმა ამერიკელმა რეჟისორმა სტივენ სპილბერგმა უარი განაცხადა პეკინის ოლიმპიადის მხატვრული მხარის ორგანიზებაში მონაწილეობაზე. ამის მიზეზია ჩინეთის პოზიცია სუდანის პროვინციის, დარფურის კონფლიქტთან დაკავშირებით. ადრე, ჩინეთის მთავრობამ სპილბერგს 2008 წლის ოლიმპიადის მხატვრულ საკითხებში კონსულტანტის როლი შესთავაზა.

*"მივხვდი, რომ ჩემი სინდისი სუფთა არ იქნებოდა, თუ ამ შემოთავაზებას დავთანხმდებოდი. ამ ეტაპზე ჩემი ენერგია და დრო ოლიმპიადის ორგანიზებაზე ვერ დაიხარჯება. ყველაფერი უნდა გავაკეთო იმისთვის, ბოლო მოვუღო იმ ამაზრზენ დანაშაულს ადამიანობის წინააღმდეგ, რასაც დარფურში აქვს ადგილი"*, - აღნიშნა რეჟისორმა.

დარფურში სამოქალაქო ომი მიმდინარეობს, რომელშიც მთავრობის ჯარები და დაქირავებული მეომრების ნაწილები მრავალრიცხოვან აჯანყებულ დაჯგუფებებს ეომებიან, რომლებიც პროვინციისთვის მეტ დამოუკიდებლობას ითხოვენ. ეს კონფლიქტი 2003 წლის თებერვალში დაიწყო და იქედან მოყოლებული 200 ათასი ადამიანი დაიღუპა და 2.5 მილიონი ლტოლვილი გახდა.

## TV სპორტი

**15 თებერვალი. პარასკევი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 უიქენდის მატჩების ანონსი.
13:30 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
15:20 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
17:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:30 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
19:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:40 ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-ჩელსი.
21:30 საფეხბურთო კლუბი.
22:25 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
22:55 პირველი არხის თასი. მიმოხილვა.
23:25 გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ვოლფსბურგი (LIVE).
01:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:40 საფეხბურთო კლუბი.
02:30 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:45 სპორტდოსიე.
09:13 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
09:41 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
10:10 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
10:22 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. რუსენბორგი-ფიორენტინა.
12:08 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი - TOP16. I ტური. რეალი-ჟალგირისი.
13:45 ფეხბურთი. Barca TV.
13:52 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი - TOP16. I ტური. ოლიმპიაკოსი-მაკაბი.
15:30 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. მოკლე პროგრამა. ზაგრები. ხორვატია.
19:13 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ჰამბურგი.
21:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
21:12 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
21:41 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
22:10 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
21:24 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:52 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
23:15 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
23:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ვოლფსბურგი (LIVE).
01:25 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
01:40 პროფესიული კრივი. რინგ-საიდი.
02:45 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. რუსენბორგი-ფიორენტინა.
04:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-კოლამბუსი (LIVE).
07:10 ბილიარდი. ჩემპიონთა თამაშები.
07:38 ჩემი სპორტი.

**EUROSPORT**

11:30 ციგაობა. მსოფლიო თასი. ქალები. I ცდა. ლატვია (LIVE).
12:15 ციგაობა. მსოფლიო თასი. ორადგილიანი. II ცდა. ლატვია (LIVE).
12:45 ციგაობა. მსოფლიო თასი. ქალები. II ცდა. ლატვია (LIVE).
13:30 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ინდივიდუალური რბოლა. ოსტერსუნდი. შვედეთი.
15:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. მას-სტარტი. 10 კმ. ლიბერეცი. ჩეხეთი (LIVE).
15:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. ანტვერპენი. ბელგია (LIVE).
17:00 სნუკერი. უელსის ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. ნიუპორტი. ბრიტანეთი (LIVE).
20:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. HS134. ლიბერეცი. ჩეხეთი (LIVE).
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. ქალები. სლალომი. II ცდა. ზაგრები. ხორვატია (LIVE).
21:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS145. კვალიფიკაცია. ვილინგენი. გერმანია.
22:45 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
23:00 სნუკერი. უელსის ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. ნიუპორტი. ბრიტანეთი (LIVE).
02:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
02:15 ექსტრემალური სპორტი.
02:45 სნუკერი. უელსის ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. ნიუპორტი. ბრიტანეთი.
04:15 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩები.
14:00 ციგაობა. მსოფლიო თასი. მამაკაცები. I ცდა. ლატვია (LIVE).
15:00 ახალი ამბები.
15:30 ციგაობა. მსოფლიო თასი. მამაკაცები. II ცდა. ლატვია (LIVE).
16:30 ახალი ამბები.
17:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. II ჯგუფური ეტაპი. II ტური. ჰამბურგი (გერმანია)-ზაგრები (ხორვატია).
18:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. რუსენბორგი-ფიორენტინა.
18:45 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. რეინჯერსი-პანათინაიკოსი.
19:30 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. ბრანი-ევერტონი.
20:15 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. გალათასარაი-ლევერკუზენი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 ფრისტაილი. მსოფლიო თასი. კანადა.
22:00 ექსტრემალური სპორტი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
23:15 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP14. X ტური. მონპელიე-ბიარიტცი (LIVE).
01:15 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. I მატჩი. რეინჯერსი-პანათინაიკოსი.
02:00 ახალი ამბები.
02:15 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
02:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
02:45 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| ქროული-გრავესენდი | 1:2 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| არისი-ულქერი | 88:96 |
| მონტეპასკი-პარტიზანი | 71:54 |
| ბარსელონა-უნიკახა | 64:62 |
| ოლიმპიაკოსი-მაკაბი | 67:75 |
| რეალი-ჟალგირისი | 88:85 |
| **ჰოკეი** | |
| **გერმანია** | |
| აუგსბურგი-ინგოლშტადტი | 2:4 |
| **ფინეთი** | |
| ილვესი-კაიპა | 2:5 |
| კერპეტი-ჰპკ | 9:0 |
| ლუკო-საიპა | 4:1 |
| პელიკანსი-ტაპარა | 2:7 |
| ტპს-იოკერიტი | 1:4 |
| ჰიფკ-ესეტი | 4:3 |
| იუვიასკიულა-კიეკო | 1:3 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიბერეცი-სლავია | 2:3 |
| **შვეიცარია** | |
| ბერნი-ცუგი | 2:1 |
| ციურიხი-ამბრი | 7:1 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ფრიოლუნდა | 4:2 |
| ბრიუნასი-ლულეა | 5:5 |
| მორა-ჰვ 71 | 4:0 |
| ტიმრე-ლინჩოპინგი | 2:3 |
| ფერიესტადი-სიოდერტალე | 3:3 |
| იურგორდენი-მოდო | 3:0 |

| | |
|---|---|
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მარსელი** | |
| მარეი-ვავრინკა | 3:6, 7:6, 6:1 |
| მატიო-ლოდრა | 7:6, 7:6 |
| იუჟნი-ბენეტო | 7:5, 6:3 |
| ჯოკოვიჩი-სიმონი | 2:6, 7:6, 3:6 |
| ანჩიჩი-გაბაშვილი | 6:3, 6:2 |
| გასკე-სიოდერლინგი | 6:4, 3:6, 2:6 |
| **ATP. კოშტა დო საუიპე** | |
| ალმაგრო-პაშანსკი | 6:2, 6:3 |
| ვოლანდრი-კორია | 6:1, 6:2 |
| **ATP. დელრეი ბიჩი** | |
| რეინოლდსი-ჰარტფილდი | 7:5, 2:6, 7:6 |
| ჯინეპრი-რასელი | 7:5, 4:6, 6:2 |
| ფიში-ნავარო პასტორი | 2:6, 7:5, 6:3 |
| **WTA. ანტვერპენი** | |
| კ. ბონდარენკო-კლეიბანოვა | 5:7, 6:3, 5:7 |
| ბაშჩინსკი-დიტი | 7:5, 6:4 |
| ჩაკვეტაძე-არვიდსონი | 3:6, 5:7 |
| ანენი-პირონკოვა | 6:7, 6:3, 6:1 |
| **WTA. ვინია დელ მარი** | |
| კანეპი-კამერინი | 1:6, 6:3, 6:4 |
| ერანი-ლაგოსტერა ვივესი | 2:6, 0:6 |

## ჩოგბურთი

### ტურნირები

**ATP**

**ბრაზილიის ღია**

კოშტა დო საუიპე (ბრაზილია). თიხნარი
საპრიზო ფონდი: 485 000 დოლარი

**II წრე**

**კარლოს მოია** (ესპ, 1)-ოლივიე პატიენსი (საფ) 5:7, 6:1, 6:0; **ფაბიო ფონინი** (იტა)-ალბერტ მონტანიესი (ესპ, 8) 7:5, 6:3; **ოსკარ ერნანდესი** (ესპ)-სერხიო როიტმანი (არგ) 6:3, 2:6, 6:4; **ივო მინარი** (ჩეხ)-კარლოს ბერლოკი (არგ) 6:4, 6:4.

**Open 13**

მარსელი (საფრანგეთი). ჰარდი
საპრიზო ფონდი: 534 000 ევრო

**I წრე**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი** (სერ, 1)-ივან დოდიგი (ხორ) 6:1, 6:4; **რიშარ გასკე** (საფ, 2)-სიმონე ბოლელი (იტა) 6:3, 6:3; **მიხაილ იუჟნი** (რუს, 3)-მარინ ჩილიჩი (ხორ) 6:4, 7:6 (3); **მარიო ანჩიჩი** (ხორ)-ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 7) 7:5, 7:6 (3); **ჟილ სიმონი** (საფ)-დავიდ გეზი (საფ) 6:2, 6:4; **ივო კარლოვიჩი** (ხორ)-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 6:7 (6), 7:5, 7:6 (4); **მიხაელ ლოდრა** (საფ)-ანდრეას სეპი (იტა) 6:2, 7:6 (5).

**II წრე**

**ნიკოლას მაჟ** (საფ)-ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 5) 5:7, 6:4, 7:6 (1).

**Delray Beach International**

დელრეი ბიჩი (აშშ). ჰარდი
საპრიზო ფონდი: 436 000 ევრო

**I წრე**

**ჯეიმს ბლეიკი** (აშშ, 1)-რობერტ კენდრიკი (აშშ) 7:5, 7:5; **სემ კვერი** (აშშ, 3)-იური შჩუკინი (რუს) 6:1, 6:4; **კეი ნიშიკორი** (იაპ)-ფლორიან მაიერი (გერ, 5), 6:0, 4:3 მაიერის უარი; **ვინსენტ სპეიდი** (აშშ, 6)-დენის გრემელმაირი (გერ) 6:3, 6:4; **ამერ დელიჩი** (აშშ)-დონალდ იანგი (აშშ) 7:6 (7), 6:3.

**WTA**

**Proximus Diamond Games**

ანტვერპენი (ბელგია). ხალიჩა
საპრიზო ფონდი: 600 000 დოლარი

**I წრე**

**ტიმეია ბაშჩინსკი** (შვეიც)-ოლგაა გოვორცოვა (ბლრ) 6:3, 3:6, 7:5; **კატერინა ბონდარენკო** (უკრ)-ტატიანა პერებიინისი (უკრ) 7:6 (1), 6:3.

**II წრე**

**დანიელა ჰანტუხოვა** (სლოვაკ, 3)-იანინა ვიკმაიერი (ბელ) 6:4, 6:3; **პატი შნიდერი** (შვეიც, 4)-აი სუგიამა (იაპ) 6:3, 6:4; **ნა ლი** (ჩინ, 9)-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ) 6:4, 6:3.

**Cachantun Cup**

ვინია დელ მარი (ჩილე). თიხნარი
საპრიზო ფონდი: 200 000 დოლარი

**I წრე**

**კლარა ზაკოპალოვა** (ჩეხ, 8)-ეკატერინა ბიჩკოვა (რუს) 7:6 (4), 2:6, 6:3; **მატილდე იოჰანსონი** (საფ)-მარი ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ) 0:6, 6:3, 6:4.

**II წრე**

**პოლინ პარმენტიე** (საფ, 4)-როსანა დე ლოს რიოსი (პარ) 6:7 (0), 6:1, 6:1; **მარტინა მიულერი** (გერ, 5)-ჯულია შრუფი (გერ) 6:3, 6:2; **მარია კორიტცევა** (უკრ)-პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ) 6:3, 6:4; **ლურდეს დომინგეს ლინო** (ესპ)-ხისელა დულკო (არგ, 2) დულკოს უარი.



რალი რეიდი

# მარშრუტი ცნობილია

ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ ლეგენდარული რალი-რეიდის, "დაკარის" ორგანიზატორებმა ოფიციალურად დაადასტურეს, რომ გაისად რბოლა აფრიკის ნაცვლად სამხრეთ ამერიკაში გაიმართება.

გუშინ, ორგანიზატორებმა პრესკონფერენცია ჩაატარეს, სადაც მომავალი რალის დაზუსტებული და საბოლოო მარშრუტი შესთავაზეს საზოგადოებას.

"დაკარი 2009" ორი ქვეყნის - არგენტინისა და ჩილეს ტერიტორიაზე გაივლის. რბოლა 3 იანვარს ბუენოს აირესში დაიწყება. თავიდან მარშრუტი გადებული იქნება ლა-პამპას, რიო-ნეგროს, ჩუბუტის, ნეუკენისა და მენდოსას პროვინციებზე, შემდეგ მონაწილეები სამთო ულელტეხილით ანდებს გადაივლიან და ჩილეს ტერიტორიაზე შევლენ. იქ წყნარი ოკეანის სანაპიროზე, საკურორტო ქალაქ ვალპარაისოში ერთდღიანი დასვენებაა დაგეგმილი, რის შემდეგაც მრბოლელებს მოუწევთ უდაბნო ატაკამას გადალახვა და კიდევ ერთხელ არგენტინა-ჩილეს საზღვარზე გადასვლა. უკანა გზაზე, ისინი კატამარკას, კორდობასა და სანტა ფეს პროვინციებს გაივლიან და 18 იანვარს, არგენტინის დედაქალაქში დაასრულებენ ავტო-მარათონს.

მარშრუტის საერთო სიგრძე დაახლოებით 9 ათასი კილომეტრია. ორგანიზატორები ვარაუდობენ, რომ სამხრეთამერიკულ "დაკარში" დაახლოებით 500-მდე ეკიპაჟი მიიღებს მონაწილეობას. განაცხადების მიღება 15 მაისს დაიწყება, ამასთან, პრიორიტეტი ექნებათ იმ გუნდებს, რომლებიც "დაკარი 2008"-ში აპირებდნენ მონაწილეობის მიღებას. არგენტინაში ტექნიკას ბორნის საშუალებით ჩაიტანენ, ამიტომაც მონაწილეებს ადრიანად მოუწევთ გამგზავრება - ნოემბრის ბოლოს ან დეკემბრის დასაწყისში, რადგან მთელი ტრანსატლანტიკური კრუიზი სამი კვირა გრძელდება ხოლმე.

*"ბოლო 30 წლის განმავლობაში, მარათონი მხოლოდ აფრიკის ტერიტორიაზე ტარდებოდა. ახლა ჩვენ კონტინენტის შეცვლა გადავწყვიტეთ და რბოლა ატლანტიკის ოკეანის მეორე მხარეს დავგეგმეთ, თუმცა ეს ხელს არ შეგვიშლის "დაკარის" ტრადიციების შენარჩუნებაში"*, - ამბობს Amaury Sport Organisation-ის პრეზიდენტი **პატრის კლერკი**.

ჩოგბურთი

## ფედერერი სტოკჰოლმში ითამაშებს

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **როჯერ ფედერერმა** თანხმობა განაცხადა ნელს, სტოკჰოლმის ღია ჩემპიონატში გამოსვლაზე. ეს ტურნირი ოქტომბერში შვედეთში გაიმართება.

შვეიცარიელმა უკანასკნელად სტოკჰოლმში 2000 წელს ითამაშა და მაშინ მეორე წრეში დამარცხდა ადგილობრივ ჩოგბურთელთან, **ანდრეას ვინსიგერასთან**. გუშინვე, სტოკჰოლმში თავისი მონაწილეობა დაადასტურა არგენტინელმა **დავიდ ნალბანდიანმა**.

## სერენა მომავალ კვირას დაბრუნდება

როგორც იქნა, სასიამოვნო ინფორმაცია შეიტყვეს ამერიკელი ჩოგბურთელის, **სერენა უილიამსის** ფანებმა. ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ სტომატოლოგიური ოპერაციის გამო, უმცროსმა უილიამსმა პარიზისა და ანტვერპენის ტურნირები გამოტოვა, ახლა კი ირკვევა, რომ სერენას ჯანმრთელობის მდგომარეობა გამოსწორდა და ის მომავალ კვირას, დუბაის ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

Barclays Dubai Tennis Championships-ზე მეტად წარმომადგენლობითი შემადგენლობა შეიკრიბება. სერენას გარდა, აქ იქნებიან ავსტრალიის წლევანდელი პირველობის ფინალისტები, რუსი **მარია შარაპოვა** და სერბი **ანა ივანოვიჩი**, ასევე კიდევ სერბი **ელენა იანკოვიჩი** და WTA-ს ტურის სხვა ვარსკვლავები.

## ვაიდიშოვა ნაკრებს დაემშვიდობა

ჩეხ ჩოგბურთელს **ნიკოლ ვაიდიშოვას** აღარ სურს ფედერაციის თასზე თამაში. ვაიდიშოვამ წლევანდელი სეზონი წარუმატებლად დაიწყო და ახლა მისი სურვილია, უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს WTA-ს ტურში საკუთარ კარიერას.

*"ნიკოლი ყოველთვის ამაყობდა ჩეხეთის ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებული მატჩებით. მაგრამ ახლა მან თავის კარიერაში ისეთ მომენტს მიაღწია, როცა ინდივიდუალურ გამოსვლებს უნდა მიაქციოს მეტი ყურადღება. ვაიდიშოვამ აუცილებლად უნდა გაიუმჯობესოს რეიტინგი"*, - ამბობს ჩოგბურთელის აგენტი.

აპრილში ჩეხეთის ნაკრებს გასვლითი შეხვედრა ელის ისრაელის გუნდთან. ამ მატჩში გამარჯვებული ადგილს ფედერაციის თასის მთავარ ჯგუფში შეინარჩუნებს.

ფორმულა 1. ახალი პროექტი

# ბერნი ექლსტოუნის პირველი ღამე

**წლევანდელ სეზონში ფორმულა 1-ს აქამდე არნახული ექსპერიმენტი ელოდება. სინგაპურში სადებიუტო გრან-პრი, ამავდროულად ღამის პირველი რბოლა იქნება დიდი ცირკის ისტორიაში.**

ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერის, **ბერნი ექლსტოუნის** მეცადინეობით, ბოლო 10 წელია "დიდი ცირკი" ნელ-ნელა, მაგრამ სტაბილურად გადადის ბებერი ევროპიდან აღმოსავლეთით, სადაც დიდი ფული ტრიალებს და იქ სპორტული შოუებით ნაკლებად განებივრებული მაყურებლები ცხოვრობენ. ცნობილი "A1-რინგი", "ნიურნბურგრინგი", იმოლა, ინდიანაპოლისი და ხანდახან სპა, კალენდარში ადგილს უთმობენ მალაიზიის, ჩინეთის, ბაჰრეინის, თურქეთისა და სინგაპურის ეტაპებს. რიგში დგანან ინდოეთი, არაბეთის გაერთიანებული საემიროები, კორეა და შესაძლოა, რუსეთი... მაგრამ აღმოსავლეთისკენ მარშს, გარდა დადებითი მხარეებისა, უკუჩვენებებიც გააჩნია. ევროპელი მაყურებლისთვის, შორეული აღმოსავლეთის ეტაპები ადრე დილით იწყება და ამან არ შეიძლება გავლენა არ იქონიოს აუდიტორიის რაოდენობაზე, შესაბამისად კი, განთავსებული რეკლამის ფასზე. მოკლედ რომ ვთქვათ, ფედერაცია და პირადად ბერნი ფულს კარგავენ. ეს კი, არავის უყვარს.

ამ პრობლემის გადაწყვეტის გზა ღამის რბოლების ჩატარებაა, რომელთა ტრანსლიაციებს ევროპელები "ნორმალურ" დროს იხილავენ, ანუ ლანჩის შემდეგ. მაგრამ გრან-პრის ღამის საათებში გადატანაზე მსჯელობა უფრო ადვილია, ვიდრე მისი რეალურად განხორციელება. მაგალითად, ფედერაციის პრეზიდენტმა **მაქს მოსლიმ** შარშან ზაფხულში განაცხადა - FIA მხარს არ დაუჭერს ამ იდეას, თუ უსაფრთხოების სრული გარანტიები არ იქნება დაცულიო. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ინდიანაპოლისში **ბერნდ მაილენდერმა** პეისკარით, ხოლო "პოლ-რიკარზე" **ნელსონ პიკე-უმცროსმა** GP2-ის ბოლიდით, ღამით რამდენიმე წრე გაიარეს, ფედერაციამ საკუთარ კითხვებზე პასუხი მიიღო და ისტორიაში პირველი ღამის გრან-პრის განრიგი დაამტკიცა. ამ ეტაპს სინგაპური უმასპინძლებს. სხვათა შორის, არამარტო კვირის რბოლა, არამედ პარასკევის პრაქტიკა და შაბათს, კვალიფიკაციაც ადგილობრივი დროით 20 საათზე დაიწყება.

## თავგადასავლის ფასი

ღამის რბოლა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, მაგრამ მისი მომზადებისთვის ფულს ბერნი ექსლტოუნი არ იხდის. ღამის დღედ გადაქცევისთვის მთელს ხარჯებს თავის თავზე რბოლის ორგანიზატორები იღებენ. სინგაპურის გრან-პრის ბოსები ციფრებს არ ასახელებენ, მაგრამ შთამბეჭდავია იმ სამუშაოს გაქანება, რომელსაც იტალიური ფირმა Valerio Maioli S.p.a ასრულებს.

ფორმულა 1-ის ოფიციალური ვებ-გვერდისთვის მიცემულ ინტერვიუში გამნათებლები ამბობენ, რომ ტრასის გარშემო 1600 პროჟექტორი დამონტაჟდება, თითო ორი კილოვატი სიმძლავრის. მათ კვებას უზრუნველყოფს 108 423 მეტრი კაბელი და 12 ძლიერი ორმაგი გენერატორი, რომლებიც ხმის იზოლაციის კონტეინერებში იქნებიან შეფუთულნი. გენერატორების სამართავად ტექნიკოსთა ცალკე ჯგუფი გამოიყოფა, ხოლო საერთო პულტი ტოპ-კომპლექსის სადისპეტჩეროში იქნება განთავსებული.

ასეთი ილუმინაციის პირობებში მოხმარებული ენერგიის სიმძლავრე უზარმაზარი იქნება - სამ მეგავატზე მეტი, ხოლო სიკაშკაშე სამ კილოლუქსს მიაღწევს! შედარებისთვის, ჩვეულებრივ ოფისში ეს მაჩვენებელი 0.3 კილოლუქსია, სტადიონებზე (საერთაშორისო ნორმების მიხედვით) არანაკლებ 0.8 კილოლუქსისა. ასე რომ, სინგაპურის საქალაქო ტრასა ნებისმიერ სტადიონზე ოთხჯერ მეტად განათდება. მაგრამ ასეთი უხვი განათების პირობებშიც, სინგაპურული ღამე ნამდვილ დღედ ვერ იქცევა - როგორც Wikipedia გვკარნახობს, ულრუბლო შუადღისას, მზე დაახლოებით 100 კილოლუქსს ქმნის.

სხვათა შორის, ყველა პროჟექტორი ტრასის ერთ მხარეს იქნება დამონტაჟებული იქ, სადაც ტელეკამერები იმუშავებენ. ასე იმიტომ კეთდება, რომ ტელეტრანსლიაციებისას თავიდან აიცილონ ე.წ. "ბლიკები". ცნობილია, რომ ფორმულა 1-ის ბოლიდის სიმაღლე ერთ მეტრს არ აღემატება და ინჟინრებმა პროჟექტორის მდგომარეობა და დახრის კუთხე ისე გამოთვალეს, რომ მანქანების ჩრდილი ტრასაზე მინიმალური ყოფილიყო. გარდა ამისა, სხივის მიმართულება ისე არის გათვლილი, რომ ის პილოტებს თვალს იმ შემთხვევაშიც არ მოსჭრის, თუ ისინი ტრასაზე მიმართულების საწინააღმდეგოდ მოცურდებიან. კერძოდ, იმისთვის, რომ მრბოლელებმა კონტროლი არ დაკარგონ, უსაფრთხოების ზონები ნაკლებად იქნება განათებული, ვიდრე თავად ტრასა.

ორგანიზატორები ამტკიცებენ, რომ მათი სისტემა აბსოლუტურად უსაფრთხოა: თუ ერთ-ერთი გენერატორი მწყობრიდან გამოვა ან კაბელი დაზიანდება, კვება ავტომატურად გადავა სარეზერვო სისტემაზე.

## ყველგან ღამის რბოლა?

თუ ასეთი მძლავრი და უნიკალური სისტემის დამონტაჟების და შემდეგ მისი დემონტაჟის (სინგაპურში კომპლექსი ყოველი ეტაპის შემდეგ იქნება აღებული) ღირებულებას გავითვალისწინებთ, კარგად გვესმის ავსტრალიის გრან-პრის ორგანიზატორების, რომლებიც კატეგორიულად არ თანხმდებიან "ალბერტ-პარკზე" ღამის რბოლის ჩატარებას. ისინი უკვე რამდენიმე თვეა მოლაპარაკებებს აწარმოებენ ბერნი ექლსტოუნთან, რომელიც ავსტრალიის ეტაპის კალენდრიდან ამოღებით იმუქრება, თუ იქაური რბოლა ღამის საათებში არ ჩატარდება.

შესაძლოა, ფორმულა 1-ის ბოსს არ დასჭირდეს ჯიუტი ავსტრალიელებისთვის დიდხანს ხვეწნა-მუდარა. ეტაპის ღამის საათებში გადატანის ინტერესს გამოთქვამენ მალაიზიისა და ბაჰრეინის გრან-პრის მფლობელები. და იქნებ, ამ იდეის პლუსები ავსტრალიელებმაც დაინახონ და ისინიც შეუერთდნენ ახალ მოდას. სხვათა შორის, ბაჰრეინში ღამით რბოლის ჩატარება იმითაც არის მომგებიანი, რომ პილოტები გადაურჩებიან შუადღის დამხუთველ სიცხეს, გარდა ამისა, გრან-პრიზე უფრო ბევრი ხალხი მივა. საქმე ისაა, რომ ბაჰრეინში კვირა ჩვეულებრივი სამუშაო დღეა.

თუ სინგაპურული ექსპერიმენტი წარმატებული იქნება (და სხვანაირად არც შეიძლება მოხდეს, ვინაიდან ამერიკულ სარბოლო სერიებში ღამის რბოლები დიდი პოპულარობით სარგებლობს), მაშინ სინგაპურს ჩინეთი, იაპონია და სხვა აღმოსავლური ეტაპების ორგანიზატორებიც მიბაძავენ. ფორმულა 1 იცვლება და შესაძლოა, რამდენიმე წლის შემდეგ, ევროპულმა ეტაპებმაც მოითხოვონ რბოლის გვიან გადატანა...



სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდებერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებელი:
შპს გაზეთი ლელო

ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტიტუცია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995. 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge

ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა